ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

როინ თათეშვილი

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

ლექციების კურსი

ახალციხე
2012 წელი

უაკ (UDC) 336.02 (075.8)
თ 22

როინ თათეშვილი საქართველოს საბიუჯეტო სისტემა (სალექციო კურსი)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსზე, სახელმწიფო შესყიდვების კანონზე დაყრდნობით თანმიმდევრულადაა გადმოცემული საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სასწავლო პროგრამისა და სილაბუსის შესაბამისად მომზადებული თეორიულ–მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის ისეთი მნიშვნელოვანი თემები როგორიცაა: სახელმწიფოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებანი; ფინანსების არსი და ფუნქციები, საფინანსო სისტემა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესი და მისი სტადიები; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი; გათანაბრებითი ტრანსფერი; ადგილობრივი მოსაკრებლები; ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაცია; ბიუჯეტის ხარჯების სისტემა; ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია; არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია; ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები; ფინანსური კონტროლი.

თემების ადვილად აღქმადობისა და ათვისების მიზნით თითოეული თემის ბოლოს დასმულია საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები. ამასთან ძირითადი სალექციო თემების დასრულების შემდეგ შეძენილი ცოდნის დონის თვითშემოწმებისათვის წარმოდგენილია ტესტები, ასევე დანართის სახით წარმოდგენილია ტერმინთა განმარტებანი, საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებს ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. 2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები.

სალექციო კურსი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ბიზნესის მართვის და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პროფესსორ მასწავლებლებისათვის, მეწარმეებისათვის, თვითმართველობებში დასაქმებულთათვის და აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

იბეჭდება ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. ოქმი №16/09 12. 07. 2012 წელი

რედაქტორი: **ზურაბ ლიპარტია**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

რეცენზენტები: **გიორგი ცაავა,** ტექნიკისა და მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

ცისკარა ზარანდია, ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი

© რ. თათეშვილი, 2012
ISBN 978-9941-9278-0-5

სახელმწიფოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებანი

სამყაროს შექმნიდან დღემდე, საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე იქმნებოდა ახალი ეპოქა, რომელსაც თან ახლდა თავისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ვითარდებოდა კულტურა, მეცნიერება, მედიცინა, ეკონომიკა და სხვა მრავალი დარგი.

თანამედროვე ეტაპისათვის თითქმის ყველა მეცნიერების დარგმა განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, თითოეული სფეროს განვითარების ისტორია წარსულიდან მომდინარეობს. ყველა ეპოქას აერთიანებს ერთი რამ, რომ ყველა ეპოქაში არსებობდა, ადამიანთა წარმოშობიდან დღემდე ,,აღებ-მიცემობის'' _ პრინციპი. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რადგან ,,თითოეული ადამიანი თავისმხრივ გასცემს და სანაცვლოდ იღებს მას რის საფასურსაც გაიღებს". დღეს კი საზოგადოების განვითარების უმაღლეს საფეხურზე, სწორედ რომ ,,აღებ-მიცემობი"_ს პრინციპი კარგად დახვეწილი და ჩამოყალიბებული ფორმით გვხვდება და ,,საფინანსო'' სფეროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქვეუწყებო რგოლს წარმოადგენს, რომელსაც საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა ჰქვია.

ეკონომიკურ განმარტების ლექსიკონში სიტყვა ,,გადასახადი" განმარტებულია როგორც ,,სავალდებულო გადასახდელი, რომელსაც სახელმწიფო იღებს იურიდიული და ფიზიკური პირისაგან, სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად, რომელიც წარმოიშვა საზოგადოების კლასებად დაყოფისა და სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად''. თუკი ვსაუბრობთ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის წარმოშობაზე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ რა როლი უკავია გადასახადებს სახელმწიფო წარმოშობისა და განვითარების გზაზე. საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსავლების უმნიშვნელოვანეს წყაროს და სწორედ მისი წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფო წარმოშობასთან.

ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია და უფრო მეტიც, აუცილებელიცაა არსებობდეს განსაზღვრული ხარჯები. როგორც წესი, სახელმწიფო აწესებს საგადასახადო სარგოს, რომელიც ამოღებული უნდა იქნეს ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან. სწორედ ამიტომ, თითოეული ადამიანის მიერ გადახდილი გადასახადი არის სახელმწიფოს წინსვლისა და განვითარების საწინდარი, რადგან თითოეული მოქალაქის მიერ კეთილსინდისიერად მოხდილი ვალი სახელმწიფოს წინაშე, მნიშვნელოვანია ქვეყნის გაძლიერებისა და განვითარებისათვის, რათა თავისმხრივ სახელმწიფომ პირნათლად შეასრულოს მასზე ნაკისრი ეკონომიკური ვალდებულებები. როგორც სახელმწიფოს, ასევე გადასახადის გადამხდელის ინტერესები დაცულია სახელმწიფოს უმაღლესი კანონით - კონსტიტუციით, ასევე საგადასახადო კოდექსით. ამიტომ ნაკისრი ვალდებულებისაგან განთავისუფლება გარდაუვალია, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დეკლარაციის ერთ-ერთი ავტორის-ბენჯამენ ფრანკლინის ცნობილი გამონათქვამი ადასტურებს: ,,ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი, სიკვდილი და გადასახადები''.

გამომდინარე აქედან, საგადასახადო დაბეგვრა შეიძლება განვიხილოთ როგორც საზოგადოების განვითარების განუყოფელი ნაწილი, რომლის განვითარების ისტორიაც მომდინარეობს უძველესი დროიდან. საგადასახადო სისტემის წარმოშობა უკავშირდება სახელმწიფო სისტემის წარმოქმნასა და საზოგადოების კლასებად დაყოფას. შეიძლება ითქვას სახელმწიფოსა და ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება იმდენად ურთიერთკავშირშია, რომ მათი ერთად განხილვა მეტად მისაღებია, ფაქტიურად ერთი მეორესაგან გამომდინარეობს, სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია ფინანსების გარეშე და ვერც საფინანსო სისტემა აღმოცენდებოდა სახელმწიფოს გარეშე.

სწორედ რომ საგადასახადო დაბეგვრის განვითარების ისტორიაში არსებობს და გამოარჩევენ სამ ძირითად პერიოდს, მოყოლებული ძველი ქვის ხანიდან დღემდე.

პირველი პერიოდი მოიცავს, ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების განუვითარებელ საგადასახადო მექანიზმს, რომელიც დაბეგვრის ერთ-ერთ პირველ ფორმადაა წარმოდგენილი. ეს ის პერიოდია, როდესაც საომარ მოქმედებებში გამარჯვების შედეგად მიღებული შემოსავლები, კერძოდ

კი დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეყნებიდან, ტერიტორიებიდან, გამარჯვებული მხარე იღებდა ხარკს, განძისა და მიწების მიღების გზით.

ხარკი სწორედ, რომ გადასახადის ერთ-ერთი ფორმა იყო, დამარცხებული მხარის მიერ გადახდილი, რომელიც ეკონომიკური შემოსავლის დატვირთვას ატარებდა. რაც შეეხება მიწის გადასახადს, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში და იმ პერიოდისათვის ჩამოყალიბებულ ქვეყნებში არსებობდა მიწის გადასახადი, რომელსაც მიწით მოსარგებლენი იხდიდნენ. უძველესი დროიდან დღემდე მიწები სახელმწიფოს მფლობელობაში იყო და გადასახადები ყოველთვის სხვადასხვაგვარ ხასიათს ატარებდა. მაგალითად ადრეულ ფეოდალურ სახელმწიფოში, სადაც გადასახადს საჩუქრის სახე ქონდა, მოსახლეობა გადასახადს შესაწირის სახით გასცემდა სახელმწიფოსადმი. ხოლო შუა საუკუნეების ინგლისში, განსხვავებული ვითარება გახლდათ და გადასახადი გაიგივებული იყო მნიშვნელოვანი ფასეულობის გაღებასთან, რადგან გადასახადი იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი იყო. განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ გადასახადისადმი გერმანიაში, სადაც გადასახადი გაიგივებული იყო ,,თხოვნა"-სთან.

საინტერესოა ,,თხოვნა"-ს გადასახადთან რა საერთო უნდა ჰქონოდა?!

ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო მოსახლეობას თხოვნით მიმართავდა გადაეხადათ გარკვეული გადასახადი, რომელსაც არ ჰქონდა კატეგორიული მოთხოვნის ხასიათი და არც რაიმე იძულებით ღონისძიებას ადგილი არ ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან, მთლიანად მოსახლეობის

კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული. რაც შეეხება ქართულ ვარიანტს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ,,გადასახადი" განხილული იყო, როგორც სავალდებულო ,,სახადის" გადასახადის სახით. მთლიანობაში კი საინტერესოა, ადრეულ ფეოდალურ ხანაში, როგორი ფორმით ხდებოდა გადასახადის გადახდა?!

თავდაპირველად, გადასახადები ნატურალურ ხასიათს ატარებდა. მოსახლეობა ბეგარას საკუთარი შრომით იხდიდა. ასევე ლაშქრობებში მონაწილეობის სახით და ნატურით. ამრიგად, საგადასახადო სისტემის წარმოშობას უკავშირებენ იმ პერიოდს, როდესაც არსებობა დაიწყო პირველად ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოებმა, გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სამრეწველო კულტურა განვითარდა, საზოგადოება კლასებად დაიყო, რამაც ხელი შეუწყო და აუცილებელიც გახდა ჩამოყალიბებულიყო, პირველ რიგში საფინანსო და შემდგომ საგადასახადო სისტემა, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფოში არსებული თანხების დაბალანსებას.

საქართველოში საფინანსო-საგადასახადო კულტურა ყალიბდება მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ტომები ჩამოყალიბდა და უკვე XII-საუკუნეში სახელმწიფომ განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია. ამ პერიოდისათვის საერისთაოებს, სოფლებს, ხევს მიმაგრებული ჰყავდა სხვადასხვა მოხელეები. ეს მოხელეები ახორციელებდნენ საგადასახადო ღონისძიებებს, ხდებოდა მოსახლეობის აღრიცხვა, ვინ ამუშავებდა სოფლის მეურნეობას, ანუ მიწებს, რის მიხედვითაც ხდებოდა გადასახადების დაკისრება. იმ დროისათვის მოხელეებს ერქვათ: ,,მაწყინარი", ,,მესახმარე", ,,მენუკვარი". მოხელებისათვის შერქმეული სახელები გამომდინარეობდა სწორედ გადასახადებიდან, როგორც ჩანს, მოსახლეობისათვის გადასახადები არცთუისე სასურველი გახლდათ და საკმაოდ უარყოფით მოვლენასთან ასოცირდებოდა, ამიტომაც ეძახდნენ ,,მაწყინარ"- ს, რაც მომდინარეობს სიტყვა ,,წყენისაგან". Mმოსახლეობა საწყენად თვლიდა გადასახადის გადახდას და მეტიც, რომ გადასახადების გადახდა არცერთ ეპოქაში ყოფილა სასიამოვნო პროცესი. დაახლოებით ასეთი მიმოხილვა ჰქონდა საგადასახადო დაბეგვრის პირველ ეტაპს, რომელმაც ასახვა პოვა ძველ ფეოდალურ ხანაში.

საგადასახადო დაბეგვრის მეორე პერიოდი მომდინარეობს XVI - საუკუნის დასასრულიდან XVIII-საუკუნის დასაწყისამდე. ის პერიოდია, როდესაც განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებდა გადამხდელთა ინტერესებს და შესაბამისად გადამხდელთა ინტერესები ასახვას პოვებდა სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ, ისეთი სახის გადასახადების შემოღებაში, რომელიც გადამხდელისათვის მისაღები იყო. XVI-XVII-საუკუნეებში, თანამედროვე და განვითარებულ სახელმწიფოებში აღმოცენდა საგადასახადო სისტემა, რომელიც მოაწესრიგებდა საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ფინანსურ საკითხებს. XVI-საუკუნის დასაწყისისათვის, ევროპის ქვეყნებში არ არსებობდა ერთი ძირითადი გადასახადი, მაგრამ არსებობდა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პარლამენტი, რომელიც პერიოდულად ნებას რთავდა ხელისუფლებას შემოეღო საგანგებო გადასახადები., რომელთან ერთადაც არსებობდა ჩვეულებრივი გადასახადები, რომლის გადამხდელებიც იყვნენ ეგრედწოდებული ,,მესამე წოდებას" მიკუთვნებული ხალხი, კერძოდ სოფლის მცხოვრებნი და აგრეთვე ქალაქის მცხოვრებნი, რომლებიც თავადაზნაურთა კლასს არ მიეკუთვნებოდნენ.

სახელმწიფო თავისმხრივ ახორციელებდა კანონით მინიჭებულ უფლებას, რაც გამოიხატებოდა გადასახადების აკრეფაში, ზოგჯერ გადასახადის აკრეფა იძულებით ხასიათს ატარებდა, ურჩი გადამხდელის მიმართ ტარდებოდა იძულებითი გადახდევინების ღონისძიება.

XIX-საუკუნეში კი იწყება საგადასახადო დაბეგვრის მესამე პერიოდი, რომელიც დღემდე მომდინარეობს. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ გადასახადების დაბეგვრის მოცულობა და გადასახადების აკრეფის საკითხები წესრიგდება საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. XX-საუნუნის 50-70-იანი წლებისათვის დამახასიათებელია ისეთი საგადასახადო ფორმების შემუშავება, რომელიც წაახალისებდა გადამხდელს, ასეთი სახის მექანიზმი გულისხმობს:

- გადასახადების გონივრული ოდენობით შემცირება;
- ინვესტირებისათვის გათვალისწინებული იქნა შეღავათები;
- გათვალისწინებულ იქნა სამთო-მოპოვებითი საწარმოებისათვის
- გარკვეული შეღავათების შემოღება;
- საექსპორტო პროდუქციაზე შეღავათების დაწესება;
- საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის დაწესება;
- საგადასახადო შეღავათების დაწესებით სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქციო სამუშაოების განვითარების სტიმულირებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებამ საგადასახადო სისტემაში დიდი როლი ითამაშა. შემუშავებულმა საგადასახადო სისტემამ გარკვეულწილად საფუძველი ჩაუყარა მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მაგრამ, აღნიშნული რეფორმის გატარება არ აღმოჩნდა საკმარისი ეკონომიკის სათანადო დონეზე განვითარებისათვის, ამიტომაც XX_საუკუნის 80_იანი წლების დასაწყისში განხორციელდა საგადასახადო_საბიუჯეტო სისტემის რეფორმირება, რომელმაც მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები. რეფორმის გატარების აუცილებლობა გამოიწვია სახელმწიფოთა მიერ ეკონომიკაში აშკარა ჩარევამ და ჩვეული პოლიტიკის გატარებამ, რაც თავისმხრივ გამოიხატება საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მცდელობით, ინფლაციის მზარდი დონით და სხვა პროგრესული ღონისძიებათა გატარების აუცილებლობით.

XX-საუკუნეში საგადასახადო სისტემის რეფორმირების მეორე ეტაპი, მიჩნეულია როგორც მიზანმიმართული რეფორმების პერიოდად. იგი, პირველ რიგში მიზნად ისახავდა გადასახადების სტრუქტურის გამარტივებას, შემდეგ გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების სრულყოფას, შეღავათების შემცირებას, გადასახადების თავიდან აცილების შესაძლებლობების აღმოფხვრას და ბოლოს, საგადასახადო დაგეგმვის ეფექტურობას. საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რეფორმები დროთა განმავლობაში ევოლუციურ ხასიათს იღებდა. სწორედ ასეთი საგადასახადო სისტემის ევოლოციური განვითარების მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც რეფორმები ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი მოიცავს 1981-1986წლებს, როდესაც მოხდა მთელი რიგი საგადასახადო რეფორმების განხორციელება. ასეთივე სახის რეფორმები განხორციელდა 1979 წელს ინგლისში, რომელიც თითქმის ათი წლის განმავლობაში მიმდი-ნარეობდა. რეფორმები განხორციელდა გერმანიაშიც 1986-1990 წლებში. როგორც ჩანს, ადვილად განსახორციელებელი არ აღმოჩნდა საგადასახადო რეფორმის გატარება, საკმაოდ ხანგრძლივი და მძიმე გზა განვლო, რასაც მრავალი წელი დასჭირდა, რათა კონკრეტული შედეგი ყოფილიყო მიღწეული საგადასახადო სისტემის ჩამოსაყალიბებლად. მიღწეული შედეგები ყოველთვის არ ყოფილა იდეალური, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მიმდინარეობს სარეფორმო პროცესები საგადასახადო სისტემაში.

საგადასახადო დაბეგვრის, რეფორმირების ძირითადი მიმართულება გახლდათ: საშემოსავლო და მოგების გადასახადების ლიბერალიზაციით, რაც აისახებოდა განაკვეთების შემცირებისა და შეღავათების გაუქმებაში.

მაგალითისათვის, განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატები,სადაც საშემოსავლო განაკვეთი 14% შეადგენდა, რომელიც შეიცვალა და დაიყვანეს 4%-მდე, ხოლო უმაღლესი ზღვარი შემცირდა 46,6-დან 39%-მდე. ასევე შეიცვალა კორპორაციებზე გადასახადის განაკვეთი, იგი შემცირდა 46-დან 34%-მდე, რაც იმის მაუწყებელია, რომ სახელმწიფო სწორედ გადამხდელის ინტერესების გათვალისწინებით ახდენს საგადასახადო რეფორმის გატარებას. ეს ფაქტი ძალიან მისასალმებელი და მისაღებია, მაგრამ არსებობს უფრო მკაცრი რეალობა, როდესაც გადასახადის გადამხდელს უწევს საკმაოდ მაღალი გადასახადების გადახდა იმასთან შედარებით, თუ რა შემოსავალს ღებულობს საშუალოდ ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის სულ ცოტა 80%.

მიუხედავად იმისა, რომ არაპირდაპირი გადასახადების სფეროში მიმდინარე რეფორმები ორიენტირებული იყო და მიზნად ისახავდა ერთის მხრივ, საბაჟო გადასახადების ფისკალური დანიშნულების შემცირებას და მეორეს მხრივ, მისთვის უნივერსალური ფუნქციის მინიჭებას. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ რეფორმებს თან სდევდა საგადასახადო დაცვაზე კონტროლის გაძლიერება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მისი დარღვევების შემთხვევაში, ამოქმედდეს ეკონომიკური და ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრება.

XX-საუკუნის 80-90-იან წლებში, მიმდინარე საგადასახადო რეფორმების შედეგად ჩამოყალიბდა ორი ძირითადი ტენდენცია:

პირველი ტენდენცია მდგომარეობს შემდეგში, რომ განვითარებული ქვეყნების ერთმა ნაწილმა აქცენტი პირდაპირ გადასახადებზე გადაიტანა. ასეთი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრია, იაპონია და სხვანი.

მეორე ტენდენცია კი გულისხმობდა არაპირდაპირ მომსახურებასა და მოხმარებაზე დაწესებულ გადასახადებში გამოვლინდა. ევროპის ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში განხორციელებული საგადასახადო რეფორმები განსხვავებული მიმართულების იყო, ამასთან შეიმჩნეოდა განვითარების საერთო ტენდენციებიც, კერძოდ კი იაპონიაში, ადგილობრივი გადასახადები ქვეყნის ბიუჯეტში 30%-ს, ხოლო აშშ-ში 65%-ს შეადგენდა.

განხორციელებული რეფორმებზე არ შეჩერებულა მთელი რიგი ევროპის ქვეყნები და მათ შორის საქართველოც, სისტემატიურად მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურა და საფინანსო სფერო, რათა უკეთესი და უკეთესი საგადასახადო სისტემა იქნეს შემუშავებული და მათ მიერ დღესაც მიმდინარეობს საგადასახადო დაბეგვრის ეფექტურობის ამაღლებისათვის თეორიული და პრაქტიკული გზების ძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებას თანამედროვე ეტაპზეც არ აქვს სრულფასოვანი და იდეალური საგადასახადო დაბეგვრის სისტემა, ამიტომაც მიმდინარეობს მუდმივი საგადასახადო რეფორმები თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყნებში.

ევროპის მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და საგადასახადო სისტემის გამოყენების შეფასების მაგალითზე შესაძლებელია გამოიკვეთოს საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმდინარე განვითარების ანალიზი და უმთავრესად განისაზღვროს საგადასახადო რეფორმის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, ეს მიმართულებები გულისხმობს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მოხდეს სტაბილური საგადასახადო სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს საფინანსო წლის განმავლობაში გადასახადების უცვლელობას, ერთიანობას, ამასთანავე გადასახადების ურთიერთწინააღმდეგობის აღმოფხვრას. შემდეგი საფეხური გულისხმობს გადასახადების საერთო რაოდენობის შემცირებას და პარალელურად, იმ მიზნობრივი გადასახადების გაუქმებას, რომელსაც არ მოაქვს მნიშვნელოვანი შემოსავლები. შემდეგი მიმართულება, შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელს ხდის საქონლის მწარმოებლისათვის საგადასახადო წნეხის შემცირებას, ბუნებრივია შეღავათების საფუძველზე.

მომდევნო საფეხური გულისხმობს ქვეყანაში მოქმედი გადასახადების საერთაშორისო გადასახადებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფას, რაც ხელს არ უნდა უშლიდეს ეროვნული საგადასახადო პოლიტიკის გატარებას. პრიოტეტულია საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა, რაც გავლენას მოახდენს ეკონომიკის სტაბილურობასა და განვითარებაზე.

საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს ერთ-ერთი და არა ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი არ არის ერთადერთი, რადგან სახელმწიფოსათვის ასევე მნიშვნელოვანია კარგად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, სწორად შერჩეული და დაგეგმილი ტურიზმი, ექსპორტ-იმპორტი და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი დარგის განვითარება.

საინტერესოა, თუ რა შეხედულება აქვს დიდ სასულიერო მოღვაწეს და ფილოსოფოსს-თომას აქვინელს, რომელიც გადასახადებს განმარტავდა, როგორც ,,ძარცვის ნებადართულ ფორმა''-ს.

გავაანალიზეთ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის წარმოშობის ისტორია, მისი დადებითი და უარყოფითი თვისებები, განვიხილეთ საგადასახადო სისტემა მოყოლებული უძველესი დროიდან დღემდე, გავეცანით საფინანსო სისტემის განვითარების თითოეულ საფეხურს, მაგრამ არ გვისაუბრია საგადასახადო - საბიუჯეტო სისტემის სრულყოფილებაზე, მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, ასევე ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევებზე.

რამდენადაც, ქვეყნის საგადასახადო - საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, შესაბამისად ეფექტური საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს და ამიტომ მისი სრულყოფის გზების ძიება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების კონცეფციის დამუშავება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სახელმწიფოები ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი ტიპის საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა, რომელიც ერთის მხრივ გაითვალისწინებს გადამხდელთა ინტერესებს და ქვეყანაში არსებულ სოციალურ დონეს, მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს მიერ დასახული კონკრეტული ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების თავისებურებებს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯერ არც ერთ მაღალგანვითარებულ და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაშიც არ შემუშავებულა ისეთი ტიპის საგადასახადო საბიუჯეტო სისტემა, რომელიც მისაღები გახდებოდა ყველა გადამხდელისათვის, მათ შორის ბუნებრივია, არც საქართველოში. ამიტომაც, სისტემატიურად მიმდინარეობს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემაში რეფორმების განხორციელება. მეცნიერები, ფინანსისტები ინტენსიურად მუშაობენ იმისათვის, რათა საგადასახადო სისტემამ მიაღწიოს სრულყოფილების გარკვეულ ეტაპს. იმისათვის, რომ ეს რეალიზებული იქნეს პრაქტიკაში, საჭიროა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან ერთად, არ ჩაახშოს კერძო მეწარმეობის საქმიანობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც, როდესაც სახელმწიფო ან მთელი რიგი ქვეყნები დიდი ფინანსური კრიზისის წინაშე დგებიან, თუნდაც როგორც ეს XXI-საუკუნის დასაწყისში მოხდა (2009-2010 წლებში). შემცირდა საბანკო-საკრედიტო მომსახურეობა, იკლო სასოფლო-სამეუნეო პროდუქციის წარმოებამ, ტურიზმის განვითარებას საგრძნობლად შეეშალა ხელი, შემცირდა ექსპორტ-იმპორტის წარმოება და მრავალი სხვა საფინანსო დარგი შესუსტდა, რამაც გამოიწვია კრიზისული ვითარება სახელმწიფოებში. აღნიშნული ვითარება იძულებულს ხდის სახელმწიფოს შეიმუშაოს და შეცვალოს სტრატეგია, როგორც საფინანსო, ასევე საგადასახადო კუთხით, გაითვალისწინოს საგადასახადო ტვირთის არათანაბარი განაწილების პრაქტიკა.

არსებობს ორი მხარე: ერთის მხრივ სახელმწიფო, რომელიც აწესებს გადასახადებს და მეორეს მხრივ მოსახლეობა, რომელიც იხდის აღნიშნულ გადასახადებს. ამიტომ გასათვალისწინებელია მხარეთა ინტერესების დაბალანსება და პრაქტიკაში განხორციელება. სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა, მათი ურთიერთკავშირი კი ბიუჯეტში ფინანსური ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. სწორედ იგი განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო დაბეგვრის მოცულობის შემცირებას ან გაზრდას. დღესდღეისობით ბიუჯეტური კლასიფიკაციის სრულყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების სისტემატიზაციის საფუძველზე ბიუჯეტის რაციონალურ შედგენას, მის შესრულებას, აღრიცხვის გამჭვირვალობასა და პარალელურად გამოყოფილი თანხების მიზნობრივად გახარჯვას. ხარჯების პერსპექტიული დაგეგმვა სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი საფინანსო პოლიტიკის ფინანსური შედეგების პერსპექტივაში დასახვა, რასაც არცთუ ისე ბევრი ქვეყანა ითვალისწინებს და მათ შორის საქართველოც. რაც თავის მხრივ გულისხმობს ხარჯების არაპერსპექტიულ დაგეგმვას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება და დამტკიცება არსებითია, მაგრამ მთავარია მისი შესრულება. ამიტომაც სახელმწიფო ბიუჯეტს სჭირდება რეგულირება, რადგან მასიურად გაკონტროლდეს ბიუჯეტში შემოსული და გასული თითოეული ლარი, რაც თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. როგორც ფინანსისტ-ეკონომისტები ამტკიცებენ, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის გამოსწორებისათვის აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმის გარკვევას: პირველი, თუ რა მოცულობის დეფიციტი უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას; მეორე, რა ცვლილებებია საჭირო, რომელსაც სახელმწიფო ხარჯების მდგომარეობა და მათი მართვა მოითხოვს; მესამე, რა სახის რეფორმებია აუცილებელი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებისა და გადასახადების ამოღებისათვის. ამ საკითხების გადაწყვეტა კი შეუძლებელია ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების მაკრო-ეკონომიკური ანალიზისა და მისი ინფლაციასთან გარკვევის გარეშე.

ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი იაკობ მესხია აღნიშნავს და მიუთითებს, რომ ქვეყანაში შემოსავლების რეალური ზრდის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია საგადასახადო სიატემის რეფორმირება, რაც გულისხმობს:

პირველი, გადასახადების (დღგ-ს, მოგების, საშემოსავლო და სხვა გადასახადის) განაკვეთების დიფერენციაციას შემოსავლის მიხედვით;

მეორე, დასაბეგრი ბაზის უნიფიკაციას (ერთიან სისტემაში მოქცევა) და ამის საფუძველზე ერთი ტიპის გადასახადების გაერთიანებას დაბეგვრის ობიექტების მიხედვით;

მესამე, ცალკეული კატეგორიის გადამხდელისათვის საგადასახადო შეღავათების გაუქმებას და შემდგომში შეღავათების დაწესებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებას;

მეოთხე, ვადაგადაცილებულ დავალიანებათა, ასევე არამიზანმიმართული რესტრუქტურიზაციის აღმოსაფხვრელად ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შექმნას;

მეხუთე, ახალი სახის გადასახადების დაწესებას, რომელიც მორგებული იქნება არა მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებზე, არამედ გადამხდელთა ინტერესთა გათვალისწინებით;

მეექვსე, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების თანამშრომლების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

როგორც ცნობილია, ყველა საქმე მოითხოვს პასუხისმგებლობას, მაღალკვალიფიციურ კადრებს და მომსახურების მაღალ დონეს. მათ შორის საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის დარგში მნიშვნელოვანია ზუსტად და კარგად დაგეგმილი ფინანსების გათვლა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საფინანსო-საბიუჯეტო სისტემა და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქვეუწყებო რგოლი-საგადასახადო სისტემა, წარმოადგენს სახელმწიფო საარსებო წყაროს და მაფუნქციონირებელ ძალას, რომელზედაც დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარება, ხოლო საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მოქმედების ხარისხს განსაზღვრავს ის მდგომარეობა, თუ რამდენად გამჭვირვალე და მიუკერძოებელია მისი მოქმედების არე ბიუჯეტის ფორმირებაში და რამდენად წარმატებით ხდება შემოსავლების რეგენერაცია, შემდგომში ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის ანუ სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინება.

შესაბამისად, როგორც სახელმწიფო აპარატმა, ასევე საზოგადოებამ უნდა მოახდინოს ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც ასახვას პოვებს სახელმწიფოს განვითარებაში და საზოგადოების ეკონომიკურად გაძლიერებაში. ეს კი სახელმწიფო დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან შეუძლებელია მშიერი და დაკნინებული საზოგადოება დემოკრატიული იყოს, ან კანონ მორჩილებაზე ვესაუბროთ. რომ აღარაფერი ვთქვათ გადასახადების დაბეგვრის სისტემის არსებობაზე, როდესაც საზოგადოება თვითგადარჩენის ინსტიქტით მოქმედებს, იქ საუბარიც ზედმეტია ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულებების დაკისრებაზე საზოგადოებისათვის. ამიტომ სახელმწიფომ უნდა შეძლოს ისეთი საფინანსო, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შემუშავება და პრაქტიკაში გატარება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოების ინტერესები.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები

1. საგადასახადო დაბეგვრის განვითარების ისტორიაში რამდენ ძირითად პერიოდს, გამოარჩევენ?
2. რას წარმოადგენს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა?
3. XX-საუკუნის 80-90-იან წლებში, მიმდინარე საგადასახადო რეფორმების შედეგად რა ძირითადი ტენდენციები ჩამოყალიბდა?

ფინანსების არსი და ფუნქციები, საფინანსო სისტემა

ფინანსების არსის და ფუნქციების განხილვა დავიწყო თვითონ ტერმინი ,,ფინანსების" განმარტებით. ტერმინი ,,ფინანსები" წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან ,,ფინანსია", რაც ნიშნავდა შემოსავალს, გადასახადს. ეს ტერმინი ძველი ლათინური ,,ფიგო" – გავყოთ და ბოლოს, გვიანდელი ,,ფინის" – დამთავრებას, საზღვარს, ბოლოს ნიშნავდა.

ფინანსები როგორც ურთიერთობა კაცობრიობის მნიშვნელოვანი შენაძენია. ადამიანთა საზოგადოების მეურნეობრივი მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს ყოველთვის წარმოადგენდა ფინანსები. Fინანსები არის მეცნიერება იმის შესახებ, ადამიანებმა რა გზათ უნდა მართონ დეფიციტური ფულადი რესურსების შემოსვლა და ხარჯვა დროის გარკვეულ პერიოდში.

როგორც საზოგადოების, ასევე ნებისმიერი წევრის მიერ მიღებული ფინანსური გადა-წყვეტილება ხორციელდება საფინანსო სისტემის დახმარებით. საფინანსო სისტემა წარმოადგენს ბაზრებისა და სხვა ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება ფინანსური გარიგებები, აქტივების გაცვლისა და რისკის მართვის პროცესში. საფინანსო სისტემა მოიცავს: აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრებს, საფინანსო შუამავლებს, საფინანსო მომსახურების ფორმებს და ყველა ამ დაწესებულებათა მარეგულირებელ ორგანოებს.

ფინანსები არ მიეკუთვნება ზუსტ მეცნიერებებს. ფინანსების, როგორც მეცნიერების სარგებლიანობა სამეურნეო საქმიანობის მრავალი პრობლემის გადაჭრაში გამოიხატება, რომელთა საბოლოო მიზანია მოგების მაქსიმიზაცია.

ფინანსების არსის, მისი წარმოშობის ობიექტურობისა და აუცილებელი ფუნქციონირების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ფინანსების როლის გარკვევა.

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ისტორიულ სტადიაზე ადგილი ქონდა შრომის დანაწილებას. თავდაპირველად პირველყოფილ ტომებს გამოეყო მეცხოველეობაში დასაქმებული ტომები, ხოლო შემდეგ – სოფლის მეურნეობას გამოეყო ხელოსნობა. შრომის ეს ორი საზოგადოებრივი დანაწილება გახდა დამატებითი პროდუქტის წყარო, რომელიც გამიზნული იქნა გადასაცვლელად. თავდაპირველად მას სპორადული ხასიათი გააჩნდა, ხოლო შემდეგ – თანდათანობით გაცვლას რეგულარული ხასიათი მიეცა. საქონლის გაცვლის განვითარებას თან მოჰყვა საყოველთაო ეკვივალენტის – ფულის გაჩენა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კაცობრიობას ფულის გაჩენაზე უფრო დიდი არმოჩენა არ გაუკეთებია.

ხშირად ყოველდღიურ ცხოვრებაში ტერმინს - ,,ფინანსებს" აიგივებენ ფულთან, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ საქმე გვაქვს ორ სხვადასხავა ეკონომიკურ კატეგორიასთან, ორ ეკონომიკურ ბერკეტთან, რომლებიც გამოხატავს ორ სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენას. აქედან გამომდინარე არასწორია ,,ფინანსების" გაიგივება ,,ფულად რესურსებთან" ანის მიუხედავად ფინანსების არსებობა ფულიუს გარეშე წარმოუდგენელია.

პირველყოფილი თემური საზოგადოების დაშლის ბაზაზე შეიქმნა მონათმფლობელური სახელმწიფო. აიწყო ერთ მხარეზე ფულის მოთხოვნის ზრდა, რის შედეგადაც ხელი შეეწყო მეორე მხარეზე მევახშეობის განვითარებას. შრომის მესამე დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ ანუ ვაჭართა კლასმა უფრო განვითარებული გახადა მევახშეობა. ფულმა საყოველთაო მიმოქცევის ფუნქციის პარალელურად შეიძინა სხვისი შრომის მითვისების ფუნქცია და გადაიქცა კაპიტალად.

მონათმფლობელური სახელმწიფო ხელისუფლება მონათმფლობელთა კლასისაგან და-კისრებული ფუნქციების შესასრულებლად მოითხოვდა სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებას, რის გამოც აუცილებელი გახდა შემოსავლის წყაროების გამონახვა. პირველი წყარო გადასახადები იყო. აქედან გამომდინარე, მონათმფლობელურმა საზოგადოებამ კაცობრიობას მისცა სახელმწიფო ფინანსები.

,,ფულადმა გადასახადმა" თავისი ნამდვილი მნიშვნელობით პირველად გამოყენება ჰპოვა მე-12 საუკუნის იტალიაში, როდესაც იტალიის ქალაქები გენუა, ფლორენცია და ვენეცია ევროპის უმსხვილესი სავაჭრო და საბანკო ცენტრებს წარმოადგენდნენ. მე-16 საუკუნის გერმანიაში ტერმინმა ,,ფინანსები" ძირითადი მნიშვნელობის–ფულადი გადასახადების პარალელურად მიიღო გამომძალ-ველობის, თაღლითობის მნიშვნელობაც. მე-16 საუკუნეში საფრანგეთში ტერმინმა ,,ფინანცე" მიიღო სახელმწიფო ქონების ერთობლიობის შინაარსი. ფინანსები, როგორც ისტორიული კატეგორია წარმოიშვა სახელმწიფოს შექმნის პარალელურად, როდესაც საზოგადოების კლასებად დაყოფა დაიწყო.

კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში, განსაკუთრებით მონათმფლობელური სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად გამოიყენებოდა: სახელმწიფოს ქონებიდან შემოსავალი, ნატურალური და ფულადი გადასახადები, გადასახადი მონებზე, არაპირდაპირი გადასახადები. მონათმფლობელურ სახელმწიფოს დიდი შემოსავალი დააჩნდა მოგებული ომებიდან. იძულების წესით ახდენდნენ დაპყრობილი სახელმწიფოს მოსახლეობის ქონების კონფისკაციას.

ფეოდალური წარმოების წესის საფუძველს წარმოადგენდა გაბატონებული კლასის – მემამულის საკუთრება მიწაზე და უშუალო მწარმოებლების – გლეხების ექსპლუატაცია, რომლებიც ფეოდალებზე პირად დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ და მიჯაჭვულნი იყვნენ მიწაზე.

ფეოდალური იერარქიის სათავესთან იდგა მეფე, რომელიც ფლობდა მიწების დიდ მასას და ყმების დაბეგვრის უფლება ჰქონდათ. ფეოდალიზმის დროს დიდი მიწების მფლობელი ეკლესიაც, რომელსაც თავისი ფინანსები გააჩნდა.

ფეოდალური სახელმწიფოს ფინანსების განვითარებას ხელს უწყობდა შუასაუკუნეების ქალაქების ფუნქციონირება. ქალაქის მოსახლეობის მთავარი საქმიანობა იყო ხელოსნობა და ვაჭრობა. ქალაქებში ვითარდებოდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები.

ფეოდალიზმის დროს ყველაზე მსხვილ ხარჯებს წარმოადგენდა სამხედრო ხარჯები, რომლებიც მთლიან სახელმწიფო ხარჯებში 27-დან 75%-მდე შეადგენდა. ეს ხარჯები მძიმედ აწვებოდა გლეხებს და ქალაქის მოსახლეობას.

სახელმწიფო სახსრებიდან დიდი თანხები იხარჯებოდა მეფის სასახლისა და მისი ოჯახის ფუფუნებისათვის, ელჩების შესანახად, ტყვეების გამოსასყიდად, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა შესანახად. აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან გარკვეული თანხები იხარჯებოდა სახელმწიფო აპარატის შესანახად. სახელმწიფო და სასამართლო პირადი სარგებლობისათვის მოსახლეობას დამატებით ხარჯებს აკისრებდა.

ფეოდალურ სახელმწიფოს ხარჯებთან ერთად აგრეთვე ჰქონდა შემოსავლები. ფეოდალური სახელმწიფოს შემოსავლები შედგებოდა პირადი და ნატურალური შემოწირულობებისა და გადასახადებისაგან. ასევე არსებობდა ქონებრივი გადასახადები, საბაჟო გადასახადები, გადა-სახადები ვაჭრობიდან, აქციზები, კონტრიბუცია და სახელმწიფო სესხები. ყველა შემოსავალი დაფუძნებული იყო განაწილებით ურთიერთობებზე.

ფეოდალურ საზოგადოებამ განვლო სამი სტადია: ადრეული პერიოდი, განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი და გვიანდელი ანუ ფეოდალიზმის რღვევის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამებოდა რენტის სამი სახე: შრომამიგებითი რენტა, რენტა პროდუქტებით და ფულადი რენტა. აღმოსავლეთის ქვეყნებში იყო მხოლოდ რენტა პროდუქტებით და ფულადი რენტა.

გლეხობა აწარმოებდა ზედმეტ პროდუქტს ფეოდალის მამულში, ხოლო აუცილებელ შრომას თავის მამულში. ფეოდალი ითვისებდა მხოლოდ ზედმეტ შრომას. სახელმწიფო შემოსავლები გამოხატავდნენ ექსპლუატაციის ძირითად და დამატებით ფორმებს.

ფულადმა გადასახადებმა გააძლიერეს გლეხთა ექსპლუატაცია. რენტა პროდუქტის დროს გლეხი აძლევდა ფეოდალს, ეკლესიას და სახელმწიფოს რენტას ნატურალური სახით, ხოლო ფულადი რენტის დროს გლეხი მოვალე იყო ჯერ გაეყიდა საკუთარი პროდუქტი და ფული მიეცა სახელმწიფოსა და ფეოდალისათვის.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეოდალიზმის დროს გლეხობა დაჩაგრული იყო და სახელმწიფო იღებდა მათგან ზედმეტ და არასწორ გადასახადს. გლეხებს ზედმეტი შრომა უწევდათ რათა გადაეხადათსახელმწიფოსაგად ზედმეტად და არასწორად დაკისრებული გადასახადები.

ფინანსების შესახებ სერიოზული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ფილოსოფოსებს, მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს. ფინანსების შესახებ საკითხებს თავის თხზულებებში იხილავს ფრანჩესკო პეტრარკი, რომელიც არის იტალიაში რენესანსისა და ჰუმანიზნის ფუძემდებელი. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფო იშვიათად უნდა მიმართავდეს გადასახადებს და აგრეთვე იბრძვის ყალბი ფულის გამოშვების წინააღმდეგ.

იმის მიუხედავად, რომ ყველა მოაზროვნე შეეხო გადასახადებს, ფინანსების სხვა საკითხებს, მათ ვერ შეძლე მეცნიერული ახსნა მოეცათ ფინანსურ ურთიერთობებზე, სახელმწიფო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებზე.

ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენციის თანდათანობით განვი-თარების კვალობაზე მეტ მნიშვნელობას იძენდა სახელმწიფოს ფულადი შემოსავლები და ხარჯები.

სახელმწიფო ფინანსები – არის ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული ფორმა, რომელიც დაკავშირებულია მთლიანი ეროვნული პროდიქტის მეორად, აგრეთვე პირველად განაწილება-მოხმარებასთან, ფულადი ფონდების შექმნის მიზნით სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებისას გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად. ფულადი ფონდების მატერიალური შინაარსი განივთებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში, სპეციალურ ფონდებსა და სახელმწიფო საწარმოთა ფინანსებსი.

ისტორიულად ცნობილია წარმოების სამი ფაქტორი: შრომა, მიწა და კაპიტალი. ამ სამი ფაქტორის განსახორციელებლად აუცილებელია მეწარმეობრივი უნარი, ხოლო მეწარმის შემოსავლად წარმოგვიდგება მოგება, რომელიც მეწარმის რისკის საფასურია. ეს რისკი კი დაკავშირებულია შრომის მიწისა და კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების პასუხისმგებლობასთან.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს არცერთი სახელმწიფო, რომელიც გადასახადის გარეშე არსებობს. გადასახადები არის სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარი წყარო. ყველა სახელმწიფოს აკისრია ისეთი ფუნქციები, რომლებიც დიდი მნიშვნელობისაა და რომელთა განხორციელებისათვის აუცილებელია გადასახადები. ამრიგად, სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითად წყაროს წარმოადგენს გადასახადები.

სახელმწიფოსა და ნებისმიერი ეკონომიკური სტრუქტურის შესწავლა ფინანსური სექტორის ანალიზის გარეშე შეუძლებელია, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ირთიერთობების და მათი მარეგულირებელი ინსტიტუტების რეთობლიობას პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციელური სფეროების საქმიანობის მრავალფეროვნად შესასრულებლად სახელმწიფო ფინანსური მექანიზმით ქმნის და იყენებს ფულადი საშუალებების ფონდებს.

ფულად ურთიერთობათა განუყოფელი ნაწილია ფინანსები და აქედან გამომდინარე მათი როლი და მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე რა ადგილს დაიჭერს ფულადი ურთიერთობა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. ამის მიუხედავად ფულადი ურთიერთობა ყოველთვის არ გამოხატავს ფინანსურ ურთიერთობებს. ფული ფინანსების აუცილებელი პირობაა, აქედან გამომდინარე ვერ ვიფიქრებთ ფინანსურ ურთიერთობებზე ფულის გარეშე.

ფინანსები ფულისაგან განსხვავდება შინაარსით და ასევე შესასრულებელი ფუნქციებით. ფული არის საყოველთაო ეკვივალენტი, რომლითაც გამოითვლება ასოცირებული მწარმოებლების შრომის დანახარჯები, ხოლო ფინანსები არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის და ეროვნული სიმდიდრის ნაწილის განაწილება-გადანაწილების ეკონომიკური ინსტრუმენტი.

ფინანსური ურთიერთობები, როგორც ფულადი ურთიერთობები იქმნება: საწარმოებს შორის სასაქონლო- მატერიალურ ფასეულობათა შეძენის, მზა პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციის პროცესში; სახელმწიფოსა დასაწარმოებს შორის ერთის მხრივ, სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს მიერ საწარმოს წინაშე აღებული ვალდებულების პროცესში; სადაზღვევო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და მოქალაქეებს შორის; ცალკეულ საბიუჯეტო დაწესებულებებს შორის და სხვა.

სახელმწიფოს ფულადი შემოსავლებისა და ფულადი ფონდების მატერიალური წყაროებია ეროვნული სიმდიდრე, მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი.

ფინანსები არის მეცნიერება, რომელიც განსაზღვრავს რა გზით მართავენ ადამიანები არასაკმარისი ფულადი რესურსების მობილიზაციასა და ხარჯვას დროის განსაზღვრულ პერიოდში. ფინანსური მართვა ნიშნავს ფინანსური გადაწყვეტილების მიღებას რომლებისთვისაც დამახასიათებელია ხარჯები და შემოსავლები: გაფანტულია დროში და შეუძლებელია მისაღები შედეგების წინასწარ განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნულიდან სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

მთლიანი ეროვნული პროდუქტი მინუს კაპიტალის მოხმარების ანარიცხები ტოლია წმინდა ეროვნული პროდუქტის, ხოლო ამ უკანასკნელის მინუს ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადი ტოლია ეროვნული შემოსავლის.

ფინანსები, გამანაწილებლობითი კატეგორიაა. მისი მეშვეობით ხორციელდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის, წმინდა ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილება და გადანაწილება. განაწილებითი პროცესი მიმდინარეობს არა მარტო ფინანსების მეშვეობით, არამედ ფასების და კრედიტის ფართო გამოყენებით.

ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი მის ფუნქციებში ვლინდება. პირველი გამანაწილებლობითი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ყველაზე მეტად ვლინდება ფინანსების

სახელმწიფო-სამეურნეო დანიშნულება. ფინანსების გამანაწილებლობითი ფუნქციის მოქმედების ობიექტებია: მთლიანი ეროვნული პროდუქტის ღირებულება, ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე ფულად ფორმაში გამოხატული. ძირითადი შემოსავლები 2 ჯგუფად იყოფა:

1. მუშების, მოსამსახურეების ხელფასებად, ფერმერებისა და გლეხების შემოსავლებად. 2. მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროების შემოსავლებად.

ფინანსების გამანაწილებლობითი ფუნქცია ხასიათდება სირთულეებით და მრავალ-მხრივობით. ფინანსები ემსახურება განაწილების სხვადასხვა ეტაპებს, მონაწილეობს მთლიანი ეროვნილი პროდუქტის როგორც პირველად, ისე მეორად განაწილებაში.

ნებისმიერი ეკონომიკური პირობებში ფინანსების გამანაწილებლობითი ფუნქცია ქმნის სამი სახის ფონდის შექმნის პირობებს:

1. საბიუჯეტო ფონდების ფორმირება განაწილების საშუალებით (ფ1 – ფ) ;

2. წარმოების საშუალებების ფონდის დაფინანსება განაწილების გზით (ფ1 –ფ) საწარმოო ფონდების კაპიტალის წრებრუნვის რეგულირებისათვის;

3. მოხმარების საგნების ფონდის დაფინანსება განაწილების საშუალებით (ფ- ფ), ანუ შემოსავლების ხარჯვა გაცვლით განპირობებული განაწილების მეშვეობით (ფ – ს).

,,ღირებულების გასხვისება და მიღება ღირებულების ფორმათა ცვლას კი არ გამოხატავს, არამედ ღირებულების მოძრაობას წმინდა განაწილების საშუალებით, ერთი მხარე ღირებულების ფულადი ფორმით ასხვისებს, მეორე მას იღებს. ფულადი ფონდების ეს მოძრაობა ნამდვილი წრებრუნვის გარეშე სრულდება და გამოიხატება ფორმულით ფ1 – ფ1.”

საქართველოში გამანაწილებლობითი ფუნქციის შესრულებისას ფინანსები უნდა მო-ემსახუროს ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული დარგების, სოფლის მეურნეობის, საგზაო და სატრანსპორტო კომუნიკაციების, ენერგეტიკის და სხვა სტრუქტურულ გარდაქმნებს. ასევე მნიშვნელოვანია ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის დაფინანსება. მაგ. პენსიონერები, სტუდენტები, მრავალშვილიანი დედები და სხვა.

ფინანსების გამანაწილებლობითი ფუნქცია უშუალო კავშირშია საკონტროლო ფუნქციასთან. საბიუჯეტო პროცესი მთლიანობაში დაკავშირებულია ფინანსების საკონტროლო ფუნქციასთან. Fფინანსების საკონტროლო ფუნქცია ვლინდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის შესაბამის ფონდებში მოქცევისა და შემდგომში მისი მიზნობრივი ხარჯვის განაწილების კონტროლში. ფინანსების საკონტროლო ფუნქციას თავისი ამოცანები გააჩნია: ქვეყანაში საფინანსო კანონმდებლობის ზუსტი დაცვის შემოწმება, საგადასახადო სამსახურების, ბანკების, საბიუჯეტო სისტემის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა დროულად და სრულად შესრულების კონტროლი, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებათა და გადასახადების ურთიერთ-ვალდებულებათა შესრულების კონტროლი. ფინანსების საკონტროლო ფუნქციის საფუძველია ფინანსური რესურსების მოძრაობა, რომლებიც იქმნება როგორც ფონდების, ისე ფონდგარეშე ფორმების სახით.

ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ეფექტურობა დამოკიდებულია ეროვნულ მეურნეობაში ჩამოყალიბებულ საფინანსო დისციპლინაზე. საფინანსო დისციპლინა სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, ყველა მენეჯერისათვის. საზოგადოების თითოეული წევრი ვალდებულია უპირობოდ შეასრულოს სახელმწიფოს წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური მეცნიერების საფუძვლიანი შესწავლა აუცილებელი და საჭიროა იმიტომ, რომ მისი არსი ღრმად არის ჩამარხული ფინანსური ფუნქციების გარეგანი გამოვლინების ფორმებში.

ფინანსური ფუნქციების პრობლემათა გამოკვლევების გაგრძელება საფუძვლიანია, რომ ხელს შეუწყობს მისი ფუნქციების ეფექტიანობის ამაღლებას.

ფინანსების გამანაწილებლობით და საკონტროლო ფუნქციებს მხარს უჭერს მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილი, ზოგი კი ეწინააღმდეგება. ეს ალბათ იქიდან გამომდინარეა, რომ ნებისმიერ საკითხს ჰყავს მომხრე და მოწინააღმდეგე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფული რომელიც ასრულებს გამანაწილებლობით და საკონტროლო ფინქციებს, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში უკვე არა ფულია, არამედ ფინანსები.

კატეგორიები მეცნიერების ძირითად შინაარსს გამოხატავენ. შემეცნებითი პროცესი კატეგორიების მეშვეობით სრულდება, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ პროცესები და მოვლენები დანაწევრდეს აზრობრივად, რაც გამოხატავს საგნის განსაზღვრულობას.

ფინანსური მეცნიერების კატეგორიებია: ფინანსები, ბიუჯეტი, სახელმწიფო შემოსავლები, გადასახადები, სახელმწიფო ხარჯები და სხვა.

ფინანსები გამანაწილებლობით ფუნქციას ასრულებს და მონაწილეობას იღებს ღირებულებით განაწილებაში. მჭიდრო კავშირშია და ზემოქმედებს ეკონომიკურ კატეგორიებთან, როგორიცაა: ფასი, ხელფასი, ფული, კრედიტი, ანგარიშსწორება და ა.შ.

ფიზიკირი და იურიდიული პირი ფასით იღებს ფულადი სახსრების კონკრეტულ სიდიდეს. ღირებულებაზე მეტი ანუ მაღალი ფასები არაპირდაპირ გადასახადად გადაიქცევა. ფასი გადასახადის შინაარსს იღებს, როცა მეწარმეები საქონელს ყიდიან წარმოების ხარჯებზე დაბალ ფასებში, ამ შემთხვევაში საწარმოს ხარჯები იფარება ბიუჯეტის ხარჯზე, ან დაბალი ფასებით ამარცხებენ კონკურენტებს და ისევ მონოპოლიურ ფასებს აწესებენ.

ეროვნული პროდუქტის ღირებულების განაწილებაში ფინანსების კატეგორიასთან მონაწილეობს ხელფასი, რომლის გარეშეც შეუძლებელია სამუშაო ძალის მატერიალიზაცია. ღირებულებით განაწილებაში ასევე აქტიურად მონაწილეობს კრედიტი. ფინანსებს და კრედიტს ბევრ საკითხში მსგავსება ახასიათებთ, მაგრამ ფუნქციებითა და ხასიათით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. კრედიტი აუცილებლად დასაბრუნებელია, ასევე ვადიანი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს. საკრედიტო რესურსების ფორმირების წყარო და ფინანსური რესურსების ფორმირების წყარო სხვადასხვაა.

საკრედიტო რესურსების ფორმირება წარმოებს იურიდიული და ფიზიკური პირების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების დანაწილების პროცესში, ხოლო ფინანსური რესურსებისა შემოსავლებისა და მოგებისაგან, რომელიც ღირებულების გადანაწილების პროცესში წარმოიქმნება.

საკრედიტო რესურსები ეძლევათ მსესხებლებს კომერციული ბანკების მეშვეობით განსაზღვრული ვადით, გადახდისა და დაბრუნების პირობებით, ხოლო ფინანსური რესურსები ეძლევათ ღონისძიებათა და პროგრამების დასაფინანსებლად ქვეყნის საკანონმდებლო და მართვის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით, რომლებიც არ ბრუნდება.

ფინანსების ფუნქციონირება ხელს უწყობს საკრედიტო რესურსების შექმნას და ზრდას, კრედიტის ფუნქციონირება კი საშუალებას იძლევა ფინანსური ფორმირება მეურნეობრიობის სუბიექტებისა და სახელმწიფო განკარგულებაში მოხდეს, მათ შორის ფინანსური ბაზრის მეშვეობითაც.

საფინანსო სისტემა წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროების ერთობლიობას, რომლის პროცესში წარმოებს ფულად საშუალებათა ფონდების შექმნა და გამოყენება. საფინანსო სისტემა – ეს არის სახელმწიფოსა და საწარმოების ფულად საშუალებათა ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმირებისა და მეთოდების სისტემა.

საფინანსო სისტემა მოიცავს აქციების, ობლიგაციების და სხვა საფინანსო ინსტრუმენტების, საფინანსო შუამავლების ბაზრებს, ფირმებს, რომლებიც სთავაზობენ ფინანსურ მომსახურებას და ორგანოებს, რომლებიც არეგილირებენ ყველა ამ დაწესებულებათა საქმიანობას.

ნებისმიერი სახის ეკონომიკური სუბიექტები იმისთვის არსებობენ, რომ ხელი შეუწყონ საფინანსო სისტემის ამ ძირითადი ფუნქციის შესრულებას.

საფინანსო სისტემის ფუნქციები ეფუძნება ორ ძირითად წინაპირობას:

1. საფინანსო სისტემის ფუნქციებს საფინანსო ინსტიტუტებთან შედარებით სტაბილური ხასიათი გააჩნია. რომლის მიხედვით მათი ცვლილებები უფრო მყარია, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნების საფინანსო სისტემის ფუნქციები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან;

2. საფინანსო ინსტიტუტების ფორმა გამომდინარეობს მათი ფუნქციებიდან.

საფინანსო სისტემის მთავარი ფუნქციაა ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილება. ამასთან, ამ სისტემას გააჩნია ექვსი საბაზრო ფუნქცია:

1. დროში ეკონომიკური რესურსების ერთი გეოგრეფიული რეგიონიდან მეორეში, აგრეთვე ეკონომიკის ერთი დარგიდან მეორეში გადაადგილების წესებით უზრუნველყოფა;

2. რისკის მართვის წესებით უზრუნველყოფა;

3. ვაჭრობის განვითარებისათვის კლირინგისა და ანგარიშსწორებათა განხორციელების წესებით უზრუნველყოფა;

4. სხვადასხვა საწარმოებში ფინანსური რესურსების გაერთიანებისა და დაყოფის მექანიზმით უზრუნველყოფა;

5. ფასების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფა ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით;

6. სტიმულირების პრობლემების გადაწყვეტის წესებით უზრუნველყოფა;

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სისტემა იყოფა სამ ძირითადსფეროდ: სახელმწიფო ფინანსების, სამეურნეო სუბიექტების ფინანსებისა და საოჯახო მეურნეობების ფინანსების სფეროებად.

1. სახელმწიფო ფინანსების სფერო მოიცავს ცენტრალურ და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, არასაბიუჯეტო და სხვა სპეციალურ ფონდებს. შახელმწიფო ფინანსების ძირითადი მიზანია ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირება და მისი განაწილება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაფინანსებლად.

2. სამეურნეო სუბიექტების ფინანსური სფერო მოიცავს იურიდიული პირების: საწარმოების, ფირმების, კორპორაციების ფინანსებს. სამეურნეო სუბიექტების ფინანსების ძირითადი მიზანია ფინანსური რესურსების ფორმირება იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის მიმდინარე ოპერაციებისა და წარმოების გაფართოება-განვითარების დასა-ფინანსებლად.

3. საოჯახო მეურნეობების ფინანსების სფერო მოიცავს ცალკეული ოჯახების ფინანსებს. საოჯახო მეურნეობების ფინანსების მთავარი მიზანია ცალკეული ოჯახების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირება და მისი გამოყენება ოჯახის მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და დაგროვების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური სისტემის თითოეული რგოლი წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროს, რომლებსაც მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციები გააჩნია.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში საფინანსო სისტემა ძირითადად ოთხ რგოლს მოიცავს: სახელმწიფო ბიუჯეტს, მუნიციპალურ, ტერიტორიული ერთეულების ფინანსებს, სპეციალურ ბიუჯეტგარეშე ფონდებს, სახელმწიფო და კერძო კორპორაციათა ფინანსებს.

საქართველოს თანამედროვე საფინანსო სისტემა შედგება ფინანსურ ურთიერთობათა რგოლებისაგან:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემა;
2. სპეციალური ბიაჯეტგარეშე ფონდები;
3. სახელმწიფო კრედიტი;
4. ქონებრივი და პირადი დაზღვევის ფონდები;
5. საკუთრების სხვადასხვა ფორმების საწარმოთა ფინანსები;

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის ქვეყნის ბიუჯეტების ერთიანობა, რომელიც ეფუძნება სახელმწიფოს ადმინისტრაციულ_ტერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებს.

ამჟამად საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ძირეულად გარდაქმნილია და მოიცავს სამ რგოლს:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს;
3. საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებულია საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი და სპეციალური სახელმწიფო ფონდები. ყველა ეს ბიუჯეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.

სახელმწიფო კრედიტი წარმოადგენს სახელმწიფოსა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის საკრედიტო ურთიერთობათა ფორმას, როდესაც ძირითადად სახელმწიფო გამოდის ფულის მსესხებლის როლში.

საკუთრების სხვადასხვა ფორმების საწარმოთა ფინანსები მოიცავს სახელმწიფო, მუნიციპალური, სააქციო, კერძო, საიჯარო და სხვა სახის საწარმოთა ფინანსებს და წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობათა მთავარ მამოძრავებელ ძალას. საწარმოებს თუ რამდენად მტკიცე ფინანსები გააჩნიათ, დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რითი განსხვავდება ფინანსები ფულისაგან?
2. საქართველოს თანამედროვე საფინანსო სისტემა რა ფინანსურ ურთიერთობათა რგოლე-ბისაგან შედგება?
3. რა არის საფინანსო სისტემის მთავარი ფუნქცია?

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური არსი ფუნქცია და როლი საბაზრო ეკონომიკურ პირობებში

სახელმწიფოს მიზანმიმართული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა სხავადასხვა ცენტრალიზებული ფონდების შექმნა, მათ შორის უპირველეს ყოვლისა ფულადი სახსრების ისეთი საერთო სახელმწიფოებრივი ფონდის - როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტი არის ქვეყნის ფინანსური სისტემის წამყვანი რგოლი, მის სიძლიერესა და სტაბილურობაზეა დამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპები და მასშტაბები და პირიქით, ეკონომიკის სიძლიერე განსაზღვრავს ბიუჯეტის სიძლიერეს. ცნება **„ბიუჯეტი“** წარმოშობილია ძველი ფრანგული სიტყვისაგან **bougette pochette**, რაც ტყავის ქისას ნიშნავს. შემდგომში ამ ტერმინს ინგლისელებმა უწოდეს **„budget“,** რაც ნიშნავდა ჩანთას, ტყავის ტომარას. მე-19 საუკუნეში ინგლისის ლორდთა პალატაში, როდესაც ხაზინის კანცლერი მოხსენებით გამოდიოდა, სიმბოლურად, წინ ფულით გატენილი ტომარა ედო. იგი ტრიბუნის ნაცვლად ამ ტომარას ეყრდნობოდა და ასე წარმოთქვამდა სიტყვას ქვეყნის საფინანსო მდგომარეობის შესახებ. შემდგომში სწორედ აქედან გავრცელდა მთელს მსოფლიოში ბიუჯეტის კატეგორია.

ბიუჯეტის კატეგორიის მრავალნაირი განმარტება არსებობს:

- ბიუჯეტი არის გარკვეული პირის (ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, და ა.შ.) შემოსავლებისა და გასავლების სქემა, რომელიც დგება გარკვეული პერიოდისათვის, ჩვეულებრივ ერთი წლისათვის.
- თანამედროვე გაგებით - ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხარჯთა და შემოსავალთა კატეგორიების სისტემა, რაც წარმოადგენს განსაზღვრულ ურთიერთობათა კონკრეტულობას.

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკურ მართვაზე ზემოქმედებას ახდენს ფისკალურ პოლიტიკით.

სახელმწიფო ხარჯები და გადასახადების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები ერთობლიობაში სახელმწიფოს **ფისკალური პოლიტიკაა**. ფისკალურმა პოლიტიკამ შეიძლება დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციაზე.

თუ ქვეყნის ხელისუფლება საქმის ცოდნით და მეცნიერულ დონეზე შეძლებს გამოიყენოს ფისკალური ან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებები და ეცდება პროდუქციის გამოშვების მოცულობა მის პოტენციურ დონეს მიუახლოვოს და ამით შეინარჩუნებს ფასების სტაბილურობა, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვეყნის სტაბილიზაციის სწორ პოლიტიკასთან.

სტაბილიზაციის პოლიტიკა სხავა არაფერს ნიშნავს, თუ არა მთავრობის მიერ ეკონომიკურ სივრცეზე კონტროლის დაწესებას, რათა მაქსიმალურად მიუახლოვდეს ერთმანეთს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა და მისი პოტენციური დონე და შენარჩუნებულ იქნეს ინფლაციის დაბალი და სტაბილური ტემპები.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა უშუალო კავშირშია მის ფისკალურ პოლიტიკასთა, რომლის შესწავლა შესაძლებელია ფინანსური სისტემის წამყვანი როლის - სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე.

სახელმწიფო ბიუჯეტი სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფო ფინანსები, თავის მხრივ, ქვეყნის ფინანსური სისტემის უმნიშვნელოვანესი სფეროა, რომელიც მოწოდებულია სახელმწიფო ხელისუფლება მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების შესასრულებლად უზრუნველყოს ფულადი საშუალებებით.

სახელმწიფო ფინანსების ეკონომიკური შინაარსი - ეს არის ფულადი ურთიერთობანი მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის ნაწილის განაწილებისა და გადანაწილების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირებასა და ხელისუფლების მიერ ამ რესურსების გამოყენებასთან დასახული ფუნქციებისა და პროგრამების დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

ასევე არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტის კატეგორიის განმარტების სხვადასხვა ვარიანტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი არის ყველა სახელმწიფო უწყებების, სამსახურებისა და სამთავრობო პროგრამების და ა.შ. ფინანსური ხარჯთაღრიცხვის ერთობლიობა.

- სახელმწიფო ბიუჯეტი არის ქვეყნის ფინანსური სისტემის ცენტრალური რგოლი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების ჩამონათვალს ფულად ფორმაში. მასში გაერთიანებულია ურთიერთდაკავშირებული ძირითადი საფინანსო ინსტიტუტები- შემოსავლები,ხარჯები და სახელმწიფო კრედიტი. გარეგნულად ხახელმწიფო ბიუჯეტის ეს ელემენტები ღებულობენ ერთიან, მიზანმიმართულ აღსრულებით ფენომენს, რომელიც განპირპბებულია სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკით.
- სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ძირითადი ფინანსური გაგმაა გარკვეული წლისათვის, რომელსაც კანონის ძალა გააჩნია და რომლის აკუმილირებელი ფულადი სახსრები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ თავისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

მატერიალური შინაარსის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტი - ეს არის სახელმწიფო ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული ფონდი, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური არსით - არის ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ძირითადი იარაღი.

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან:

1. საშემოსავლო ნაწილი, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების შემოსავლების ჩამონათვალს და 2. გასავლის ნაწილი, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს მიერ გასაწევ ყველა ხარჯებს.

შემოსავლებში თავს იყრის გადასახადები, სახელმწიფო სესხები, მათ შორის საგარეო სესხებიც.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის, ანუ ხარჯების ნაწილში მოცემულია ჩამონათვალი თუ რა დანიშნულებით იქნება გამოყენებული ბიუჯეტში აკუმულირებული ფულადი სახსრები.

„საქარტველოს საბიუჯეტო კოდექსის'' თანახმად, განასხვავებენ: სახელმწიფო ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ადგილობრივი თვითმართველის ერთეულის ბიუჯეტს, საქართველოს ნაერთ ბიუჯეტსა და ავტონომიური რესბუბლიკის ნაერთ ბიუჯეტს.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახადებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი არის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი არის საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების კონსოლი-დირებული ბიუჯეტი.საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება ქვეყნის პარლამენტის მიერ დამტკიცებას.

ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი არის აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და მის შესაბამისობაში შემავალი ადგილობრივი თვითმარტველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

ბიუჯეტი არსის სიღრმისეული გაგებისათვის საჭიროა მისი, როგორც **ეკონომიკური (მატერიალური)** კატეგორიის განხილვა. ბიუჯეტი მატერიალური გაგებით წარმოადგენს სახელმწიფო ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების მასშტაბით ცენტრალიზებულ ფულად სახსრებს, რომელიც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების განკარ-გულებაში.

ბიუჯეტის მატერიალური შინაარსი არაა მუდმივი, იცვლება მასში კონცენტრირებადი ფულადი სახსრების მოცულობა, ხარჯების მიმართულებები.

ბიუჯეტი, როგორც ეკონომიკური კატეგოტია, წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფო ფულადი სახსრების ფონდის წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში.

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში წამყვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს. მისი ძირითადი დანიშნულებაა ფინანსური საშუალებების დახმარებით შექმნას პირობები ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება.

ზოგადად სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის ცენტრალიზებული ფულადი ფონდის ფორმირების, განაწილებისა დაგადანაწილების ძირითად ფინანსურ გეგმას, რომელიც მტკიცდება სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. მისი მთავარი ამოცანაა ფინანსური სახსრების საშუალებით შექმნას პირობები ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- ბიუჯეტის შედგენა და გამოყენება ატარებს მკვეთრად გამოხატულ ბალანსურ ხასიათს. ბიუჯეტის ბალანსური მეთოდი იძლევა საშუალებას განსაზღვროს საჭირო თანაფარდობა ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობებს შორის.
- **სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილება**ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დარგებსა და ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის.
- **სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება და გამოყენება ატარებს დემოკრატიულ ხასიათს.** იგი ეფუძნება ცენტრალიზებული საწყისებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის შეხამებას.
- **სახელმწიფო ბიუჯეტი საერთო სახალხო მეურნეობრივი ხასიათისაა.** ქვეყნის ბიუჯეტი დაკავშირებულია ეკონომიკის და სოციალური ყველა სფეროს მიმართულებებთან. დარგები და სფეროები დაკავშირებულია ბიუჯეტთან როგორც შემოსავლების ფორმირების, ასევე მათი დაფინანსების კუთხით ბიუჯეტიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ფუნქციები

სახელმწიფო ბიუჯეტს, ისევე როგორც მთლიანად ფინანსურ სისტემას, გააჩნია 2 ძირითადი ფუნქცია-განმანაწილებელი და საკონტროლო.

განმანაწილებელი ფუნქციის დახმარებით ხდება სახსრების გადანაწილება საწარმოო და არასაწარმოო სფეროებში, ფინანსური რესერსების დარგთაშორისი და ტერიტორიათაშორისი გადანაწილება, ფორმირდება სპეციალური მიზნობრივი დანიშნულების ფონდები. გადასახადებისა და ხარჯების მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტი გამოდის ეკონომიკის და ინვესტიციების ინსტრუმენტად. ბიუჯეტის მეშვეობით ხდება სხვადასხვა სამეურნეო კომპლექსებისადმი ფინანსური მხარდაჭერა, რისთვისაც მეტწილად გამოიყენება გადასახადები.

სახელმწიფო ბიუჯეტის **საკონტროლო ფუნქცია** ხორციელდება ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებისა და ეკონომიკის დაფინანსების პროცესში. ეს ნიშნავს ცენტრალიზებული ფულადი სახსრების შექმნისა და გამოყენების კონტროლს. ბიუჯეტის საკონტროლო ფუნქცია იძლევა საშუალებას სიგნალი მისცეს ხელისუფლებას თუ როგორ მიმდინარეობს ფინანსური რესურსების მობილიზაცია ბიუჯეტში. **საბიუჯეტო კონტროლს გააჩნია სამი ძირითადი მიზანი:** ფულადი სახსრების მობილიზაცია, ეკონომიკის რეჟიმის დაცვა ფინანსური რესურსების ხარჯვის დროს, საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება. საბიუჯეტო კონტროლით ვლინდება ტენდენციები თუ როგორ შემოდის ბიუჯეტში შემოსავლები,როგორია წარმატებები ან ჩავარდნები ამ მხრივ, რა ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.ეს იძლევა საშუალებას დროულად დაფიქსირდეს მოსალოდნელი დისპროპორციები და შემუშავდეს ღონისძიებების კომპლექსი ნეგატიური ტენდეციების აღმოსაფხვრელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ბიუჯეტი ქმნის ფინანსურ ბაზას, რომელიც საჭიროა სახელმწიფო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

საბიუჯეტო სახსრებით ხდება სახელმწიფოს შემდეგი საქმიანობის წარმართვა:

- სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა.

- სახელმწიფო საერთაშორისო საქმიანობის განხორციელება. (საერთაშორისო ხელშეკრულებების რეალიზაცია, კრედიტის დაბრუნება და ა.შ.).
- ეროვნული თავდაცვა.
- სამართალდაცვითი საქმიანობა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია და პრევენცია.
- სოციალური პოლიტიკის განხორციელება.
- განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, მასობრივი ინფორმაციის განვითარება.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. მისი როლი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მდგომარეობს შემდგომში:

1. სახელმწიფო ბიუჯეტი არის ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედების ფინანსური ფინანსური ინსტრუმენტი.სახელმწიფო იყენებს ეკონომიკაზე ზემოქმედების პირდაპირ და ირიბ ფორმებს - ორგანიზაციებსა და საწარმოებს აძლევს სუბსიდიებს,სახელმწიფო ინვესტიციებს, აფინანსებს დარგებს,რომლებიც წარმართავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს სოციალურ პრობლემების გადაწყვეტაში, რადგან ბიუჯეტიდან ხდება სოციალური სფეროს - განათლების, ჯანდაცვის და სხვა სოციალური მიმართულებების დაფინანსება.მისი როლი ამ სფეროში არაერთგვაროვანია სხვადასხვა ქვეყნებში და დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე.

3. სახელმწიფო ბიუჯეტი გამოდის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების მთავარ ინსტრუმენტად.სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლებისა და გასავლების დაგეგმვით, თავის ხელში ახდენს ფულადი სახსრების კონცენტრაციას ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გასატარებლად,ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად.

4. ბიუჯეტი უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და მისი შედეგების პრქტიკაში დანერგვას.

5. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ნეგატიური ფაქტორი სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს არ აძლევს საშუალებას ეფექტურად და სრულყოფილად განახორციელონ საბიუჯეტო ვალდებულებები. მათ შორის უნდა აღინიშნოს ისეთი მოვლენები, როგორიცაა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია და სხვა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო შეიმუშავებს და პრაქტიკაში ატარებს ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ ღონისძიებებს არასასურველი მოვლენების თავიდან ასაცილებლად.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ფუნქციები?
2. რა არის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი ნიშნები?
3. რა არის საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი?
4. რა არის მატერიალური შინაარსის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტი?

სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესი და მისი სტადიები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ კოდექსის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

1. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) **ყოვლისმომცველობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) **გამჭვირვალობა** – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;

გ) **ანგარიშვალდებულება** – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

დ) **დამოუკიდებლობა** – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) **ერთიანობა** – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) **უნივერსალობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ზ) **კონსოლიდირება** – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

1. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის–საქართველოს მთავრობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის–შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის–შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

2. ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის–საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის–შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის–შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

3. ნაერთი ბიუჯეტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის პასუხისმგებელია:

ა) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტისათვის–საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტისათვის–შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობისა და ამ კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს.

საბიუჯეტო პროცესი

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს **ფინანსთა სამინისტრო.**

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთან - გუბერნატორებთან, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით, რისთვისაც ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები და ორგანოები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ყოველი წლის **1 მარტამდე** საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით საქართველოს მთავრობა ყოველი წლის **1 ივნისამდე** წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციაზე

საქართველოს პარლამენტის კომიტეტების დასკვნები არა უგვიანეს 20 ივნისისა ეგზავნება საქართველოს მთავრობას. საქართველოს სამინისტროები ყოველი წლის **30 ივნისამდე** ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

ა.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.ბ) ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს;

გ.ბ) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.გ) მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისათვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.დ) აგრეგირებულ მაჩვენებლებს სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

6. საქართველოს მთავრობა არა უგვიანეს 10 ივლისისა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს.

7. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი საქართველოს პარლამენტს წარედგინება

8. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შემდგომ შესაბამისობას.

საბიუჯეტო განაცხადი და ზღვრული მოცულობები

საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოწონებიდან არა უგვიანეს 5 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, რომელთა გამოყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინონ ინფორმაცია მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ინფორმაცია მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად საჭირო იმ პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რომლებისთვისაც ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ცალკე კოდს;

გ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას არა უგვიანეს **15 სექტემბრისა.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს წარუდგენს არა უგვიანეს **25 სექტემბრისა.**

საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს არა უგვიანეს **1 ოქტომბრისა** წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას;

ვ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას;

ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

თ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

ი) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.ბ) ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.გ) ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საქართველოს პარლამენტში წარდგენისთანავე.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს იხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის წევრები. საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად წარადგენს შესაბამისი სამინისტროს მინისტრი ან მისი მოადგილე.

საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა უგზავნის საქართველოს მთავრობას. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმის შემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 5 ნოემბრისა ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე. პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები არა უგვიანეს 15 ნოემბრისა ეგზავნება საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 30 ნოემბრისა წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

თუ საქართველოს პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ **არა უგვიანეს 31 დეკემბრისა**.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის დათხოვნისას საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის ინფორმაციის სახით წარდგენას.

წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, საჭიროებს ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანას. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტისთვის დართული მასალები უნდა შეიცავდეს განახლებულ საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პროგნოზებს და ცვლილებების ან/და დამატებების შინაარსის ამსახველ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების ან/და დამატებების შინაარსიდან გამომდინარე.

საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენიდან **7 დღის ვადაში** საქართველოს პარლამენტი კანონის პროექტთან დაკავშირებულ შესაბამის დასკვნებს უგზავნის საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგენს მიღებიდან **არა უგვიანეს 5 დღისა**. პროექტს უნდა ერთოდეს ინფორმაცია გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის გადამუშავებული ვარიანტის წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

პლენარულ სხდომაზე წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით განსაზღვრული პირი. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს. თუ საქართველოს პარლამენტი ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის იმავე ვარიანტს

ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის განწერა

მხარჯავი დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან **5 სამუშაო დღის** ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს **15 დღისა** იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახადების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა საჭიროებს ახალი განწერის დამტკიცებას ან არსებულ განწერაში ცვლილებების შეტანას.

სესხის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილება

სახელმწიფო სესხის აღება და სახელმწიფო გარანტიების გაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ, სესხი აიღონ საქართველოს მთავრობისაგან ან/და სხვა წყაროებიდან მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით.

წლიური ბიუჯეტი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის. ლიმიტები ცალ-ცალკე დგინდება საშინაო და საგარეო ვალებისათვის. ცალკე ლიმიტირებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი.

წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო გარე და შიდა სასესხო გარანტიებზე, რომლებიც შეიძლება გაიცეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვისთვის და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

წლიური ბიუჯეტი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის. ლიმიტები ცალ-ცალკე დგინდება საშინაო და საგარეო ვალებისათვის. ცალკე ლიმიტირებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი.

წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო გარე და შიდა სასესხო გარანტიებზე, რომლებიც შეიძლება გაიცეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვისთვის და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის პროცედურები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური ბიუჯეტითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად აიღოს სესხი მისი მიმღებისა და გამცემისათვის მისაღები ნებისმიერი ფორმით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თავისუფალია ფინანსური ინსტრუმენტის სახის არჩევისას, მისი მახასიათებლებისა და პირობების ჩათვლით. მონეტარული პოლიტიკის ინტერესების ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოქმედებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის საფუძველზე.

"ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხი შესაძლებელია გაიცეს ამ კოდექსით დადგენილი წესით. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი

შემოსულობები სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. საღაც მითითებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და სახელმწიფო ქონების ნუსხას ადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსულობები ამ რესპუბლიკების სხვა დონის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდები

სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი

თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, თანხის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და პასუხისმგებლობა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით გამოსცემს სათანადო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სტანდარტული სააღრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას.

საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები პასუხისმგებელი არიან შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვისა და კონტროლისთვის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობაზე.

შემოსულობებთან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ნაშთის ცვლილებასთან ერთად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ოპერაციების აღრიცხვისთვის.

საბიუჯეტო პროცესის კალენდარი

N	ვადები	პასუხისმგებელი	პროცესი
1	1 მარტამდე	საქართველოს მთავრობა	განსაზღვრავს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოსამზადებლად ინფორმაციის ნუსხას და წარგენის ვადებს
2	1 ივნისამდე	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ
3	20 ივნისამდე	საქართველოს პარლამენტი	საქართველოს მთავრობა უგზავნის დასკვნებს ზემოხსენებულ ინფორმაციაზე
4	30 ივნისამდე	საქართველოს სამინისტროები	ამტკიცებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს
5	10 ივლისამდე	საქართველოს მთავრობა	იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველ ვარიანტს
6	15 ივლისამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს
7	1 სექტემბრამდე	მხარჯავი დაწესებულებები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ საბიუჯეტო განაცხადებს
8	15 სექტემბრამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს საქართველოს მთავრობას

9	25 სექტემბრამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს მთავრობას წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოცუმენტს
10	1 ოქტომბრამდე	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად
11	22 ოქტომბრამდე	საქართველოს პარლამენტი	საქართველოს მთავრობას უგზავნის საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, აგრეთვე საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს
12	5 ნოემბრამდე	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებების მდგომარეობის შესახებ
13	15 ნოემბრამდე	საქართველოს პარლამენტი	საქართველოს მთავრობას უგზავნის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებს და წინადადებებს
14	30 ნოემბრამდე	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს
15	დეკემბრის მესამე პარასკევამდე	საქართველოს პარლამენტი	კენჭს უყრის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს
16	31 დეკემბრამდე	საქართველოს პარლამენტი	დეკემბრის მესამე პარასკევამდე ბიუჯეტის მიუღებლობის შემთვევაში საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის მის იმავე ვარიანტს ან მთავრობისა და პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს
17	ვადა დაუდგენელია	საქართველოს პრეზიდენტი	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და დაითხოვს პარლამენტს
18	ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში	საქართველოს პრეზიდენტი	დეკრეტით დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტს წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რა არის საბიუჯეტო პროცესი?
2. ვინ მონაწილეობს საბიუჯეტო პროცესში?
3. რას ნიშნავს საბიუჯეტო რეგულირება?
4. რისი საფუძველია სახელმწიფო ბიუჯეტი?
5. რა ფუნქციის მატარებელია საშუალოვადიანი გეგმა?
6. პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან რა დოკუმენტები უნდა დაერთოს?
7. ვინ ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს?
8. რა იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტის განწერაში?
9. როგორ აფინანსებს სახელმწიფო ხაზინა საბიუჯეტო ორგანიზაციებს?
10. რა ფუნქცია აქვს ფინანსთა სამინისტროს მთლიანად ბიუჯეტის შედგენიდან მის დამტკიცებამდე?

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს შემდეგ ბიუჯეტებს:

- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;
- ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტი.

განვიხილოთ ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტების არსი და მნიშვნელობა.

ადგილობრივი ფინანსები წარმოადგენენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომელთა საშუალებითაც მართვის ადგილობრივი ორგანოები ანაწილებენ, გადაანაწილებენ და გამოიყენებენ ეროვნულ შემოსავალს მათდამი დაკისრებული სოციალური, ეკონომიკური და სხვა ფუნქციების შესაბამისად. კერძოდ, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან ხორციელდება, სოციალური პოლიტიკის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, სოციალური სფეროს, განათლების, ჯანდაცვის, კომუნალური მომსახურებისა და გზების მოვლა-პატრონობის დაფინანსება.

ადგილობრივი ფინანსები უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური სტაბილური განვითარების, ეკონომიკის რეგულირების, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების, რეგიონალური პროგრამების განხორციელების ,სრული დასაქმებისა და სამუშაო ძალის კვლავწარმოების და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ამოცანების შესრულების საქმეში.

ადგილობრივი ფინანსები თავისი შინაარსით მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა და იგი მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: ადგილობრივი ბიუჯეტები, ადგილობრივი დანიშნულების სპეციალური ფონდები, მართვის ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში არსებული საწარმოების ფინანსები.

ადგილობრივი ბიუჯეტებია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ძირითადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსური გეგმა

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები ფორმირდება ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების, არასაგადასახადო შემოსავლების, ზემდგომი ბიუჯეტებიდან შენატანების (ტრანსფერების) და სესხების ბაზაზე.

ყველა ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების მთავარი წყაროა გადასახადები. ადგილობრივი გადასახადებისთვის დამახასიათებელია დაუბეგრავი მინიმუმის გაუთვალისწინებლობა, ამიტომ ფაქტობრივად ყველა გადასახადის გადამხდელია, ვინც შემოსავალს ღებულობს, თუნდაც ეკუთვნოდეს ღატაკთა ფენას.

არასაგადასახადო შემოსავლებს მოკრძალებული ადგილი უკავიათ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურაში. მათი ხვედრითი წილი საერთო შემოსავლებში სხვადასხვა ქვეყანაში 10-30%-ის ფარგლებში მერყეობს.

მსოფლის თითქმის ყველა ქვეყნის ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სუბსიდიები. მისი ხვედრითი წილი სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებში 20-40%-ის ფარგლებში მერყეობს. სუბსიდიების აუცილებლობას განაპირობებს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების დეფიციტურობა. სუბსიდიები თავის მხრივ იყოფა: საერთო და მიზნობრივი დანიშნულების სუბსიდიებად. საერთო დანიშნულების სუბსიდიას დოტაციასაც უწოდებენ, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტებს გადაეცემათ დეფიციტის დასაფარავად. სუბსიდიის განკარგვაში ადგილობრივი ორგანოები გარკვეულწილად თავისუფალნი არიან.

მიზნობრივ სუბსიდიას კი სუბვენციას უწოდებენ და იგი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს გადაეცემათ წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივი პროგრამებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად. სუბვენციის ხარჯვა მკაცრ ჩარჩოშია მოქცეული. სუბსიდიების ხვედრითი წილი სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქ-

ტურაში განსხვავებულია. მაგალითად: დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში ჭარბობს დოტაცია, ხოლო აშშ-ში, იტალიაში, გერმანიასა და იაპონიაში კი - სუბვენცია.

მსოფლიო პოლიტიკა ადასტურებს, რომ რეგიონების დაფინანსებისათვის მთელ რიგ ქვეყნებში გამოიყენება სესხები, მათ შორის, საბანკო, საბიუჯეტო და სხვა სახის კრედიტები. დაფინანსების აღნიშნული მექანიზმის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ რეგიონები ვერ უზრუნველყოფენ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებას საკუთარი შემოსულობებისა და ზემდგომი ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებით, ხოლო, მეორეს მხრივ, იმით, რომ რიგი სოციალური ინფრასტრუქტურისა და ეკნომიკური პროექტების დაფინანსების სხვა დროისათვის გადადება მათი სასიცოცხლო მნიშვნელობი-დან გამომდინარე, შეუძლებელია.

შევეხოთ ბიუჯეტის ხარჯებს. ადგილობრივი ბიუჯეტების გასავლების (ხარჯების) მოცულობა და სტრუქტურა სხვადასხვა დონის ბიუჯეტში და, მათ შორის, ადგილობრივ ბიუჯეტებში განსხვავებულია. მაგალითად: ადგილობრივ ტრანსპორტზე, წყლის და გაზის მოხმარებაზე, სკოლის, სავადმყოფოების და სხვა სოციალური დაწესებულების მშენებლობაზე გერმანიაში იხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტის 1/4, იაპონიასა და საფრანგეტში 1/3-ზე მეტი, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში 40%-ზე მეტი. ამავე დროს, მრავალ ქვეყანაში თანდათანობით იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხარჯები ქალაქის რეკონსტრუქტურაზე, სამრეწველო ზონების მოწყობაზე, კომუნალურ და საბინაო მშენებლობაზე. აგრეთვე იზრდება ხარჯები ადმინისტრაციული ორგანოების, პოლიციის, სასამართლოს, ტრანსპორტის, გზების და სხვა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვა-განვითარებაზე.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ნაწილია. მასზე, ისევე როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე ვრცელდება საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, ბიუჯეტის ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობისა და უნივერსალურობის სხვა პრინციპები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონების, გადასახადებისა და მოსაკ-რებლების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობის წარმომად-გენლობით და აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიული აქტების საფუძველზე.

საქართველოში ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. მათი დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტი-რებულია: ექსკლუზიური, დელეგირებული და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებით.

ექსკლუზიური უფლებამოსილება – არის თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

დელეგირებული უფლებამოსილება – არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება კანონის თანახმად ადგილობრივ თვითმმართველობას გადასცეს უფლება-მოსილება ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებლად.

ნებაყოფლობითი უფლებამოსილება – არის ადგილობრივი თვითმართველობის უფლება-მოსილება საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება, ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და

დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებს;

გ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს **15 ნოემბრისა.**

ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დადგენილი წესით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიმდინარე წლის **15 ივლისამდე** აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად. თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ერთზე მეტ მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანო მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.

საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად საჭირო იმ პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რომლებისთვისაც ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ცალკე კოდს;

გ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

თუ საბიუჯეტო განაცხადში ასახული ინფორმაცია განსხვავებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან, მხარჯავმა დაწესებულებამ საბიუჯეტო განაცხადთან ერთად საფინანსო ორგანოს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ამ განსხვავების მიზეზების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არა უგვიანეს **5 ოქტომბრისა** აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. არა უგვიანეს **15 ნოემბრისა:**

ა) ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად ქ. თბილისის მერი განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი (მერი) წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. ბიუჯეტის პროექტთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი.

ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ვ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

თ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს;

ბ) მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას.

მოცემული ინფორმაცია, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

ბიუჯეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან **5 დღის** ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე არა უგვიანეს **25 ნოემბრისა** ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს (მერს).

ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს არა უგვიანეს **10 დეკემბრისა** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) გამგებელი (მერი) წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, ხოლო ქ. თბილისის მერი ამავე ვადაში წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის 1/2-ით, ხოლო ქ. თბილისში - წარმომადგენლობითი ორგანოს 2/3-ით შესაძლებელია დამტკიცდეს წარმომადგენლობითი ორგანოს ფრაქციის ან/და სიითი შემადგენლობის არანაკლებ **1/3-ის** მიერ ინიციირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მიერ გამგებლისათვის (მერისათვის) გაგზავნილი შენიშვნები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების **1/12-ი**სა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან **3 თვის** განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია წარმომადგენლობით ორგანოს შეუწყვიტოს უფლებამოსილება. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ უნდა მოიცავდეს კოდექსის გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან **არა უგვიანეს 20 დღისა** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.

წლიური ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

მიზნობრივი ტრანსფერის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყოველი **წლის 5 ოქტომბრამდე** აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს. საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც იხილავს

მათ და განხილვის შედეგების გათვალისწინებით მზადდება სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალის-წინებისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია მხოლოდ გამგებლის (მერის) წარდგინებით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის განწერა ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს **15 დღისა** საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ადგილობრივი გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სხვა შემოსავლებისა და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას - შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება სახაზინო მომსახურების პრინციპით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად), საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ საფინანსო ორგანოს. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის გარეშე დაუშვებელია შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გახსნა. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ახორციელებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეული გადასახდელების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ, ამასთანავე, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

დ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებისა;

ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ვ) ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ;

ზ) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ. (ეს პუნქტი ამოქმედდება 2014 წლის 1 იანვრიდან)

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა და მისი კონტროლი ხორციელდება დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად. სესხის გაცემასთან, სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლთან და სესხის დაფარვის შესრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება კოდექსითა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

ნორმები არ ვრცელდება:

ა) უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გასაცემ სესხებზე;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტზე გასაცემ სესხებზე;

გ) საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებამდე გაცემულ სესხებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რომელშიც უნდა განისაზღვროს:

ა) სესხის მიზნობრიობა;

ბ) სესხის გაცემის წყარო (სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი, საბიუჯეტო დაწესებულების ასიგნება ან/და სხვა);

გ) ამ კოდექსით გათვალისწინებული სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ან/და გამონაკლისი შემთხვევა;

დ) სესხის გამცემი, სესხის გამომყოფი, სესხის მიმღები, კონტროლის განმახორციელებელი და სესხის ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეები;

ე) სესხის ოდენობა;

ვ) სესხით სარგებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი;

ზ) სესხით სარგებლობის და სესხის დაბრუნების ვადები.

სესხის გამცემი და სესხის მიმღები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გამცემია ის საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლის ასიგნებებიდანაც გაიცემა სესხი ან/და რომელსაც გასაცემი სესხის რესურსი (თანხები) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოეყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან ან/და სხვა წყაროებიდან. სესხის მიმღები შესაძლებელია იყოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საწარმო ან ორგანიზაცია ან „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მეწარმე სუბიექტი ან ფიზიკური პირი.

სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებია:

ა) საბანკო გარანტია, რომლითაც სესხის მიმღების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტიის გამცემი ბანკი კისრულობს წერილობით ვალდებულებას, სესხის გამცემის წერილობითი მოთხოვნისთანავე სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხოს ფულადი თანხა სესხის მიმღების ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად;

ბ) სადაზღვევო ორგანიზაციის სადაზღვევო მოწმობა (პოლისი), რომლითაც პოლისის გამცემი სადაზღვევო ორგანიზაცია კისრულობს წერილობით ვალდებულებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სესხის გამცემის წერილობითი მოთხოვნისთანავე სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხოს ფულადი თანხა სესხის მიმღების ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად;

გ) საკუთარი ან მესამე პირის ქონების სესხის გამცემის სასარგებლოდ დაგირავება ან/და იპოთეკით დატვირთვა.

სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ირჩევს სესხის გამცემი. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობის შემთხვევაში სესხის გამცემი უფლებამოსილია ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად გამოიყენოს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. სესხის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას, რომლის თანახმადაც სესხის მიმღებს სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ეკისრება პირგასამტეხლო.

სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლს ახორციელებს სესხის გამცემი, თუ განკარგულებით არ არის განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი სხვა ადმინისტრაციული ორგანო. სესხის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში სესხის მიმღები ვალდებულია შეწყვიტოს სესხის არამიზნობრივი ხარჯვა, გონივრულ ვადაში გამოასწოროს დარღვეული პირობები, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის არამიზნობრივად გამოყენებული სესხის შესაბამისი ოდენობა მიმართოს საკუთარი სახსრებიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების შესახებ მონაცემები აისახება რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სესხის გამცემი. იგი რეესტრში ასახულ ინფორმაციას კვარტალში ერთხელ წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრის წარმოების წესსა და რეესტრის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები

1. რა არის თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილება?
2. რა არის დელეგირებული უფლებამოსილება?
3. რა არის ადგილობრივი თვითმართველობის ნებაყოფლობითი უფლებამოსილება?
4. რას მოიცავს ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები?
5. როგორ ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა?

თემა 6

გათანაბრებითი ტრანსფერი და მისი განსაზღვრის მეთოდიკა

ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ობიექტური განსხვავება განპირობებულია რეგიონების ეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური, ბუნებრივ-რესურსული და ინფრასტრუქტურული თავისებურებებით, რაც წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს ფინანსური გათანაბრებითი პოლიტიკის გატარებისათვის. ამასთან რეგიონებს შორის განსხვავებას აქვს გარკვეული დადებითი მომენტები და შეაქვთ დინამიზმი მათ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს, რომ რეგიონებში არ დაუშვას მწვავე კრიზისული სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა სახის მოვლენები, რომლებიც გახდება მიზეზი ტერიტორიული დიფერენციაციისა. ამ ამოცანების გადაწყვეტი-სათვის გამოიყენება ჰორიზონტული და ვერტიკალური ფინანსური გათანაბრება.

ფინანსური გათანაბრება წარმოადგენს სოციალურად ორგანიზებულ სისტემურ ქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკის მყარ და უსაფრთხო განვითარებას და აქვს მთავარი ორიენტირი: მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება.

ფინანსური გათანაბრება ფინანსური სახსრების გადაადგილებაა ცენტრალური ბიუჯე-ტიდან რეგიონების ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში. ფინანსური გათანაბრება სხვა-დასხვა ფორმაში და ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხით არსებობს ბევრ ქვეყანაში.

ფინანსური გათანაბრება აუცილებელია მკაფიოდ გავმიჯნოთ საგადასახადო შემოსულო-ბების განაწილების სფეროში განსაკუთრებული უფლებამოსილებისაგან, იმიტომ რომ, სამართ-ლებრივი თვალსაზრისით, ის არ არის ორიენტირებული გადასახადების აკრეფის გზით მიღებულ შემოსავალზე.

ფინანსური გათანაბრება ლოგიკურად მიყვება გადასახადების აკრეფისაგან შემოსავლების განაწილებას. მისი ფუნქციაა საგადასახადო შემოსულობების საკმაოდ უხეში განაწილება შეავსოს ფინანსური განაწილების უფრო ზუსტი და ფაქიზი სისტემით. საგადასახადო შემოსულობების განაწილება და ფინანსური გათანაბრება ერთად უნდა იყოს გარანტი სახელმწიფოს ცალკეული რეგიონების საკმარისი ფინანსური უზრუნველყოფისა.

გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერით უზრუნველყოფს სახელმწიფო. ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა გათანაბრებითი ტრანსფერი. გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობების ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელე–ბისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება.

გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება განსაზღვრული წესითა და ფორმულით.

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესი

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშების ფორმულის მიზნებისათვის პირველ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა, რომელიც არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები. მეორე ეტაპზე გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის. შემდგომ ეტაპზე გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა). იმ ადგილობრივ თვითმმართველ

ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა. მომდევნო ეტაპზე გამოიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა, რომელიც მიიღება ამ კოდექსის 74-ე მუხლით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად.

გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის განსაზღვრის ფორმულა

თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$T = E - R$$

სადაც:

ა) T - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი ტრანსფერი;

ბ) E - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი, რომელიც გაიანგარიშება სტატისტიკური მონაცემებისა (მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე) და გათანაბრებითი კოეფიციენტების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამოჯვნით;

გ) R - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციას (მათ შორის, გაანგარიშებისას გამოყენებული სტატუსისა და მხარდაჭერის კოეფიციენტებს) ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

თვითმმართველი ქალაქებისათვის: $E_{city}=S_{city} * G_{city}\%$

მუნიციპალიტეტებისათვის: $E_m=SM * GM\%$

სადაც

E_{city} - თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

E_m - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

S_{city} - თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტების სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების საერთო მოცულობაში.

G - ანუ G_{city}-სა და GM-ის ჯამი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობას, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. G_{city} – თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 72%-ით.

GM – მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 28%-ით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების ხვედრითი წილის (**S**-ის) გაანგარიშება.

S ანუ S_{city} და **SM** გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$S_{city} = K_{city} / K_{tcity}\%$

$SM = K_m * K_{tm}\%$

სადაც,

K_{city} – კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლი;

K_{tcity} – თვითმმართველი ქალაქების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლების (tcity - ების) ჯამი;

K_m – მუნიციპალიტეტების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლების (K_m -ების) ჯამი;

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლის (K-ს) გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად.

K ანუ K_{city} და K_m გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$K_{city} = A_{city} * EC_{city}$

$K_m = A_m * EC_m$

სადაც,

A ანუ A_{city} და A_m წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის /მუნიციპალიტეტის სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.

EC ანუ EC_{city} და EC_m წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის /მუნიციპალიტეტის გათანაბრებით კოეფიციენტს.

A ანუ A_{city} და A_m წარმოადგენს P1, P2, P3, P4, P5, P6 –ის კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს, სადაც P სტატისტიკური კოეფიციენტი არის კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკური მონაცემის ან/და სიმჭიდროვის კოეფიციენტის შეფარდება მოცემული კოეფიციენტის (მუნიციპალიტეტისათვის - მუნიციპალიტეტების შესაბამისი მონაცემთა ჯამი, ხოლო თვითმმართველი ქალაქებისათვის - თვითმმართველი ქალაქების შესაბამისი მაჩვენებლების ჯამი) შესაბამის ჯამთან.

A ანუ A_{city} და A_m გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით.

$A = (EP_n)/ n$

სადაც

n წარმოადგენს P-ის რაოდენობას;

P ანუ P_{city} და P_m წარმოადგენს სტატისტიკურ კოეფიციენტს, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$P_{city} = C_{city} / CT_{city}\%$

$P_m = C_m / CT_m\%$

სადაც

C_{city} - წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკურ მონაცემს ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტს;

CT_{city} - არის თვითმმართველი ქალაქების შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტების ჯამი;

C_m - წარმოადგენს კონკრეტული მუნიციპალიტეტის სტატისტიკურ მონაცემს ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტს;

CT_m - არის მუნიციპალიტეტების შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტების ჯამი;

მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი (Cd) მიიღება მოსახლეობის რაოდენობის (ათასებში) შეფარდებით შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ფართობთან (კმ2);

C1-ს, C1-ს, C1-ს, C1-ს, C1-ს, Cd-ს შეესაბამება შემდეგი სტატისტიკური მონაცემები და სტატისტიკური კოეფიციენტი:

მოსახლეობის რაოდენობა:

მოსახლეობის რაოდენობა, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე;

6 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა;

6-18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა;

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე;

მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი.

გათანაბრებითი კოეფიციენტების (EC) გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად.

EC _ წარმოადგენს გათანაბრებითი კოეფიციენტს და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით.

EC=ST+ES

სადაც

ST - სტატუსის კოეფიციენტი;

ES – გათანაბრებითი ქულები

სტატუსის კოეფიციენტის (ST -ის) გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

სტატუსის კოეფიციენტი () მიიღება თვითმმართველი ერთეულის დედაქალაქისა და მუნიციპალიტეტის, სადაც განთავსებულია სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაცია, სტატუსების ჯამით:

ST=SU+SCC+SM

სადაც

SU _ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატუსს და განსაზღვრულია 1-ის ოდენობით.

SCC _ წარმოადგენს დედაქალაქის სტატუსს და განსაზღვრულია ქალაქი თბილისისათვის _ 2,5-ის, ხოლო თვითმმართველი ქალაქი ბათუმისათვის _ 1-ის ოდენობით;

SM _ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის, (სადაც განთავსებულია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაცია), სტატუსს და განსაზღვრულია – 0,1-ის ოდენობით;

გათანაბრებითი ქულების (ES -ის) გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად.

ES=AE+ESR

სადაც

AE ანუ AE_{city} და AE_m _ საშუალო გათანაბრება, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით;

$AE_{city} = A_{acity} / A_{city}\%CC$

$AE_m = A_{am} / A_m\%CC$

სადაც

A_a ანუ A_{city} და A_{am} წარმოადგენს A-ს საშუალო არითმეტიკულს, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამოჯვნით ანუ A_{am} არის მუნიციპალიტეტების A_m -ის საშუალო ართმეტიკული, ხოლო A_{acity} არის თვითმმართველი ქალაქების A_{city}-ის საშუალო არითმეტიკული;

CC _ წარმოადგენს შემასწორებელ კოეფიციენტს და განსაზღვრულია 1000-ის ოდენობით.

ESR არის გათანაბრებითი ქულა შემოსავლების გათვალისწინებით, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით.

ESR=SC1+SC2+SC3

სადაც

SC1, SC2 და SC3 წარმოადგენენ მხარდაჭერის კოეფიციენტებს და აღნიშნული კოეფიციენტები განსაზღვრულია შემდეგი ოდენობით:

SC1-0.150;

SC2-0.100;

SC3-0.050;

მხარდაჭერის კოეფიციენტები (SC1, SC2 და SC3) მიენიჭება შემდეგი წესის თანახმად:

პირველ ეტაპზე გაიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების (გარდა გრანტებისა) პროგნოზი ერთ სულ მოსახლეზე (RPC), რომელიც მიიღება ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების (გარდა გრანტებისა) პროგნოზის (R) შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ მოსახლეობის რაოდენობაზე შეფარდებით.

RPC -ზე დაყრდნობით გაიანგარიშება RPC_{am}, RPC_{ac} და RPC_{acity} მაჩვენებლები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ:

RPC_{am} _ ყველა მუნიციპალიტეტის RPC -ის საშუალო არითმეტიკულს;

RPC_{ac} _ ყველა თვითმმართველი ერთეულის RPC-ის საშუალო არითმეტიკულს;

RPC_{acity} _ ყველა თვითმმართველი ქალაქის RPC -ის საშუალო არითმეტიკულს.

მეორე ეტაპზე გამოითვლება სხვაობა თვითოეული თვითმმართველი ერთეულის RPC-სა და $RPC_{am,}$ RPC_{ac} და RPC_{acity} მაჩვენებლებს შორის.

თუ თვითმმართველი ერთეულის RPC ნაკლებია RPC_{am} -ზე, მაგრამ მეტია RPC_{ac}–ზე, მაშინ

თვითმმართველ ერთეულს მიენიჭება SC2 მხარდაჭერის კოეფიციენტი.

თუ თვითმმართველი ერთეულის RPC ნაკლებია RPC_{ac}–ზე, მაგრამ მეტია RPC_{am}–ზე, მაშინ თვითმმართველ ერთეულს მიენიჭება მხარდაჭერის კოეფიციენტი.

იმ თვითმმართველი ერთეულის, რომლის RPC მეტია RPC_{acity}–ზე მხარდაჭერის კოეფიციენტი არ მიენიჭება.

თუ რომელიმე თვითმმართველი ერთეულის RPC აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა, რომელიმე RPC_{am}, RPC_{ac} ან RPC_{acity} მაჩვენებელს, მაშინ თვითმმართველ ერთეულს მიენიჭება მოცემულ ზღვართან არსებული მხარდაჭერის ის კოეფიციენტი, რომელიც უფრო მეტია.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შემოსავლების (R) გაანგარიშებისას გაითვალისწინება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი შემოსავლები (გარდა გრანტებისა).

შემოსავლები თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის იანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული სამი წლის ფაქტიური მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რას წარმოადგენს ფინანსური გათანაბრება?
2. როგორ გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების ხვედრითი წილი?
3. როგორ გაიანგარიშება სტატუსის კოეფიციენტი?

ადგილობრივი მოსაკრებლები

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. მოსაკრებელი იხდევინება განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ გარკვეული საქმიანობის გაწევისთვის.

ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გაუქმებისა და შეღავათების დაწესების უფლება აქვს ადგილობრივ წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს.

ადგილობრივი მოსაკრებლებია:

1. ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლები: (1) მშენებლობის მოსაკრებელი, გარდა იმ შემთხვევისა როცა საქმე ეხება რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობას; (2). მასაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის.

2. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;

4. მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის;

5. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მო-საკრებელი;

მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის

მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებელს იხდის მშენებარე ობიექტის მესაკუთრე. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განაშენიანების ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრზე-1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტების მშე-ნებლობაზე-5 ლარს. შეღავათი ან მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობის შემთხვე-ვაში. მოსაკრებლის შემოღების, გაუქმების და მათზე შეღავათის დაწესების უფლება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს-საკრებულოს გააჩნია.

მაგალითი: თუ ამხანაგობა 220 კვადრატულ მეტრ მიწას იყიდის საცხოვრებელი ფართის ასაშენებლად და ამ საცხოვრებლის საერთო ფართობი იქნება 12 200 კვადრატული მეტრი, ამხანაგობა გადაიხდის არა 220, არამედ 12200 ლარს.

მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელია საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელო პირი. მოსაკრებლის ოდენობას საკრებულო განსაზღვრავს მარშრუტებისა და სატრანსპორტო საშუა-ლებათა მიხედვით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 200 ლარს.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დსუფთავებისათვის

მოსაკრებელს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის იხდიან პირები (ფიზიკური და იურიდიული), რომელიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს.მისი განაკვეთი განისაზღვრება არა უმეტეს 1,5 ლარის ოდენობით ერთსულ მოსახლეზე,ხოლო იურიდიულ პირებზე,ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე არაუმეტეს 25 ლარისა ერთკუბურ მეტრ ნარჩენზე.მოსაკრებლის ოდენობა სხვადასხვა

ფაქტორის მოქმედებით განისაზღვრება, კერძოთ; ნარჩენების სახეობის,ნორმის და დაკავებული ფართის მიხედვით.

მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების ორგანიზების და ადმინისტრირების ხარჯებს. ანუ ამ მოსაკრებლის ამოსაღებად გაწეული ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს მის ამოღებაზე დაწეული თანხების ოდენობას.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი ორი ნაწილისაგან შედგება;

1. მოსაკრებელი აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, კაზინოების მოწყობის ნებართვაზე, რომელიც ერთხელ იხდევინება საქმიანობის დაწყებისას;

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, რომელიც კვარტალში ერთხელ იხდევინება.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს იხდიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას კაზინოების და სხვა აზარტული თამაშობების მეშვეობით თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე და რომელი საქმიანობაც საჭიროებს ნებართვის გაცემას.

კაზინოს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე მოსაკრებელი იხდევინება კვარტალში ერთხელ სათამაშო ნიშნის შეძენისას, რომელსაც კვარტალის პირველ დღეს ამაგრებენ თვალსაჩინო ადგილას და ხსნიან კვარტლის ბოლო დღეს.მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს; 15 000 ლარიდან 30 ათასი ლარის ჩათვლით.

სანებართვო მოსაკრებელი სამორინეს მოწყობისათვის განისაზღვრება 5 მილიონი ლარით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ქ. ბათუმისა, დუშეთის რაიონი-ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორია, ქობულეთი და ბორჯომის ტერიტორია. ამ ადგილებში სანებართვო მოსაკრებელი შეადგენს 250 ათას ლარს.

სანებართვო მოსაკრებლის გადახდისგან თავისუფლდება სამორინეს მოწყობა წყალტუბოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება Q. ბათუმში, აგრეთვე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ახლად აშენებული არანაკლებ ასნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობა ახლად აშენებული სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის ნებართვის გაცემიდან 10 წლის განმავლობაში.

სათამაშო აპარატების მფლობელები მოსაკრებელს თითოეულ სათამაშო აპარატზე იხდიან სათამაშო ნიშნის შეძენისას, რომელსაც კვარტლის პირველ დღეს ამაგრებენ თვალსაჩინო ადგილას და ხსნიან კვარტლის ბოლო დღეს, ხოლო განაკვეთი მერყეობს 600-დან 1200 ლარამდე.

ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს მოსაკრებელი იხდევინება თითოეულ სალაროზე 1500-დან 3000 ლარამდე სათამაშო ნიშნის შეძენისას, რომელსაც კვარტლის პირველ დღეს ამაგრებენ თვალსაჩინო ადგილას ხსნიან კვარტლის ბოლო დღეს. სანებართვო მოსაკრებელი ტოტალიზატორის მოწყობაზე განისაზღვრაბა-30 ათასი ლარით. სანებართვო მოსაკრებელი ლოტოს და ბინგოს მოწყობაზე განისაზღვრაბა-15 ათასი ლარით.

წამახალისებელი გათამაშების მომწყობები ვალდებულნი არიან საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ ყოველკვარტალური დეკლარაცია და გადაიხადონ მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მოსაკრებელი თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე შეადგენს-საპრიზო ფონდის 10%, ხოლო ბოლო კვარტალში საპრიზო ფონდის ნარჩენ ღირებულებას. მოსაკრებელი წამახალისებელი გათამაშების მოწყობისათვის განისაზღვრება-15 ათასი ლარით.

სისტემურ-ელექტრონული ფორმის გათამაშების მომწყობები ვალდებული არიან საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ ყოველკვარტალური დეკლარაცია და გადაიხადონ მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მოსაკრებელი სისტემურ-ელექტრონული ფომის თამაშობებზე შეადგენს 12 000-დან 90 000 ლარამდე. ლატარიის მომწყობები ვალდებული არიან საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ ყოველკვარტალური დეკლარაცია და გადაიხადონ მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მოსაკრებელი ლატარიის მოწყობაზე შეადგენს ლატარიის ბილეთების გაყიდვიდან მიღებული ამონაგების-20%. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება თითოეული მუნიციპალიტეტის და თვითმართველი ქალაქის საკრებულოს დადგენილებით, რადგან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის მხოლოდ ზედა და ქვედა ზღვარს აწესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული საკრებულო დამოუკიდებლად განსაზღვრავს გადასახადის ოდენობას,თავისი განმგებლობის ქვეშ მოქცეული ტერიტორიისათვის.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის

მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს, ხოლო მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით მიიღო სპეციალური შეთანხმება, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონი "სივრცით მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ". მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით,ხოლო მისი ოდენობა ნამატი სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულმეტრზე არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს. თავად მოსაკრებლის გადახდა ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემისას.

კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი

კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალს ინფრასტრუქტურის მოსაკრებლის გადამხდელია კულტურულ მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალში არსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელების ვადით.მოსაკრებლის ოდენობა საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული შენობა-ნაგებობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე განისაზღვრება არა უმეტეს 1,5 ლარით თვეში.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რა არის ადგილობრივი მოსაკრებელი?
2. ვის აქვს ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გაუქმებისა და შეღავათების დაწესების უფლება?
3. რამდენი ნაწილისაგან შედგება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი?

თემა 8

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი

ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს საკუთარი დამოუკიდებელი რესპუბლიკური ბიუჯეტი. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობების წყაროები და საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს შესაბამისი საფინანსო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 **მარტამდე** გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ყოველი წლის 15 **ივნისამდე** წარუდგენს მას ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ინფორმაციაზე დასკვნას არა უგვიანეს 30 **ივნისისა** უგზავნის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის

შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებს;

გ.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.გ) აგრეგირებულ მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციე-ლებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო არა უგვიანეს **25 ივლისისა** იწონებს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს.

ფინანსური დახმარების განაცხადის მომზადებისა და წარდგენის ვადები დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების მიღების საჭიროებისას ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო არა უგვიანეს **15 ივნისისა** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ძირითად მონაცემებს ფინანსური დახმარების მოცულობის განსასაზღვრავად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს აცნობებს მიმდინარე წლის **15 ივლისამდე,** ხოლო ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ - არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონებიდან არა უგვიანეს 5 დღისა საფინანსო ორგანო მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, რომელთა გამო-ყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა საფინანსო ორგანოში უნდა წარადგინონ ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საფინანსო ორგანოში წარდგენილი ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ არა უგვიანეს 25 აგვისტოსი. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად საჭირო იმ პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რომლებისთვისაც ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ცალკე კოდს;

გ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს. (ეს პუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან)

საბიუჯეტო განაცხადის განხილვა და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება

საფინანსო ორგანო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა. მხარჯავ დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოს შორის შეუთანხმებელ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო. საფინანსო ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არა უგვიანეს 1 ნოემბრისა წარუდგენს უმაღლეს საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ვ) ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა.ა) ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

5. მე-3 ნაწილში მოცემული ინფორმაცია, გარდა ვ და ზ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენისთანავე.

ფინანსური დახმარების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინება ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამის ორგანოებს არა უგვიანეს **5 ნოემბრისა** აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს.

ბიუჯეტის წარდგენა დამტკიცება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის რომელიმე წევრი შესაბამისი სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენებებს. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ამტკიცებს ახალი საბიუჯეტო წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

ბიუჯეტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს **20 დღისა** ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს.

წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, საჭიროებს წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის განწერა

მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო ორგანოს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ. საფინანსო ორგანო მხარჯავ დაწესებულებებთან ერთად იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით,

რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება სახაზინო მომსახურების პრინციპით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გააკონტროლოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური მიმოხილვა

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს არა უგვიანეს **15 თებერვლისა.** ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო, თავის მხრივ, ამზადებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და განსახილველად წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

დ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

ე) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ვ) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ზ) ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ;

თ) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ. (ეს პუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან)

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში რა მიზნებისათვის იქმნება სარეზერვო ფონდი?
2. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტი რა თანდართულ მასალებს მოიცავს?
3. რა არის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი?

თემა 9

შემოსულობების საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაცია, მისი არსი და მნიშვნელობა

ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების, აგრეთვე საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტების შედარების მიზნით გამოიყენება საბიუჯეტო კლასიფიკაცია. იგი წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსავლების, გასავლების და დეფიციტის დაფარვის ერთიანი სისტემით ერთგვაროვან ნიშნებზე დაფუძნებულ დაჯგუფებას, რომელიც გამოიყენება ბიუჯეტების შედგენის პროცესში და უზრუნველყოფს ყველა დონის ბიჯეტის შედარებითობას.

საბიუჯეტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა საბიუჯეტო რესურსების "გადასხმა", რომლის განხორციელება დაუშვებელია თვითშემოქმედებით. მისი მექანიზმი უნდა დაეფუძნოს მკაცრად ფორმულირებულ წესს, კერძოდ კი საბიუჯეტო კლასიფიკაციას. გარდა ამისა, საბიუჯეტო კლასიფიკაცია იძლევა ბიუჯეტის შემოსავლების და გასავლების ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზის საშუალებას, უზრუნველყოფს გამოყოფილი ფინანსური სახსრების მისამართიანობას. საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის საყრდენი მეთოდური დოკუმენტი, რომელიც არეგლამენტირებს ბიუჯეტის შედგანას, წარდგენის და შესრულების ფორმებს. გარდა ამისა, საბიუჯეტო კლასიფიკაციამ მკაფიოდ უნდა განაცალკევოს სხვადასხვა დონის საბიუჯეტო რესურსები და მათ ფორმირებაში ამა თუ იმ სამეურნეო სუბიექტების და ფიზიკური პირების მონაწილეობის ხარისხი. სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული საბიუჯეტო კლასიფიკაცია იძლევა საშუალებას განისაზღვროს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნები, ფინანსური პოლიტის კურსი და ამოცანები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, ასევე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას. ორგანიზაციული კლასიფიკაცია, თავის მხრივ, მოიცავს გადასახდელებს ორგანიზაციების, პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით, რომელიც განისაზღვრება ბიუჯეტით.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია სავალდებულოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის და ქვეყნის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის. საქართველოში 2007 წლიდან შემოღებულია ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში სრულად არაა გაწერილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის პრინციპები, რაც მომავალში უნდა განხორციელდეს.

საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების კლასიფიკაციას საფუძველი ძირითადად 2001 წლიდან ჩაეყარა. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით შემდგომში საბიუჯეტო კლასიფიკაციის სქემა დაზუსტდა და შედარებით უფრო ჰარმონიზებული გახდა თანამედროვე მოთხოვნებთან. საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვემოთ მოყვანილი სქემები ეფუძნება საქართველოს ფინანსტა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის ბრძანებას "საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ", რომელშიც შემდგომ შეტანილ იქნება გარკვეული ცვლილებები და დამატებები.

საბიუჯეტო შემოსულობების კლასიფიკაცია

ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსულობების დაჯგუფება საბიუჯეტო სისტემის ყველა დონისათვის და ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავს ბიუჯეტის შემოსულობების წყაროების ფორმირებას. საბიუჯეტო შემოსულობების კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

I. სულ შემოსულობები (II+IX)	
II. მთლიანი შემოსავლები და გრანტები (III+VIII)	
III. მთლიანი შემოსავლები (IV+VII)	
IV. მიმდინარე შემოსავლები (V+VI)	
V. საგადასახადო შემოსავლები	01 00 00 00
საშემოსავლო გადასახადი	01 01 00 00
მოგების გადასახადი	01 02 00 00
დამატებული ღირებულების გადასახადი	01 03 00 00
აქციზი	01 04 00 00
საბაჟო გადასახადი	01 05 00 00
სოციალური გადასახადი	01 06 00 00
ქონების გადასახადი	01 07 00 00
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	01 90 00 00
VI. არასაგადასახადო შემოსავლები	02 00 00 00
მოსაკრებლები	02 01 00 00
საბაჟო მოსაკრებელი	02 01 01 00
სალიცენზიო მოსაკრებლები	02 01 02 00
სანებართვო მოსაკრებლები	02 01 03 00
სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები	02 01 04 00
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	02 01 05 00
სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი	02 01 06 00
სახელწიფო ბაჟი	02 01 07 00
საკონსულო მოსაკრებელი	02 01 08 00
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	02 01 09 00
სატენდერო მოსაკრებელი	02 01 10 00
სააღსრულებლო მოსაკრებელი	02 01 11 00
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	02 01 12 00
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	02 01 14 00
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	02 01 15 00
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	02 01 90 00
შემოსავლები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართაში (უზურფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან	02 02 00 00
შემოსავლები მომახურების გაწევიდან	02 03 00 00
შემოსავლები არაძირითადი (თანამდევი) გაყიდვიდან	02 04 00 00
შემოსავლები დივიდენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან	02 05 00 00
როიალისტი	02 06 00 00
სესხის (კრედიტის), დეპოზიტის, ვექილისა და სხვა სახის ***პროცენტი*** (სარგებელი)	02 07 00 00

შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან	02 08 00 00
შემოსავლები გაცემული სესხების (კრედიტების) დაბუნებიდან	02 09 00 00
შემოსავლები ქვეყნის შიგნით გაცემული სესხების (კრედიტების) დაბუნებიდან	02 09 01 00
შემოსავლები ქვეყნის გარეთ გაცემული სესხების (კრედიტების) დაბუნებიდან	02 09 02 00
სხვა არასაგადასახდო შემოსავალი	02 10 00 00
VII. შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან	03 00 00 00
შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან	03 01 00 00
შენობებისა და ნაგებობების გაყიდვიდან	03 01 01 00
მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან	03 01 02 00
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან	03 01 90 00
შემოსავლები სახელწიფო მარაგების გაყიდვიდან	03 02 00 00
შემოსავლები მიწის გაყიდვიდან	03 03 00 00
შემოსავალი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან	03 04 00 00
შემოსავალი სახელწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წილის გაყიდვიდან	03 05 00 00
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან	03 90 00 00
VIII. გრანტები	04 00 00 00
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	04 01 00 00
უცხო ქვეყნის მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები	04 02 00 00
სახელწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეების ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	04 03 00 00
სხვა არაკლასიფიცირებული გრანტები	04 90 00 00
IX. სესხის აღება (დაფინანსება)	05 00 00 00
საშინაო სესხები	05 01 00 00
საგარეო სესხები	05 02 00 00

საბიუჯეტო შემოსულობების წინამდებარე კლასიფიკაცია შედგენილია სახელწიფო შემოსულობების სწორი და სრული აღრიცხვისათვის. მასში კანონით დადგენილი გადასახადები, არასაგადასახადო შემოსავლები, მათ შორის ბიუჯეტის სხვა შემოსულობები იყოფა (კლასიფიცირდება) ცალკეულ ჯგუფებად გარკვეული კრიტერიუმების, ნიშნების და სპეციფიკის მიხედვით. ამდენად, შემოსულობების კლასიფიკაცია შედგება შვიდი ძირითადი ნაწილისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა ჯგუფების და ფუნქციების მიხედვით. ამასთან, შემოსავლის ყოველ წყაროს გააჩნია ინდივიდუალური კოდი, რომელიც შედგება ოთხი წყვილისაგან. საიდანაც პირველი წყვილი აღნიშნავს გადასახადის ფუნქციას (საგადასახადო შემოსავლები – 01 00 00 00). მომდევნო წყვილი – ფუნქციონალურ ჯგუფს (ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი – 01 01 00 00): მესამე წყვილი – ქვეჯგუფს, რომლითაც ხდება გადასახადის კონკრეტიზაცია (სამუშაოს მიმცემის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი – 01 01 01 00); ხოლო მეოთხე წყვილი აღნიშნავს მიზნობრივ რგოლს, (საბიუჯეტო სექტორი – 01 01 01 01, არასაბიუჯეტო სექტორი – 01 01 01 02).

აღნიშნული განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე. კერძოდ, თუ საბიუჯეტო შემოსავალი კლასიფიცირებულია კოდით 02 01 03 10, ეს ნიშნავს შემდეგს: პირველი წყვილი – 02 არის არასაგადასახადო შემოსავლების აღმნიშვნელი, მეორე წყვილი 01 – გვიჩვენებს ფუნქციონალურ ჯგუფს, რომელიც ამ შემთხვევაში მოიცავს მოსაკრებლებიდან მიღებულ შემოსავლებს, მესამე წყვილი 03 არის ქვეჯგუფის აღმნიშვნელი, რომელიც აკონკრეტებს რომ ეს შემოსავალი მიღებულია ნებართვების გაცემიდან, ხოლო მეოთხე წყვილი – 10 (რგოლი) ახდენს კიდევ უფრო მეტ დეტალიზაციას და გვიჩვენებს, რომ შემოსავალი მიღებულია ნადირობის ნებართვიდან.

საბიუჯეტო შემოსულობების ძირითადი მუხლების შინაარსი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

სულ შემოსულობები. მოიცავს ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებს და გრანტებს და სესხის აღებას (დაფინანსება).

მთლიანი შემოსავლები და გრანტები. მოიცავს ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებს და გრანტების სახით კლასიფიცირებულ შემოსავლებს.

მთლიანი შემოსავლები. მოიცავს ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლებს და შემოსავლებს კაპიტალის ოპერაციებიდან.

მიმდინარე შემოსავლები. მიმდინარე შემოსავლებში გაერთიანებულია ყველა საბიუჯეტო შემოსავალი, გარდა გრანტების სახით და კაპიტალის ოპერაციიდან მიღებული შემოსავლებისა. აღნიშნული მოიცავს საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებს.

საგადასახადო შემოსავლები. იგი მოიცავს კანონით განსაზღვრული ყველა სახის გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს და ამ გადასახადების გადაუხდელობაზე ან დაგვიანებით გადახდაზე დარიცხულ სანქციებს.

საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. ბიუჯეტებს შორის მათი განაწილების წესი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შემოსავლების კლასიფიკაცია მოიცავს შემდეგ გადასახადებს: საშემოსავლო გადასახადს, მოგების გადასახადს, დამატებული ღირებულების გადასახადს, აქციზს, საბაჟო გადასახადს, ქონების გადასახადს და სხვა არაკლასიფიცირებულ გადასახადს. ამ უკანასკნელში გაერთიანებულია გაუქმებული გადასახადების სახით შემოსული გადასახადები (ქონების გადაცემისათვის გადასახადი, მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი, მცირე ბიზნესის გადსახადი, ფიქსირებული გადასახადი, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსავლისა და ზე-ნორმატიული დატვირთვისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადა-სახადი, ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადი, საკურორტო გადასახადი, სასტუმროს გადასახადი, რეკლამის გადასახადი, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის გადასახადი და სხვა) ,საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული სანქციები, რომელთა იდენტიფიცირება რომელიმე კონკრეტულ გადასახადთან შეუძლებელია, გარდა ზემოთ აღნიშნული სანქციებისა, რომელიც ეკისრებათ რომელიმე კონკრეტული გადასახდის გადაუხდელობისათვის და სხვა.

არასაგადასახადო შემოსავლები. შემოსავლების ეს სახე მოიცავს მიმდინარე დანიშ-ნულების ყველა საბიუჯეტო შემოსავალს, საგადასახადო და მიმდინარე დანიშნულების გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გარდა. არასაგადსახადო შემოსავლები იყოფა ათ ძირითად ჯგუფად. თითოეული ჯგუფი თავის მხრივ კლასიფიცირებულია დეტალურად, შემოსავლის კონკრეტულ წყაროს მიხედვით. კერძოდ, აქ გაერთიანებულია: მოსაკრებლები, შემოსავლები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან, შემოსავლები არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვიდან, შემოსავლები დივიდენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან, როიალტი, სესხის, დეპოზიტის, ვექსილის და სხვა სახის პროცენტი (სარგებელი), შემოსავლების სანქციებიდან, შემოსავლები გაცემული კრედიტების დაბრუნებიდან და სხვა არასაგადსახადო შემოსავლები.

შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან. ამ კატეგორიას მიეკუთვნება შემოსავლები სახელმწიფო ქონების, მათ შორის, ძირითადი კაპიტალის, სახელმწიფო მარაგების, სახელმწიფო

მიწის, არამატერიალური აქტივების და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წილის გაყოდვიდან.

გრანტები. გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტები კლასიფიცირებულია წყაროების (გრანტის გამცემი ორგანიზაციების) მიხედვით:

სესხის აღება (დაფინანსება). სესხის აღება (დაფინანსება) მოიცავს სახელმწიფო სესხებს, დავალიანების დაფარვას (გადახდას) სახეზე არსებული ნაღდი ფულადი სახსრების, დეპოზიტების და ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო რეზერვების ცვლილებებს (ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებით). აქ გაერთიანებულია გრძელვადიანი კრედიტები ფულად-საკრედიტო ორგანოებიდან და სხვა არაკლასიფიცირებული გრძელვადიანი კრედიტები, აქ გაერთიანებულია მოკლევადიანი კრედიტები ფულად-საკრედიტო ორგანოებიდან და სხვა არაკლასიფიცირებული მოკლევადიანი კრედიტები, საგარეო სესხები, გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

კლასიფიკაციის მიხედვით შემოსავლები იყოფა **4 ძირიდათ ჯგუფად: გადასახადები, სოციალური შენატანები, გრანტები და სხვა შემოსავლები.**

გადასახადი არის კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო შენატანი, რომელსაც გადამხდელი უხდის სახელმწიფოს. გადასახადის გადაუხდელობა ან დაგვიანებით გადახდაზე გადახდევინებული ჯარიმები აღირიცხება იმ გადასახადის სახეში, რომელზეც ხდება ჯარიმის, სანქციის ან საურავის დარიცხვა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებასთან. გადასახადის უკან დაბრუნება განიხილება, როგორც უარყოფითი საგადასახადო შემოსავალი.დაბრუნება ეს არის ზედმეტად გადახდილი თანხის კორექტირება. ზედმეტად გადახდილი თანხის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს ეს თანხა ჩაითვალოს ნედლეულის შეძენისას გადახდილი გადასახადის თანხად. თუ ჩასათვლელი თანხა აღემატება რეალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე დარიცხულ თანხას ამ შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს ეს თანხა უკან დაიბრუნოს ეს აღირიცხება როგორც უარყოფითი შემოსავალი.

საგადასახადო კრედიტი არის საგადასახადო შეღავათის სახეობა, რომლითაც მცირდება გადასახადის თანხა. ზოგიერთ შემთხვევაში საგადასახადო კრედიტის მოცულობამ შესაძლოა გადააჭარბოს გადასახადის თანხას და წმინდა გადასახადმა შეადგინოს უარყოფითი სიდიდე, რის გამოც მთავრობას გაუჩნდეს გადამხდელისათვის თანხის გადახდის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში ეს გადასახადი არ აღირიცხება როგორც უარყოფითი გადასახადი.

გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე

აღნიშნული მუხლით აღირიცხება გადასახადები, რომლითაც იბეგრება ხელფასი და შრომის ანაზღაურება, ჰონორარი, საკომისიო შემოსავალი, შრომის მძიმე პირობებისათვის ან სხვა სახით მიღებული ანაზღაურება და კომპესაციის სახით მიღებული ისეთი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებულია გაწეული შრომის ანაზღაურებასთან, პროცენტის, დივიდენდის, რენტის სახით და არამატერიალური აქტივების ფლობიდან მიღებული შემოსავალი, საინვესტიციო ფონდის კაპიტალის ღირებულების ნაზრდის განაწილებით მიღებული შემოსავლის ჩათვლით.შ.პ.ს-ს, სააქციო საზოგადოების ამხანაგობის ინდივიდუალური საწარმოს სატრასტო ფონდის მოგება და მემკვიდრეობის სახით მიღებული შემოსავალი, პენსია ან სოციალური დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი, სიცოცხლის დაზღვევით და სხვა საპენსიო დაზღვევის ანგარიშიდან მიღებული შემოსავალი, ყველა სხვა სახის შემოსავალი, თუ ასეთი გადასახადები გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან საწარმო. თუ არ არსებობს ინპორმაცია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი ან საწარმო, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს როგორც გადასახადები რომელთა კლასიფიკაცია შეუძლებელია. მემკვიდრეობაზე გადახდევინებული საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც გადასახადი

ფიზიკური პირებისგან. არამომგებიანი ორგანიზაციიდან მიღებული საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც გადასახადი საწარმოებიდან.

საშემოსავლო გადასახადი.

ამ მუხლით აღირიცხება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

- დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს:
- დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან.
- დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან.
- დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან.
- გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან.
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტებიდან.
- გადასახადი დიპლომატიურ დაწესებულებებში დასაქმებული რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლიდან.
- არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალებისა.)
- არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი, ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან.
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიად.
- გადასახადი ფიზიკური პირისთვის ქონების ჩუქებიდან.
- გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან.
- სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

დაბეგვრის ობიექტი

1. რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

2. საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

3. არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება 10% გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე,

4. არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

5. ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

გადასახადის განაკვეთი

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტით.

გადასახადისაგან გათავისუფლება

1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;

დ) ალიმენტი;

ე) განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

ვ) ფიზიკური პირის მიერ:

ვ.ა) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.ბ) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.გ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

ლ) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი და დაქირავებული ფიზიკური პირისათვის გაცემული ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

მ) პრივატიზების წესით (უსასყიდლოდ), ასევე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება;

ნ) დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება;

ო) ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

პ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

ჟ) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

რ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ს) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

ტ) სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

უ) სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი;

ფ) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;

ქ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში მათ ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;

ღ) ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;

ყ) ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავალი, თუ ამხანაგობის წევრები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წევრის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ განიხილება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;

შ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არის არარეზიდენტი დამქირავებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხარჯი მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გადახდილი თუ არა;

ჩ) საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი.

2. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების;

ბ) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;

გ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;

დ) მარტოხელა დედის;

ე) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ვ) პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;

ზ) მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

3. თუ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათის უფლება, მასზე გავრცელდება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი.

საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე.

მიკრო ბიზნესი

1. მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.

2. 30 000-ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქმიანობის სახეებზე.

3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მიკრო ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს.

4. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში.

5. მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება, გაუქმება და მიკრო ბიზნესის სერტიფიკატის გაცემა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება

ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ პირობებს, უფლებამოსილია მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, რისთვისაც გაიცემა მიკრო ბიზნესის სერტიფიკატი.

მიკრო ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

ა) ფიზიკურმა პირმა საგადასახადო ორგანოს მიმართა მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს.

ფიზიკური პირისათვის მინიჭებული მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში ამ მომენტისთვის ფიზიკური პირის შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას სტატუსის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში – მცირე ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად;

მიკრო ბიზნესის გადასახადისაგან გათავისუფლება

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.

მიკრო ბიზნესის ვალდებულებები

1. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას ვალდებულია დოკუმენტში მიუთითოს თავისი სტატუსის შესახებ და სტატუსის სერტიფიკატის ნომერი.

2. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში ვალდებულია შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი.

მცირე ბიზნესი

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება

1. მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, უფლებამოსილია მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

2. მცირე ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

ა) მეწარმე ფიზიკურმა პირმა საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს საგადასახადო წლის დასრულებისა მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;

ბ) დაირღვა მოთხოვნა (ერთობლივი შემოსავლის ოდენობის შეზღუდვა);

გ) მეწარმე ფიზიკურ პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების **ნაშთი აღემატება 150 000 ლარს.**

3. საგადასახადო ორგანოს მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველია:

მეწარმე ფიზიკური პირისთვის საკონტროლო-სალარო აპარატების გამოუყენებლობისათვის სანქციის კალენდარული წლის **განმავლობაში 3-ჯერ დაკისრება.**

4. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში **გადააჭარბებს 100 000** ლარს და მოეხსნება სტატუსი, მას უფლება აქვს, კვლავ მიიღოს სტატუსი ყველა შემდეგი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) თუ სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს;

ბ), სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან, თუ პირი არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი და გადასახადის განაკვეთები

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, იბეგრება 5 პროცენტით.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ:

ა) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების **(გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა)** დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე.

3. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა.

გადასახადები საწარმოებიდან მოიცავს მოგების გადასახადს. მოგების გადასახადი შემდგომში კლასიფიცირდება შემდგომ ქვეჯგუფებად:

-საქართველოს საწარმოთა მოგების გადასახადი რომელიც მოიცავს:

-საქართველოს საწარმოთა პროცენტებიდან;

-საქართველოს საწარმოთა სხვა მოგებიდან;

-უცხოურ საწარმოთა მოგების გადასახადი, რომელიც მოიცავს:

-უცხოურ საწარმოთა დივიდენდებიდან

-უცხოური საწარმოთა პროცენტებიდან

-სხვა მოგებიდან

- სხვა არაკლასიფიცირებული მოგების გადასახადი.

გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია. როგორც ზემოთ აღინიშნა ამ კოდით აღირიცხება ისეთი შემთხვევები, როდესაც გადამხდელის ინდენტიფიცირება შეუძლებელია.

მოგების გადასახადის გადამხდელი

ა) რეზიდენტი საწარმო;

ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

დაბეგვრის ობიექტი

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი საწარმო (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა), რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, არის მოგების გადასახადის გადამხდელი მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებით.

არარეზიდენტი საწარმოს ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება ამ კოდექსის 10% გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე,

არარეზიდენტი საწარმო, რომელიც ქონების რეალიზაციით იღებს შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, არის მოგების გადასახადის გადამხდელი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

გადასახადის განაკვეთი

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით,

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ა) საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

ბ) ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;

დ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ე) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ვ) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში;

ზ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან ან/და საქართველოს არარეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;

თ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ი) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული მოგება;

კ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ლ) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

მ) სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციითა და აღნიშნული ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული მოგება და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული მოგება;

ნ) თავისუფალი საწყობის საწარმოს მიერ თავისუფალი საწყობიდან საქონლის რეექსპორტით მიღებული მოგება;

ო) საერთაშორისო საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობით მიღებული მოგება;

პ) საინვესტიციო ფონდის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებით ან/და ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგება, თუ საინვესტიციო ფონდი არის საერთაშორისო ფინანსური კომპანია;

ჟ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაცემული ქონების ან უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების ღირებულება;

რ) სამედიცინო დაწესებულებების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარდება რეინვესტირებას (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა);

ს) ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახადის გადამხდელი

დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გადამხდელად ითვლება:

ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;

ბ) პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

გ) პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

დ) არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას.

სავალდებულო რეგისტრაცია

პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს:

ა) **ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის** მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

ბ) **დღგ-ის გადამხდელად ითვლება** იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური საქონლის საქართველოში იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისაგან, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

პირი ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის, თუ მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს.

ნებაყოფლობითი რეგისტრაცია

პირს შეუძლია ნებაყოფლობით გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს სავალდებულო რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ვადისა.

რეგისტრაციის გაუქმება

დღგ-ის გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება:

ა) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას;

ბ) ფიზიკური პირის გარდაცვალებისას;

გ) იმ ერთჯერადი მიწოდების ოპერაციის განუხორციელებლობისას, რომელმაც წარმოშვა მისი რეგისტრაციის ვალდებულება.

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი:

დაბეგვრის ობიექტი, დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრა,დრო და ადგილი

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) იმპორტი;

გ) ექსპორტი;

დ) დროებითი შემოტანა.

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა,

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე:

საქონლის მიწოდებისას, რომელსაც თან ახლავს გადატვირთვა, საქონლის მიწოდებად ითვლება საქონლის გადატვირთვის მომენტი.

აქციზის გადასახადი

აქციზის გადამხდელი

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;

ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;

გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;

დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტო-სატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;

ე) ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) აქციზური საქონლის იმპორტი;

გ) აქციზური საქონლის ექსპორტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციები და დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების მომენტია:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის მომენტი;

ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის მომენტი;

გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის არააქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენების დაწყების მომენტი;

დ) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი;

ე) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება მომსახურების გაწევის მომენტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხა განისაზღვრება:

ა) შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისათვის – ჯართის წონით;

ბ) ალკოჰოლიანი სასმელისათვის – ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით;

გ) თამბაქოს ნაწარმისათვის – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით;

დ) ნავთობპროდუქტისათვის – ნავთობპროდუქტის წონით (მოცულობით);

ე) მსუბუქი ავტომობილისათვის – მსუბუქი ავტომობილის წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;

ვ) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის – აირის მო-ცულობით;

იმპორტის გადასახადი

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადააადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.

იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის სატარიფო ღირებულება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

გადასახადები ქონებაზე.

ეს მუხლი მოიცავს გადასახადებს, რომლითაც იბეგრება ქონების გამოყენება, საკუთრება ან გადაცემა. ქონება შეიძლება იბეგრებოდეს რეგულარული პირობითი საიჯარო ქირის, გასაყიდი ფასის, კაპიტალიზირებული შემოსავლის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით, ისეთი როგორიცაა ზომა და ადგილმდებარეობა ინტერვალებით, ერთჯერადად ან საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

რეგულარული გადასახადები უძრავ ქონებაზე

ამ ტიპის გადასახადებით დროის რეგულარული ინტერვალებით იბეგრება უძრავი ქონების (მათ შორის: მიწა, შენობა ან სხვა სახის ნაგებობა) საკუთრება.

ქონების გადასახადი.

ამ მუხლით აღირიცხება კანონით დადგენილი ქონების გადასახადი, რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

- საქართველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი
- უცხოურ საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი

- ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი, რომელიც მოიცავს:
- ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე.
- არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე.
- საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილზე.
- საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე)
- საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე.
- საქართველოში რეგისტრირებულ შვეულმფრენებზე
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი, რომელიც მოიცავს:
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირიდან
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირიდან
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან
- სხვა არაკლასიფიცირებული ქონების გადასახადი.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, რას მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაცია?
2. რას მოიცავს სულ შემოსულობები.?
3. რას მოიცავს მთლიანი შემოსავლები და გრანტები.?
4. რას მოიცავს მთლიანი შემოსავლები?
5. რას მოიცავს მიმდინარე შემოსავლები?
6. რას მოიცავს საგადასახადო შემოსავლები?

ბიუჯეტის ხარჯების სისტემა

იმ დანახარჯთა ერთობლიობას, რომელიც წაროიშვება სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, ბიუჯეტის ხარჯები ეწოდება. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნება სახელმწიფო ფულადი სახსრების ფონდის განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით დარგობრივი, მიზნობრივი და ტერიტორიული დანიშნულებით.

ბიუჯეტის ხარჯების კატეგორია, როგორც წესი, ვლინდება კონკრეტული სახის ხარჯებში და თითოეულის საკუთარ თვისობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებელში.

ხარჯების თვისობრიობა საშუალებას იძლევა დადგენილი იქნეს ბიუჯეტის თითოეული სახის ხარჯის ეკონომიკური ბუნება და საზოგადოებრივი დანიშნულება, ხოლო რაოდენობრივი მხარე კი მისი სიდიდე.

ბიუჯეტის ხარჯების მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორით: სახელმწიფოს ფუნქციებით, ქვეყნის ეკონომიკური სისტემით და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, სახელმწიფოს ადმინისტრა-ციულ-ტერიტორიული მოწყო-ბით, საბიუჯეტო სახსრების მიწოდების ფორმებით და ა.შ.

ბიუჯეტის ხარჯები თავიანთი როლისა და მნიშვნელობის მიხედვით კლასიფიცირდებიან: კვლავწარმოების დანიშნულების, დარგობრივი და მიზნობრივი ნიშნებით. საზოგადოებრივ კვლავწარმოების პროცესში ბიუჯეტის ხარჯები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად.

ბიუჯეტის ხარჯები თავიანთი როლით და მნიშვნელობით ჯგუფდებიან: კვლავწარმოების დანიშნულების, დარგობრივი და მიზნობრივი ნიშნებით.

საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ბიუჯეტის ხარჯები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მიმდინარე ხარჯები დაკავშირებულია ბიუჯეტის სახსრების იური-დიულ პირებისათვის გამოყოფასთან, რომ დააფინანსონ და გადაფარონ მათი მიმდინარე მო-თხოვნები. ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება დანახარჯები სახელმწიფოებრივ მოხმარებაზე-ეკონო-მიკური და სოციალური ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფო საწარმოების შენახვაზე, საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, მართვისა და ხელისუფლების ადგილობრივი და ტერიტორიული ორგანოების მიმდინარე სუბსიდირებაზე, სახელმწიფო ვალის პროცენტების გადახდაზე და სხვა ხარჯები.

კაპიტალურ ხარჯებს მიეკუთვნება ფულადი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალისა და მარაგების ზრდაში დაბანდებასთან. კაპიტალური ხარჯები მოი-ცავს აგრეთვე ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში კაპიტალურ დაბანდებების ასიგნებებით საინვესტიციო სუბსიდიებით და გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხებით სახელმწიფო და კერძო საწარმოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებას.

ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური დაჯგუფება წარმოებს მათი საზოგადოებრივი დანიშნულების მიხედვით, რაშიც ნათლად არის გამოკვეთილი სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური, თავდაცვითი და სხვა ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ყველა ხარჯი დაყოფილია რამდენიმე მსხვილ დაჯგუფებად ესენია: ეროვნული მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, თავდაცვის, სახელმწიფო ვალის მომსახურების, მმართველობის და სხვა ხარჯებად.

განვიხილოთ მაგალითები 2010 და 2011 წლების საბიუჯეტო ხარჯების განაწილებაზე.

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- სოციალური სფერო – 1 278.2 მლნ ლარი;
- განათლება – 504.1 მლნ ლარი;
- ჯანდაცვა – 415.0 მლნ ლარი;
- ენერგეტიკა – 29.7 მლნ ლარი;
- ტრანსპორტი – 546.6 მლნ ლარი;
- დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია – 165.7 მლნ ლარი;

• თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 1 503.9 მლნ ლარი;

- 2010 წლის განმავლობაში განხორციელდა სახელმწიფო პენსიების ზოგიერთი კატეგორიის ზრდა, კერძოდ, გაიზარდა ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 84 ლარიდან 129 ლარამდე, ხოლო ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 70 ლარიდან 80 ლარამდე. სახელმწიფო პენსიების, კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დასაფარად მიმართული იქნა 897.6 მლნ ლარი;

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ბენეფიციარზე მიიმართა 163.0 მლნ ლარი;

- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობის სახით გაიცა 69.3 მლნ ლარი (228.5 ათასზე მეტი ბენეფიციარი), ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობასა დარეაბილიტაციაზე მიიმართა 33.0 მლნ ლარი

- 2010 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარი, მათ შორის, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა (885.4 ათასამდე ბენეფიციარი), კომპაქტურ დასახლებაში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები (12.9 ათასამდე ბენეფიციარი), მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები, ასევე საჯარო სკოლებისა და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (75.5 ათასამდე ბენეფიციარი) აღნიშნული ბენეფიციარების ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით მიმართული იქნა 165.2 მლნ ლარზე მეტი;

- 2010 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 546.0 მლნ ლარამდე;

- რეგიონებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 58.5 მლნ ლარი;

- მსოფლიო ბანკის და აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული იქნა 92.0 მლნ ლარამდე;

- საჯარო სკოლების 3000-მდე პირველკლასელ მოსწავლეს და მათ დამრიგებლებს დაურიგდათ სპეციალური სასწავლო პროგრამით აღჭურვილი „ნეთბუკები" და პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში სულ მიიმართა 3.1 მლნ ლარამდე;

- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 180.7 მლნ ლარი;

- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 1 086.4 მლნ ლარი;

- სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 358.5 მლნ ლარი;

- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვასა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მიიმართა 13.1 მლნ ლარამდე;

ხოლო, 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

• სოციალური სფერო – 1 445.6 მლნ ლარი;
• განათლება – 564.9 მლნ ლარი;
• ჯანდაცვა – 362.5 მლნ ლარი;
• ენერგეტიკა – 57.6 მლნ ლარი;
• ტრანსპორტი – 591.7 მლნ ლარი;
• დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია – 156.5 მლნ ლარი;
• თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 1 559.1 მლნ ლარი;

- 2011 წლის სექტემბრიდან გაიზარდა საპენსიო ასაკის საფუძვლით და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დანიშნული პენსია 20 ლარით და მთლიანობაში საპენსიო უზრუნველყოფისათვის მიიმართა 987.3 მლნ ლარი;

- 2011 წელს შესაბამისი ბენეფიციარების სოციალური დახმარებებით უზრუნველ-ყოფისათვის მიიმართა 220.3 მლნ ლარი;

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფის მიზნით, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარზე 2011 წელს მიიმართა 121.0 მლნ ლარზე მეტი;

- 2011 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის მიიმართა 580.0 მლნ ლარზე მეტი;

- ურბანული და რეგიონული წყალმომარაგებისა და წყალარიების გაუმჯობესებისათვის და მუნიციპალურინ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მიიმართა 168.0 მლნ ლარზე მეტი;

- სხვადასხვა რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიიმართა 452.7 მლნ ლარი; ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 40.0 მლნ ლარი;

- პირველკლასელი და წარჩინებული მოსწავლეების და მათი დამრიგებლების სპეციალური სასწავლო პროგრამით აღჭურვილი „ნეთბუკებით" უზრუნველყოფისათვის 2011 წელს მიიმართა 25.0 მლნ ლარამდე;

- რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მიიმართა 50.0 მლნ ლარამდე, რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებზე 17.0 მლნ ლარამდე;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციის დასაფინანსებლად მიიმართა 11.0 მლნ ლარამდე;

- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის მიიმართა 37.0 მლნ ლარზე მეტი;

- მოსახლეობის ელექტროენერგიისა და სურსათის ვაუჩერებით უზრუნველყოფისათვის მიიმართა 62.0 მლნ ლარამდე;

- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 197.0 მლნ ლარამდე;

- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართა 40.0 მლნ ლარამდე;

ბიუჯეტის ხარჯები იყოფა უწყებრივი და მიზნობრივი ნიშნით. უწყებრივი ნიშნის მიხედვით თითოეულ ჯგუფში გამოიყოფა სამინისტროები, დეპარტამენტები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც ღებულობენ საბიუჯეტო სახსრებს. შესაძლოა ხარჯების დარგობრივი დაყოფაც ეროვნული მეურნეობის დარგების მიხედვით: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, კაპიტალური მშენებლობის და სხვა დარგების მიხედვით; არა წარმოებითი სფეროს დარგების მიხედვით განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, სახელმწიფო ვალის მომსახურების, სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის და სხვა.

მიზნობრივი დანიშნულება გამოყოფილია დანახარჯთა კონკრეტული სახეობები. მაგალითად, ეროვნული მეურნეობის ხარჯებში ცალ-ცალკე გამოიყოფა დანახარჯები კაპიტალურ დაბანდებებზე, საოპერაციო ხარჯებზე, დოტაციაზე და ა.შ. ხოლო არაწარმოებით სფეროს დარგებში- დანახარჯები ხელფასზე, კაპიტალურ რემონტზე, საოპერაციო ხარჯებზე და ა.შ.

ხარჯების კლასიფიკაციის დამამთავრებელი პუნქტია ტერიტორიული ნიშნის მიხედვით ხარჯების დაყოფა. ბიუჯეტის ხარჯების განხორციელება მიიღწევა საბიუჯეტო დაფინანსების მეშვეობით. საბიუჯეტო დაფინანსება ნიშნავს ფულადი სახსრების იურიდიულ პირებზე გაცემის სისტემას ბიუჯეტში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად. საბიუჯეტო დაფინანსება აგებულია განსაზღვრულ პრინციპებზე, რომლებიც წარმოდგენილია სახსრების გაცემის სპეციფიკური ფორმებისა მეთოდების სახით. საბიუჯეტო დაფინანსების პრინციპი, ფორმა და მეთოდები წარმოადგენენ თვით სისტემის შემადგენელ ელემენტებს და გავლენას ახდენენ მისი ფუნქციონირების შედეგზე.

საბიუჯეტო დაფინანსების ორგანიზაციის რაციონალურ სისტემაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს დაფინანსების შემდეგი პრინციპები:

1. ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღება;

2. საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრივი ხასიათი;

3. საბიუჯეტო სახსრების შემდგომი გაცემა უნდა მოხდეს შესრულებული სამუშაოებისა და ადრე გაცემული ასიგნებების გამოყენების კვალობაზე;

4. საბიუჯეტო ასიგნებათა დაუბრუნებლობა;

5. საბიუჯეტო ასიგნებების უსასყიდლობა;

საბიუჯეტო ასიგნებების პრაქტიკაში გამოიყენება ორი ფორმის საბიუჯეტო დაფინანსება: „ნეტო-ბიუჯეტისა" და „ბრუტო-ბიუჯეტის" სისტემით დაფინანსება.

„ნეტო-ბიუჯეტის" სისტემით დაფინანსებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ფულადი სახსრების გაცემა იმით ხასიათდება, რომ საბიუჯეტო ასიგნებები გამოიყოფა დანახარჯთა შეზღუდული წრისათვის, რომლებიც დამტკიცებულ ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

„ბრუტო-ბიუჯეტის" სისტემით საბიუჯეტო დაფინანსება გამოიყენება იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებიც მთლიანად საბიუჯეტო დაფინანსებაზე იმყოფებიან.

საბიუჯეტო დაფინანსების უმნიშვნელოვანესი ელემენტია ბიუჯეტიდან სახსრების გაცემის მეთოდები. ამ მეთოდების დახმარებით საფინანსო ორგანოები უზრუნველყოფენ ფულადი სახსრების ბიუჯეტში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. საბიუჯეტო სახსრები გაიცემა სამინისტროებზე, უწყებებსა და საწარმოებზე კაპიტალური დაბანდებების და სახელმწიფო დოტაციების, ფასთა სხვაობის დაფარვის უზრუნველსაყოფად.

საყურადღებოა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების განსაზღვრა დაგეგმვის სახარჯთაღრიცხვო პრინციპის მიხედვით ამ ხარჯების დაფინანსება წარმოებს დანახარჯთა კონკრეტული ღონისძიებებისა და სახეების მიხედვით.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების დაგეგმვასა და დაფინანსების შემადგენელი ელემენტებია ხარჯების ფულადი ნორმა, რომელიც გამოხატულია კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო განსაზღვრულ ფულად სახსრებში. პრაქტიკაში გამოიყენება ფულადი ნორმების სხვადასხვა სახეობები.

საბიუჯეტო ხარჯვის ნორმები მთელი რიგი ფაქტორების გავლენით ცვლილებებს ექვემდებარება. ნორმის გადიდება დაკავშირებულია ფასების და ტარიფების ზრდასთან, ეროვნულ მეურნეობაში ხელფასების გადიდებასთან.

ხარჯვის ნორმების საფუძველზე დგება ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს სოციალურ-კულტურული სფეროს საფინანსო გეგმას. ხარჯთაღრიცხვას არ გააჩნია შემოსავლის ნაწილი იმდენად, რამდენადაც საბიუჯეტო ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები შემოსავლებად არ ითვლება.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რას გულისხმობს „ნეტო-ბიუჯეტისა" და „ბრუტო-ბიუჯეტის" სისტემით დაფინანსება.
2. რა ნიშნით იყოფა ბიუჯეტის ხარჯები?
3. ჩამოთვალეთ საბიუჯეტო დაფინანსების ორგანიზაციის რაციონალურ სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლის შემსრულებელი დაფინანსების პრინციპები.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია

ხარჯების ეკომოკური კლასიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ცხრილში მოცემულია ხარჯების კლასიფიკაციის მუხლები:

ხარჯები	2
შრომის ანაზღაურება	21
ხელფასები	211
ხელფასები ფულადი ფორმით	2111
თანამდებობრივი სარგო	21111
წოდებრივი სარგო	21112
პრემია	21113
ნამატი	21114
ჰონორალი	21115
კომპენსაცია	21116
ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112
სოციალური შენატანები	212
ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121
პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122
საქონელი და მომსახურება	22
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221
მივლინებები	222
ოფისის ხარჯები	223
წარმომადგენლობითი ხარჯები	224
კვების ხარჯები	225
სამედიცინო ხარჯები	226
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	227
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა–შენახვის ხარჯები	228
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია–წამლის შეძენის ხარჯები	229
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23
პროცენტი	24
არარეზიდენტებზე	241
პროცენტებს არარეზიდენტ ორმხრივ კრედიტორებზე	2411
როცენტებს არარეზიდენტ მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412
როცენტებს არარეზიდენტ კომერციულ ორგანიზაციებზე	2413
როცენტებს სხვა არარეზიდენტებზე	2414
რეზიდენტებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებსა	242
სახელწიფო ერთეულებზე	243
სუბსიდიები	25
სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე	251
არაფინანსურ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე	2511
საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე	25111
სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე	25112
ფინანსურ სახელმწიფო საწარმოებსა და	2512

ორგანიზაციებზე	
კერძო საწარმოებზე	252
არაფინანსურ კერძო საწარმოებზე	2521
ფინანსური კერძო საწარმოებზე	2522
გრანტები	26
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261
საერთაშორისო ორგანიზაციებს	262
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263
სოციალური უზრუნველყოფა	27
სოციალური დაზღვევა	271
ფულადი ფორმით	2711
სასაქონლო ფორმით	2712
სოციალური დახმარება	272
ფულადი ფორმით	2721
სასაქონლო ფორმით	2722
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273
ფულადი ფორმით	2731
სასაქონლო ფორმით	2732
სხვა ხარჯები	28
ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281
დივიდენდები	2811
კვაზი-კორპორაციების შემოსავლიდან ამოღებული თანხები	2812
ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813
რენტა	2814
სხვადასხვა ხარჯები	282
მიმდინარე	2821
კაპიტალური	2822

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია
მეთოდური განმარტებები

ხარჯები (2)

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვიტთ ხარჯები იყოფა 8 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

შრომის ანაზღაურება (21)

შრომის ანაზღაურება გულისხმობს დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კონპენსაციებს. შრომის ანაზღაურება არ ითვალისწინებს კონტრაქტორების, თვითდასაქმებული პირების თუ სხვა სახის მომუშავეთათვის გადახდილ თანხებს, რომლებიც სახელმწიფო ერთეულის საშტატო რიცხოვნობაში არ შედიან.

ხელფასები (211) ხელფასები გულისხმობს შესრულებული სამუშაოს საზღაურს ფულადი ან სასაქონლო ფორმით.

თანამდებობრივი სარგო (21111) აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება ნომინალური თვიური ხელფასის ოდენობა, რომელიც დადგენილია მუშაკისთვის მისი დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.

წოდებრივი სარგო (21112) აღნიშნული კატეგორია მოიცავს მინიჭებული წოდებისათვის დადგენილ სარგოს.

პრემია (21113) აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა სახის ფულად წახალისებას.

დანამატი (21114) აღნიშნული კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს.

ჰონორარი (21115) აღნიშნული კატეგორია მოიცავს ფულად ანაზღაურებას, რომელსაც უხდიან ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებების, მეცნიერული ნაშრომებისა და გამოგონებების ავტორებს.

კომპენსაციები (21116) აღნიშნული კატეგორია მოიცავს დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ყველა სახის ფულად კომპენსაციას, გარდა სოციალური უზრუნველყოფის (27) მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციებისა.

ხელფასი სასაქონლო ფორმით (2112) აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხელფასი ფულადი ფორმით (2111) კატეგორიაში წარმოდგენილ ყველა გასაცემელსა და საზღაურს სასაქონლო ფორმით.

საქონელი და მომსახურება (22)

შენიშვნა: სხვა მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეული საკასო ხარჯი საქონლისა და მომსახურების შესყიდვად განიხილება და აღრიცხვაში არაფინანსურ აქტივებში აისახება.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (221) აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთათვის ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციას.

მივლინებები (222) აღნიშნული კატეგორია მოიცავს: მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის და მივლინებასთან დაკავშირებულ კავშირგაბმულობის ხარჯებს;

1. მივლინების დროს წარმომადგენლობით ხარჯებს;
2. მივლინებული მუშაკის სავალდებულო დაზღვევის ხარჯებს;
3. ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის პასპორტის ღირებულებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ოფისის ხარჯები (223)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: საკანცელარიო საქონლის, საწერ–სახაზავი ქაღალდისა და ანალოგიური მასალების, საბუღალტრო ბლანკებისა და საკანცელარიო წიგნების, ოფისისათვის ნორმატიული აქტების ხარჯებს;

1. საოფისე ტექნიკისა, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებს;
2. ოფისისათვის სანიტარული საგნების და საჭირო მასალების შეძენის ხარჯებს;
3. შენობა–ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯებს, ელექტროენერგიის, წყლის, გათბობის, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებს და სხვა.

წარმომადგენლობითი ხარჯები (224)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: მიღებების, წვეულებებისა და ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს; სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს; სუვენირების შეძენის ხარჯებს; მაჯორიტარ დეპუტატთა ბიუროს ხარჯებს;

კვების ხარჯები (225)

აღნიშნული კტეგორია მოიცავს: ბაგა–ბაღების, საბავშვო სახლების და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, წინასწარი დაკავების იზოლატორებსა და სამედიცინო დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სპორტული შეკრებებისა და შეჯიბრებების მონაწილეთა კვების ხარჯებს და სხვა.

სამედიცინო ხარჯები (226)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: მედიკამენტების, აგრეთვე სამედიცინო დანიშნულების სამკურნალო მინერალური წყლების ხარჯებს; სისხლისა პლაზმის შეძენის ხარჯებს; არაძვირადღირებული სამედიცინო ინსტრუმენტების შეძენის ხარჯებს; და სხვა.

რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს (227)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თეთრეულის შეძენისა და შენახვის ხარჯებს; პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს; ლეიბის, საბნის, ბალიშის, ლოგინის თეთრეულის, ხალიჩების, ფარდაგის ხარჯებს;.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა–შენახვის ხარჯებს (228)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა–შენახვის, საწვავ–საპოხის მასალების შეძენის, მიმდინარე რემონტის ხარჯებს; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯებს.

სამხედრო ტექნიკისა და ტყვია–წამლის შეძენის ხარჯები (229)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამხედრო უწყებების მიერ იარაღის და ამ იარაღის ამოქმედებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის, შეიარაღებული სატრანსპორტო საშუალებისა და ტყვია–წამლის შეძენის ხარჯებს;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (2210)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: აქტივების გასვლის შემთხვევაში საკუთრების გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს; ბანკის მომსახურების ხარჯებს; გამოფენების მოწყობასთან დაკავშირებულ ხარჯებს; მისაღები გამოცდების საორგანიზაციო ხარჯებს, რეკლამის ხარჯებს; საგასტროლო ხარჯებს; სამგზავრო ბილეთების შესყიდვის ხარჯებს; სამხედრო წვრთნებთან დაკავშირებულ ხარჯებს; სესიების, კონფერენციების, ყრილობების სემინარების ორგანისაციის და ექცპედიციების ხარჯებს; ტენდერების ხარჯებს და სხვა.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (23)

ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფიზიკური ცვეთის, ბუნებრივი დაძველებისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. მისი ღირებულებითი შეფასება ხორციელდება მოცემული პერიოდის საშუალო ფასებით.

პროცენტი (24)

პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური ვალდებულებების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან (გარდა აქციებისა), სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებიდან. სასესხო ვალდებულებები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი ერთეული (დებიტორი) სესხს იღებს მეორე ერთეულისაგან (კრედიტორისაგან). პროცენტი წარმოადგენს ხარჯს, რომელსაც უხდის დებიტორი კრედიტორს, კრედიტორის მიერ უზრუნველყოფილი ეკონომიკური ღირებულების მოხმარებისათვის.

სუბსიდიები (25)

სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამ მუხლში არ აღირიცხება იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადასაცემი თანხები, რომელიც შემდგომ გამოიყენება მოსწავლეთა ვაუჩერული სისტემის დასაფინანსებლად, სტუდენტთა გრანტებისა და სტიპენდიების გადასაცემად. ამ მუხლით აღირიცხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები. სუბსიდიების გადახდა ხდება მხოლოდ მწარმოებლისათვის და არა საბოლოო მომხმარებლისათვის.

გრანტები (26)

გრანტები წარმოადგენს არასავალდებულო მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერებს ერთი სახელმწიფო ერთეულიდან მეორე სახელმწიფო ერთეულზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე.

მიმდინარე დანიშნულებით გაცემულ გრანტებს განეკუთვნება ის გრანტები, რომლებიც გამოყოფილია მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და არ არის დაკავშირებული გრანტის მიმღების მიერ აქტივის შეძენასთან.

კაპიტალური დანიშნულებით გრანტების გაცემა ითვალისწინებს გრანტის მიმღების მიერ აქტივების შეძენას და შესაძლოა ფულადი სახსრების ტრანსფერსაც მოიცავდეს, რომელიც გრანტის მიმღებმა შეიძლება გამოიყენოს, ან მოეთხოვებოდეს, რომ გამოიყენოს აქტივისა და აქტივების შესაძენად.

სოციალური უზრუნველყოფა (27)

სოციალური უზრუნველყოფა არის ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით და მოიცავს:

1. სოციალურ დაზღვევას (271), რომელიც მოიცავს სოციალური დახმარებების კატეგორიაში გათვალისწინებულ იმ სოციალურ ტრანსფერებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სქემაში მონაწილეობით.

სოციალურ დახმარებას (272), რომელიც მოიცავს: სახელმწიფო პენსიებს, სახელმწიფო კომპენსაციებსა და სახელმწიფო აკადემიურ სტიპენდიებს; დახმარებას უმუშევრობის დროს; ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებს; დახმარებას ორსულობისათვის და სხვა.

დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება (273), რომელიც მოიცავს: სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციებს; სრული ან ნაწილობრივი ოდენობის ხელფასს და სხვა.

სხვა ხარჯები (28)

სხვა ხარჯების მუხლი მოიცავს: ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯების, გარდა პროცენტისა (281) წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულის მიერ არაწარმოებული აქტივის გამოყენებისათვის აქტივების მფლობელისათვის გადასახდელ თანხას. ასევე მოიცავს:

დივიდენდებს (2811)

დივიდენდები მოიცავს სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საკუთარ მფლობელებსა და აქციონერებზე განაწილებული მოგებების ყველა სახეობას.

კვაზი–კორპორაციის შემოსავლიდან ამოღებული თანხებს (2812)

ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც სადაზღვეო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება (2813)

რენტას (2814)

რენტა წარმოადგენს ხარჯს, რომელიც მიწის, წიაღისეული აქტივების და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივების იჯარით აღების დროს არის გაწეული. მინერალების და საწვავის მოპოვებისათვის გაწეულ გადახდებს ხშირად განიხილავენ როგორც როიალტს (საავტორო ჰონორარს) მაგრამ რეალურად ისინი წარმოადგენენ რენტას.

სხვადასხვა ხარჯები (282)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სხვადასხვა მიზნით განხორციელებული ტრანსფერების რამდენიმე სახეს და აგრეთვე იმ ხარჯვით ოპერაციებს, რომლებიც სხვაგან არსად არ არის კლასიფიცირებული. მოიცავს

მიმდინარე (2821) კაპიტალური (2822)

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რას ეწოდება ბიუჯეტის ხარჯები?
2. რამდენ ნაწილად იყოფა ბიუჯეტის ხარჯები?
3. ბიუჯეტის ხარჯები მნიშვნელობის მიხედვით როგორ კლასიფიცირდებიან?
4. ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური დაჯგუფება როგორ წარმოებს?
5. რას წარმოადგენს ხარჯების მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით კლასიფილაცია?
6. სახელმწიფო მმართველობის დონიდან გამომდინარე ბიუჯეტის ხარჯები როგორ იყოფა?
7. რა გავლენას ახდენენ საბიუჯეტო დაფინანსების პრინციპი, ფორმა და მეთოდები?

თემა 12

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია

არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია წარმოადგენს არაფინანსური აქტივების შეძენის და გასვლის ოპერაციების დაჯგუფებას სახეების მიხედვით.

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებები

კლასიფიკაციის პირველი დონისათვის წარმოდგენილია არაფინანსური **აქტივების 4 ძირითადი კატეგორია:**

1. **ძირითადი აქტივები;**
2. **მატერიალური მარაგები;**
3. **ფასეულობები;**
4. **არაწარმოებული აქტივები;**

ძირითადი აქტივები, ძირითადი აქტივები არის წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც 150 ლარზე მეტია.

არსებული აქტივების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ზრდის მათ საწარმოო სიმძლავრეს, ახანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს ან ორივეს ერთად, აღირიცხება როგორც ძირითადი აქტივების შეძენა.

პოლიციისა და შინაგანი უსაფრთხოების სამსახურების მიერ იარაღისა და ამ იარაღის ამოქმედებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის, აგრეთვე, შეიარაღებული სატრანსპორტო საშუალებების შეძენა განიხილება ძირითად აქტივებად.

ძირითადი აქტივები მოიცავს:

- შენობა-ნაგებობებს;
- მანქანა-დანადგარებს;
- სხვა ძირითად აქტივებს;

შენობა-ნაგებობები, შენობა-ნაგებობების შეძენა მოიცავს როგორც ახლადაშენებული შენობა-ნაგებობების ღირებულებას ასევე მის ასაშენებლად შემოგარენის დასუფთავებისა და მომზადების ხარჯებს. ამასთან, შენობა-ნაგებობები მოიცავს სამხედრო მომსახურებისათვის ან/და სამხედრო მიზნებისათვის შეძენილ შენობა-ნაგებობებს, თუ ისინი სამოალაქო შენობა-ნაგებობების მსგავსია და მათი გამოყენება იგივე წესითაა შესაძლებელი.

შენობა-ნაგებობები თავის მხრივ მოიცავს:

- საცხოვრებელ შენობებს.
- არასაცხოვრებელ შენობებს.
- სხვა ნაგებობებს.

საცხოვრებელი შენობები, საცხოვრებელი შენობებს მიეკუთვნება ის შენობები, რომელებიც მთლიანად ან უმთავრესად საცხოვრებელი მიზნებისათვის გამოიყენება

არასაცხოვრბელი შენობები, არასაცხოვრებელ შენობებს მიეკუთვნება ყველა შენობა, გარდა საცხოვრებელი შენობისა.

სხვა ნაგებობები. ეს მუხლი მოიცავს ყველა იმ ნაგებობას, რომელიც არ განეკუთვნება შენობა-ნაგებობების ზემოაღნიშნულ კატეგორიებს.

მანქანა-დანადგარები, მანქანა-დანადგარები თავის მხრივ მოიცავს:

- სატრანსპორტო საშუალებებს;
- სხვა მანქანა-დანადგარებს;

სატრანსპორტო საშუალებები, აღნიშნულ კატეგორიაში აღირიცხება ყველა სახის მიმოსვლის საშუალება,რომელიც განკუთვნილია ხალხის გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად.

სხვა მანქანა-დანადგარები, აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა სახის მანქანა-დანადგარებს, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა.

სხვა ძირითადი აქტივები, აღნიშნული მუხლი მოიცავს:

- კულტივირებად აქტივებს;
- არამატერიალურ ძირითად აქტივებს;

კულტივირებული აქტივები, კულტივირებულ აქტივებს განეკუთვნება ცხოველები და მცენარეები,რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, მათ შორის სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველები.

კულტივირებული აქტივების გასვლა არ მოიცავს ცხოველებისა და მცენარეების ეპიდემიების გავრცელებით, დაბინძურებით, გვალვით, შიმშილობითა თუ სხვა სახის სტიქიური უბედურებით გამოწვეულ დანაკარგებს.

არამატერიალური ძირითადი აქტივები, აღნიშნული მუხლი მოიცავს:

- ლიცენზიებს
- სხვა არამატერიალურ ძირითად აქტივებს

ლიცენზიები, აღნიშნული კატეგორია მოიცავს ლიცენზიებს 10 წელი და ზევით გამოყენების უფლებით, გარდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისა, რომელიც განიხილება როგორც არაწარმოებული არამატერიალური აქტივები.

სხვა არამატერიალური აქტივები, აღნიშნული კატეგორია მოიცავს, ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც წარმოებაში ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება და მათი მომხმარებელია მხოლოდ მათზე საკუთრების ან ლიცენზიის მქონე სუბიექტი. აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება:

- სასარგებლო წიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებული ხარჯები.
- კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა.
- სხვადასხვა ჟანრის გასართობი ნაწარმოებები.

მატერიალური მარაგები, მატერიალური მარაგები მოიცავს საქონელს, რომელიც ინახება შემდგომი გაყიდვის, საწარმოო პროცესში გამოყენების ან მომავალში მოხმარების მიზნით.

მატერიალური მარაგები მოიცავს:

- სტრატეგიულ მარაგებს.
- სხვა მატერიალურ მარაგებს.

სტრატეგიული მარაგები, სტრატეგიულ მარაგებს მიეკუთვნება - საქონელი, რომელიც ინახება სტრატეგიული მიზნებისათვის და საგანგებო შემთხვევებისათვის; საქონელი, რომელიც ინახება ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების მიერ; და საქონელი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნისათვის.

სხვა მატერიალური მარაგები, სხვა მატერილური მარაგები თავის მხრივ მოიცავს:

- ნედლეულს და მასალებს;
- დაუმთავრებელ წარმოებას;
- მზა პროდუქციას;
- შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილ საქონელს.

ნედლეული და მასალები, ნედლეული და მასალები შედგება ყველა იმ საქონელისაგან, რომლებიც ინახება წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსების სახით.

დაუმთავრებელი წარმოება, დაუმთავრებელ წარმოებას მიეკუთვნება საქონელი და მომსახურება, რომელიც ნაწილობრივაა დამუშავებული ან წარმოებული მწარმოებლის მიერ, და მათი წარმოება დასრულდება მომავალში იგივე მწარმოებლის მიერ, მაგრამ, როგორც წესი, ისინი არ ექვემდებარება გაყიდვას, მიწოდებას ან გადაცემას სხვა მხარისათვის შემდგომი დამუშავების გარეშე.

მზა პროდუქცია, მზა პროდუქცია მოიცავს საქონელს, რომელიც წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს, ჯერ კიდევ ინახება მისი მწარმოებლის მიერ და სხვა ერთეულებზე მიწოდებამდე არ ექვემდებარება შემდგომ დამუშავებას.

შემდგომი რეალიზაციისთვის განუთვნილი საქონელი, ეს მუხლი მოიცავს შემდგომი გაყიდვის ან სხვა ერთეულზე გადაცემის მიზნით შეძენილ ისეთ საქონელს, რომლის ფიზიკური ფორმის მკვეთრ ცვლილებები არ ხორციელდება, რამდენედაც შესყიდვის მომენტში აღნიშნულ საქონელს უკვე გააჩნია მზა პროდუქციის სახე.

შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის მფლობელებს შეუძლია მისი ტრანსპორტირება, შენახვა, კატეგორიებად დაყოფა, სორტირება ან შეფუთვა, რათა მოახდინოს მისი რეალიზაცია საბოლოო მომხმარებლისათვის მიმზიდველ ფორმაში.

ფასეულობები, ფასეულობები - წარმოებული საქონელია, რომლებსაც მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნიათ. ისინი შეძენილია და ინახება, უპირველეს ყოვლისა, როგორც დაგროვების საშუალება და უმთავრესად, არ გამოიყენება წარმოების ან მოხმარების მიზნით.

ფასეულობებს განეკუთვნებიან:

- ძვირფასი ქვები და ლითონები.
- ნახატები ქანდაკებები და სხვა ხელოვნების ნიმუშები.
- ძვირფასი ქვებისაგან და ლითონებისაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი.

არაწარმოებული აქტივები, არაწამოებულ აქტივებს განეკუთვნება ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი თუ ბუღალტრული ქმედებებით შექმნილი აქტივები, რომელთა მიმართაც შესაძლებელია საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა.

არაწარმოებული აქტივები მოიცავს:

- მიწას
- წიაღისეულს
- სხვა ბუნებრივ აქტივებს
- არაწარმოებულ მატერიალურ აქტივებს

მიწა, მიწა თავისთავად წარმოადგენს გრუნტს, ნიადაგის საფარით და მასთან დაკავშირებული ზედაპირული წყლებისა და მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ჩათვლით, რომელთა ფიზიკური განცალკევება შეუძლებელია, შემდეგი ობიექტების გამოკლებით.

- მიწაზე ან მიწის ქვეშ აშენებული შენობა-ნაგებობები, როგორიცაა გზები, საოფისე შენობები და გვირაბები;
- კულტივირებული ვენახები, ხეხილის ბაღები და ხეების სხვა პლანტაციები, მარცვლეული კულტურები და ცხოველების გასამრავლებელი ადგილები.
- წიაღისეული რესურსები.
- არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები.
- მიწის ქვეშა წყლის რესურსები.

წიაღისეული, წიაღისეული განეკუთვნება ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ლითონის მადანის და სასარგებლო არამადნეული წიაღისეულის დადასტურებული მარაგები.

სხვა ბუნებრივი აქტივები, ამ კატეგორიას მიეკუთვნება არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები, წყლის რესურსები და ელექტრომაგნიტური სპექტრი.

არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები მოიცავს ცხოველებსა და მცენარეებს, რომლებზეც შეიძლება საკუთრების უფლების დაწესება და დაცვა, მაგრამ მათი ბუნებრივი ზრდა ან/და განახლება რომელიმე სახელმწიფო ერთეულის უშუალო კონტროლის, პასუხისმგებლობისა და მართვის ქვეშ არ იმყოფება.

არაწარმოებული მატერიალური აქტივები, აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას
- სხვა არაწარმოებულ არამატერიალურ აქტივებს

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია მოიცავს ლიცენზიებს 10 წელი და ზევით გამოყენების უფლებით.

სხვა არაწარმოებული არამატერიალური აქტივები, არაწარმოებული არამატერიალური აქტივები მოიცავს საზოგადოებრივი მოწყობისათვის განკუთვნილ პროდუქტებს, რომლებიც ეფუძნება სამართლებრივ ან საბუღალტრო ქმედებებს.

პატენტები უზრუნველყოფენ გამოგონებების დაცვას სამართლებრივად ან სასამართლო გადაწყვეტილებებით.

სალიზინგო ხელშეკრულებები და სხვა კონტრაქტები, რომელთა კლასიფიცირება ხდება ეკონომიკურ აქტივებად მოიცავს - სალიზინგო ხელშეკრულებებს მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე.

შეძენილი გუდვილი ეწოდება სხვაობას მოქმედი საწარმოსათვის გადახდილ ღირებულებასა და მისი აქტივების ღირებულებას შორის, ვალდებულებების გამოკლებით

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რას მოიცავს არაწარმოებული მატერიალური აქტივები?
2. რას მოიცავს არამატერიალური ძირითადი აქტივები?
3. კლასიფიკაციის პირველი დონისათვის არაფინანსური აქტივების რამდენი ძირითადი კატეგორიაა?

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია წარმოადგენს ფინანსური აქტივების შეძინისა და გასვლის, ვალდებულებების აღებისა და დაფარვის ოპერაციების დაჯგუფებას სახეების მიხედვით.

ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსურ მოთხოვნებს, მონეტარულ ოქროსა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებს. ფინანსური მოთხოვნა წარმოადგენს აქტივს, ვინაიდან ის უზრუნველყოფს კრედიტორისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღებას და წარმოადგენს დაგროვების საშუალებას. ფინანსური მოთხოვნების ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ფულადი საშუალებები, დეპოზიტები, კრედიტები და სესხები, ობლიგაციები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და დებიტორული დავალიანებები.

როდესაც წარმოიქმნება ფინანსური მოთხოვნა, იმავდროულად, დებიტორს წარმოეშობა იგივე ოდენობის ვალდებულება, რომელიც შეესაბამება მოცემულ ფინანსურ აქტივს.

ვალუტა და დეპოზიტები, ვალუტა შედგება ბრუნვაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან, რაც ფართოდ გამოიყენება გადახდის განხორციელებისას. დეპოზიტებიც ფინანსურ აქტივებს წარმოადგენენ, რომლებსაც ფიქსირებული ნომინალური ღირებულება გააჩნიათ და გადახდების განსახორციელებლად გამოიყენება. სახელმწიფო ერთეულების აქტივის სახით აღრიცხავს სხვადასხვაგვარი სახის დეპოზიტებს, უცხოური ვალუტით დეპოზიტების ჩათვლით.

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა, ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ინსტიტუციონალური ერთეულების ვალდებულებების არსებობას და რომელთა მართვა უნდა მოხდეს ფულადი საშუალებების, ფინენსური ინსტრუმენტების ან ეკონომიკური ღირებულების მქონე რომელიმე სხვა ობიექტის მიცემით. ფასიანი ქაღალდით, ჩვეულებრივ, დგინდება გადასახდელი პროცენტებისა და ვალის ძირითადი თანხის გადახდის გრაფიკი. ფასიანი ქაღალდების მაგალითს, გარდა აქციებისა წარმოადგენს:

- თამასუქები;
- ობლიგაციები და არაუზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებები, აქციებში კონვერტირებადი ობლიგაციების ჩათვლით;
- კომერციული ქაღალდები;
- მიმოქცევადი სადეპოზიტო სერთიფიკატები;
- ბაზარზე რეალიზებადი დეპოზიტური ხელწერილები;
- საშუალოვადიანი ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია ანდერრაიტინგის განახლებადი მექანიზმებისა და საბანკო მხარდაჭერის მქონე საემისიო პროგრამების ფარგლებში;
- ფასიან ქაღალდებში კონვერტირებული იპოთეკური კრედიტები და სესხები, აგრეთვე, დებიტორული დავალიანებები საკრედიტო ბარათებით;
- კრედიტები და სესხები, რომლებმაც ფაქტიურად მიიღო მიმოქცევადი ინსტრუმენტების ხასიათი;
- პრივილეგირებული აქციები, რომლებიც ფიქსირებული შემოსავლის მიღებას უზრუნველყოფენ, მაგრამ არ იძლევიან საწარმოების ლიკვიდაციისას მისი ნარჩენი ღირებულების განაწილებაში მონაწილეობის უფლებას;
- საბანკო აქცეპტები;

თამასუქები, მიმოქცევადი სადეპოზიტო სერთიპიკატები, საბანკო აქცეპტები და კომერციული ქაღალდები წარმოადგენენ მოკლევადიან ფასიან ქაღალდებს, რომლებიც მფლობელებს აძლევენ უვადო უფლებას მითითებულ ვადაში მიიღონ დადგენილი ფიქსირებული თანხები და რომელთა გამოშვება ხდება დისკონტით.

ობლიგაციები ნულოვანი კუპონით წარმოადგენენ გრძელვადიან ფასიან ქაღალდებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ პერიოდულ გადახდებს ობლიგაციის მოქმედების პერიოდის განმავლობაში.

სესხები, სესხებად იწოდებიან ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოიქმნებიან, როდესაც კრედიტორი პირდაპირ აძლევს დებიტორს სახსრებს და აქტივის ფორმების სახით ღებულობს არამიმოქცევად დოკუმენტს.

საქონლის ფინანსური ლიზინგის პირობით შეძენისას ითვლება,რომ ადგილი აქვს საკუთრების უფლების გადაცემას მეიჯარისაგან მეიჯარეზე, ვინაიდან საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი ფაქტიურად, გადადის მოიჯარეზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იურიდიული თვალსაზრისით ლიზინგის პირობით იჯარით აღებული საქონელი მეიჯარის საკუთრებად რჩება.

აქციები და სხვა კაპიტალი, აქციები და სხვა კაპიტალი მოიცავს ყველა ინსტრუმენტებსა და სააღრიცხვო დოკუმნტებს, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნას საწარმოს ნარჩენ ღირებულებაზე, ყველა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ. კაპიტალზე საკუთრების უფლება, ჩვეულებრივ, დასტურდება აქციებით, პაით, წილობრივი მონაწილეობის სერთიფიკატებით ან სხვა ანალოგიური დოკუმენტებით.

საწარმოს ჩვეულებრივ აქციებად გარდა, აქციებისა და სხვა კაპიტალში შეიტანება ფასიანი ქაღალდების შემდეგი სახეები:

- კვაზიკორპორაციების კაპიტალში სახელმწიფო ერთეულების მონაწილეობის წილის ღირებულება;
- ამხანაგობებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობების კაპიტალში მონაწილეობის წილი;
- პრივილეგირებული აქციები ან აქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ არაკორპორაციული საწარმოს ლიკვიდაციისას ნარჩენი ღირებულების განაწილებაში მონაწილეობას;
- სასესხო ფონდების აქციები;

სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები, სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები შედგება საოჯახო მეურნეობების მიერ საპენსიო ფონდებსა და სიცოცხლის დაზღვევის რეზერვებში ჩადებული საშუალებების წმინდა ღირებულებისაგან, საშუალებებისაგან, რომელიც მიღებულია წინასწარ გადახდილი პრემიებისაგან, აგრეთვე, სადაზღვევო ანაზღაურების დაუფარავი მოთხოვნების რეზერვისგან.

სადაზღვევო ანაზღაურებების დასაფარავად განკუთვნილი რეზერვების თანხები წარმოადგენენ საშუალებებს, რომლებიც სადაზღვევო პროგრამების ოპერაციებს გააჩნიათ იმ მოთხოვნებისთვის, რომლებზეც ანგარიშსწორება ჯერ არ განხორციელებულა, არ არის დარეგულირებული, ან შეიძლება დავის საგანი გახდეს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, წარმოებული ეწოდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც წარმოქმნილია სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზაზე.წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები დაკავშირებულია კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მაჩვენებელთან, ან საქონელთან, და რომელთა მეშვეობითაც კონკრეტული ფინანსური რისკი შეიძლება გაიყიდოს ფინანსურ ბაზარზე, როგორც ცალკე ობიექტი.

სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანებები, სხვა დებიტორულ /კრედიტორული დავალიანებები შედგება სავაჭრო კრედიტებისა და ავანსებისგან, აგრეთვე, სხვა განსხვავებული მუხლებისაგან, რომლებიც მისაღებია ან ექვემდებარება გადახდას.

სავაჭრო კრედიტებისა და ავანსების კატეგორია მოიცავს: 1) სავაჭრო კრედიტი, რომელიც გამოყოფილია უშუალოდ საქონელსა და მომსახურების მყიდველებისათვის, და 2) ავანსები, იმ სამუშაოებისთვის, რომელიც იმყოფება დაუმთავრებელი წარმოების სტადიაზე, ან რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაგალითად, შუალედური გადახდები მშენებლობის პროცესში, ან წინასწარი გადახდები საქონელისა და მომსახურებისათვის.

მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება, მონეტარული ოქრო მოიცავს ოქროს მონეტებს, ჩამოსხმულ და მოჭრილ ზოდებს არანაკლებ 995/1000 სინჯისა, რომლებიც ფულად-საკრედიტო რეგულირების ფუნქციების შემსრულებელი ერთეულების საკუთრებას წარმოადგენს და შედის სახელმწიფო ოფიციალურ სარეზერვო აქტივებში.

მონეტარული ოქრო წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომლისთვისაც არ არსებობს მეორე ინსტიტუციონალური ერთეულის მხრიდან მოკორესპონდეტო ვალდებულება, მისი შეფასება ხდება ორგანიზებულ ბაზარზე დადგენილი მიმდინარე ფასის ან ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოებს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებით.

ნასესხობის სპეციალური უფლება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილ საერთაშორისო სარეზერვო აქტივებს, რომელიც უნაწილდება მის წევრ ქვეყნებს. სახელმწიფო ერთეული წარმოადგენს სპეციალური სასესხო უფლების მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოს ფუნქციის შემსრულებელია.

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რას წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია?
2. რას გულისხმობს მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება?
3. რას მოიცავს ფინანსური აქტივები?

თემა 14

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები

კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების გარდა.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხას და შესყიდვების განხორციელების წესს შეიმუშავებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ სახელმწიფო შესყიდვებზე:

ა) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასა და ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტიდან გამომდინარე შესყიდვები, გარდა ოქროს ზოდებთან, საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებთან, ასევე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა, რეგულირდება ამ კანონით;

ბ) იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად;

გ) ელექტროენერგიის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე;

დ1) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე,

ე) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ან/და ქ. თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების, საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე;

ვ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;

ზ) (ამოღებულია);

თ) საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე–147-ე მუხლების შესაბამისად;

ი) უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

კ) ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/ საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებისა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე;

ლ) ტელერადიოეთერის დროის შესყიდვასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რეკლამის გავრცელებასთან და შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;

მ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არარეზიდენტი პირისაგან ტელე-/რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-/რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე;

ნ) სუვერენული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურებისა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების შესყიდვებზე, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლისათვის საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების თანმდევი ხარჯების ანაზღაურებაზე;

ო) „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის ან აგენტის მიერ ლატარიის ბილეთის შენახვის, სარეალიზაციო ან/და ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლო გავრცელებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

პ) „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ აღნიშნულ საწარმოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების მქონე პირისაგან მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

ჟ) „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ ლატარიის ორგანიზებისათვის ან/და ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვაზე;

რ) შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შეძენილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე;

ს) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე.

4. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალ-ურთიერთობის მონაწილენი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი, მათი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების შესყიდვების პროცედურები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

კანონის მიზანია:

ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ა) **სახელმწიფო შესყიდვა** – ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა შემდეგი სახსრებით:

ა.ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;

ა.ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;

ა.გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;

ა.დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;

ა.ე) საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი, ამ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით,

ა.ვ) სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;

ა.ზ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

ა.თ) იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად;

შემსყიდველი ორგანიზაცია – ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო;

შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები – იდენტური, ასევე არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტები. შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება დგინდება ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით;

საქონელი – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავი ქონებისა), როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე საქონლის მიწოდების თანმდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას;

სამშენებლო სამუშაო (შემდგომში – სამუშაო) – შენობის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მათ შორის, სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგებააშენება, აღჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და

მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანამდევი მომსახურება, როგორიცაა ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კვლევა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს

მომსახურება – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა. მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის ან კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასა და სატენდერო წინადადების ფასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი – პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი;

პრეტენდენტი – პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური;

მიმწოდებელი – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

გადაუდებელი აუცილებლობა – ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართვე-ლოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას;

შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი (შემდგომ – შავი სია) – შავი სია, რომელსაც ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. შავ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. შავი სია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. შავი სიის წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (შემდგომ – კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი);

შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი (შემდგომ – თეთრი სია) – თეთრი სია, რომელსაც ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. თეთრ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ კვალიფიციურ მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებიც აკმაყოფილებენ თეთრ სიაში რეგისტრაციისათვის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმებს. თეთრ სიაში რეგისტრირებული კვალიფიციური მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით. თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

ერთიანი გარანტია – გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილია მიმწოდებლის ვალდებულება წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში ყველა იმ შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე, რომლებთანაც მიმწოდებელი დადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას. ერთიანი გარანტია შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ერთიანი გარანტიის მოქმედების ვადა, მისი გაცემისა და წარდგენის წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

საფასური – სატენდერო ან საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის ამ კანონით დადგენილი ოდენობით ამავე კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, გარდა შეცდომით გადახდილი საფასურისა;

გამოქვეყნების საფასური – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონულად გამოქვეყნებისათვის ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა. გამოქვეყნების საფასურის ოდენობები და გადახდის წესი კონკურსის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

ელექტრონული საშუალებები – საშუალებები, რომლებითაც შესაძლებელია ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის, ციფრული დამუშავება), მიღება-გადაცემა, გავრცელება და შენახვა საკაბელო, ოპტიკური, სამაუწყებლო ან/და სხვა ელექტრონული საშუალებებით;

ელექტრონული ტენდერი – 200 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ პროცედურებს;

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი – 200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ პროცედურებს. სატენდერო კომისია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2 სამუშაო დღისა. თუ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, სატენდერო წინადადებების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს;

გამარტივებული შესყიდვა – შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება კანონის გათვალისწინებულ შემთხვევებში ან 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში – 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების) სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში;

ელექტრონული ვაჭრობა – ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემადგენელი პროცედურა, რომლის დროსაც პრეტენდენტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით შეუძლია შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის პროცედურაში გამარჯვების მოპოვების მიზნით; 7

სტატუსი – ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტული ეტაპი;

კონსოლიდირებული ტენდერი – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის მიზნით კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩატარებული პროცედურა, რომლის დროსაც ხდება საუკეთესო სატენდერო წინადადების გამოვლენა;

წარმომადგენლობითი ხარჯები –კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წარმომადგენლობითი ხარჯები;

აფიდავიტი –კანონის მიზნებისთვის, წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის;

სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთი დაფინანსების წყაროდან შესყიდვის ხელოვნურად შემცირებული რაოდენობით ან/და მოცულობით განხორციელება ან სხვა ქმედება, რომლის მიზანია ამ კანონით და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მონეტარული ზღვრებისა და სხვა მოთხოვნებისათვის თავის არიდება.

ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები

ელექტრონული სახელწიფო შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, გამარტივებული შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონულად.

სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ: ა) საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც:

შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;

შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;

არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა; ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს;

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა შესყიდვების განხორციელება;

ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტროდანადგარით ჩანაცვლება; ასეთ შემთხვევაში ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის ღირებულების ნაწილი ანაზღაურდება ჩასანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის მიმწოდებლისათვის დაბრუნებით ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემით, რომელიც ახდენს მსგავსი პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციას;

ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;

ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და

ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა;

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი ახორციელებენ ლიტერატურის (ბეჭდურის, ელექტრონულ ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულის) შესყიდვას;

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვას რეგენტთა საბჭოს თანხმობით. ასეთ შემთხვევაში რეგენტთა საბჭოს თანხმობა გაიცემა შემსყიდველი ორგანიზაციის მოტივირებული მიმართვის საფუძველზე.

დაუშვებელია შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია ამ კანონით.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ერთი საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტების ჯამური ღირებულებისათვის ამ კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრების შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის საშუალების რამდენჯერმე გამოყენებით.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისთვის ან ელექტრონული ტენდერისთვის დადგენილი პროცედურების გამოყენებით, ხოლო გამარტივებული

კონკურსი

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, საპროექტო მომსახურების ან შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ან/და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ტერიტორიის მასალებისა და ნარჩენებისაგან გათავისუფლების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერისგან განსხვავებული სახელმწიფო შესყიდვის – კონკურსის – საშუალებით.

საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რის შედეგადაც საკონკურსო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი და საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია ითვლება ოფიციალურად გამოქვეყნებულად. საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისთვის შემსყიდველი ორგანიზაცია იხდის გამოქვეყნების საფასურს. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, გამოიყენოს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გავრცელების სხვა, დამატებითი საშუალებები.

საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

ელექტრონული ტენდერი

სატენდერო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი

ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

სატენდერო კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილეები, ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. იმ შემთხვევაში, როცა შესაბამის კანდიდატთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისიის წევრებად შეიძლება დაინიშნონ შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებიც.

სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო

კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა. სატენდერო კომისია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ან ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

სატენდერო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.

შემსყიდველი ორგანიზაციები ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშს წარმოადგენენ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი გამარტივებული წესით, არა უგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა, თუ შესყიდვების წლიური გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლებია.

შესყიდვების შესახებ ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ შესყიდვის შემოწმება

საქართველოს კონტროლის პალატა შესყიდვას ამოწმებს შემსყიდველი ორგანიზაციის აუდიტის მეშვეობით.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, საქართველოს კონტროლის პალატას, მისი მოთხოვნით, წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.

შესყიდვის მონაწილე ვალდებულია, შემსყიდველ ორგანიზაციას, მისი მოთხოვნით, წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია

თემის საკვანძო საკითხების არსის გაგების შესამოწმებელი კითხვები:

1. რას მოიცავს სახელმწიფო შესყიდვა?
2. როგორ ხორციელდება ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა?
3. რა არის აფიდავიტი?

თემა 15

ფინანსური კონტროლი

სამართლის თითოეული დარგი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროს. საფინანსო სამართლის რეგულირების სფეროა საქართველოს საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობანი. ისინი ეკონომიკური, საზოგადოებრივი ურთიერთობებია და საფინანსო სამართლის ნორმებით რეგულირების შემდეგ სამართლებრივ ურთიერთობათა სახეს ღებულობენ. საფინანსო სამართალი, როგორც სამართლის დარგი, არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალურ წარმონაქმნთა მიერ თავიანთი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ეროვნული ეკონომიკის მართვის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ეკონომიკის მდგომარეობისა და საზოგადოებაში ეკონომიკური და სოციალური პროცესების განვითარების კონტროლი. სახელმწიფო კონტროლის სისტემაში ერთ–ერთი მთავარი რგოლია ფინანსური კონტროლი.

ფინანსური კონტროლი არის სახელმწიფოებრივი კონტროლის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობა, რომლის მიზანია სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა. იგი მოიცავს საფინანსო სისტემის ყველა რგოლს: ფინანსური რესურსების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების კონტროლს.

ფინანსური კონტროლი არის სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ყველა დონის კონტროლი, აგრეთვე სპეციალურად შექმნილი დაწესებულების ყველა ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური საქმიანობის შემოწმებისათვის. ფინანსური კონტროლი მოიცავს ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების პროცესში საფინანსო–სამეურნეო ოპერაციების ეკონომიკური ეფექტიანობისშეფასებისა და გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობაზე კონტროლს. კონტროლი, ერთის მხრივ, წარმოადგენს ფინანსების მართვის ერთ–ერთ დამამთავრებელ სტადიას, ხოლო მეორეს მხრივ, იგი გამოდის ფინანსების ეფექტიანი მართვის აუცილებელ პირობად.

კონტროლი შინაგანად დამახასიათებელია, როგორც მატერიალური წარმოების, ისე არამატერიალური წარმოების სფეროს ფინანსური ურთიერთობებისათვის, მაგრამ ყოველ მათგანს აქვს თავისებურებანი.

მატერიალური წარმოების სფეროში კონტროლის მთავარი დანიშნულება ისაა, რომ ყურადღება გამახვილდეს საწარმოო ფონდების კერძოდ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების წრებრუნვაზე, მათ სწორად და სრულად გამოყენებაზე, მოგების გადიდების შესაძლებლობათა გამოვლინებაზე, უზრუნველყოფილი იქნეს მოგების სწორი განაწილება და გამოყენება საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისად.

არამატერიალური წარმოების სფეროში კონტროლის დანიშნულებაა მიღწეულ იქნეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენება, შემოწმდეს გაწეული ხარჯების მიზნობრივად გამოყენება.

თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყნისათვის ფინანსური კინტროლის ძირითად ამოცანებად მიჩნეულია:

1. სახელმწიფო სახსრების ხარჯვის სისწორის შემოწმება, ე. ი. თუ რამდენად შეესაბამება ეს ეს ხარჯები საკანონმდებლო ორგანოების მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებს;

2. სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის სისრულისა და თავისდროულობის დადგენა;

3. საფინანსო სისტემის ყველა რგოლში გაწეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების კანონიერების შემოწმება;

4. აღრიცხვა–ანგარიშგების კანონიერების დაცვის შემოწმება.

ამასთან, ფინანსური კონტროლი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების შემოწმებით და მოიცავს მრავალრიცხოვან ბიუჯეტგარეშე სამთავრობო ფონდებს, ადგილობრივ ფინანსებს, ასევე სახელმწიფო საწარმოთა ფინანსებს.

ფინანსურ კონტროლს მართვის ადგილობრივი ორგანოების ფინანსური საქმიანობისადმი ახორციელებს ცენტრი, მათზე დოტაციის, სუბვენციის ან კრედიტის გამოყოფისას. ამასთან ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები და მათი საბიუჯეტო–საფინანსო კომიტეტები ან კომისიები, აგრეთვე სპეციალური შინაგანი სარევიზიო სამსახურები.

ისინი ამოწმებენ ხარჯთაღრიცხვების შედგენის სისწორეს, ადგილობრივი ორგანოების პროგრამების შესრულებას, გაწეული ხარჯების ეკონომიკურ ეფექტიანობას, სხვადასხვა აქტივების დაცვას, რომ აღმოფხვრილ იქნეს გაფლანგვა–დატაცების ფაქტები, საფინანსო ანგარიშგების უტყუარობა.

თანამედროვე განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ საქმიანობას სათანადო დარგობრივი სამინისტროები და დეპარტამენტები აკონტროლებენ. ისინი ამკიცებენ კორპორაციების წლიურ ბიუჯეტს, მათ ბალანსს, ფასებს, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას და ფინანსურ წყაროებს. ყოველ სახემწიფო კორპორაციაში არის საკონტროლო სარევიზიო სამმართველო, რომელიც თვალყურს ადევნებს მიმინარე საფინანსო ოპერაციების კანონიერებას.

ყოფილ სსრ კავშირში არსებული ფინანსური კონტროლის სისტემა შექმნილი იყო მბრძანებლურ–ადმინისტრაციული სისტემის პირობებში და არ იყო სრულყოფილი. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების, ამჟამად სუვენერულ სახელმწიფოებში შეიქმნა მრავალრიცხოვანი დარგთაშორისი კონცერნები, ასოციაციები, გაერთიანებები, კომერციული ბანკები, კოოპერატივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ფინანსური კონტროლის სისტემის ახლებურად ჩამოყალიბება.

ფინანსური კონტროლის ორგანოებს მიეკუთვნება: პარლამენტი, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სპეციალური უწყება, ფინანსთა სამინისტრო, დარგობრივი სამინისტროები და დეპარტამენტები.

საპარლამენტო კონტროლი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ძირითადად ხორციელდება ბიუჯეტის პროექტის განხილვა–დამტკიცების დროს. აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების განხილვისას. ამ მიზნით პარლამენტთან იქმნება საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტი, რომელიც ამოწმებს ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ შემოსავალთა და ხარჯების კანონიერებასა და სისრულეს. აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების სისწორეს. მათ უფლება აქვთ კონტროლის პალატის მეშვეობით შემოწმება ჩაატარონ შერჩევის წესით, რისთვისაც იქმნება სპეციალური საპარლამენტო კომისიები სახელმწიფო ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად. პარლამენტს, რომელიც პერიოდულად იღებს ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ, უფლება აქვს მოითხოვოს მთავრობის საქმიანობის შემოწმება, როცა ადგილი აქვს ბიუჯეტით დამტკიცებულთან შედარებით სახსრების ზედმეტად ხარჯვას.

ფინანსური კონტროლის სპეციალური უწყებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ფინანსური კონტროლის სისტემაში, რომლებიც საქმიანობენ მთავრობებისაგან დამოუკიდებლად და ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ პარლამენტებისა დაკონგრესების წინაშე. საფრანგეთში ბიუჯეტის შესრულების კონტროლის ცენტრსა და ადგილებზე ახორციელებს საანგარიშო პალატა, რომელიც ფაქტობრივად სასამართლო ორგანოს წარმოადგენს და შეუცვლელი მაგისტრატებისაგან შედგება. იგი თავის მხრივ, 5 პალატას მოიცავს, რომლებშიც უფროსი მრჩეველები შედიან. ამ პალატების საქმიანობის სფეროს პირველი პალატის თავმჯდომარე განსაზღვრავს. პალატაში ასევე მონაწილეობენ ცენტრალური პროკურორისა და გენერალური ადვოკატის წარმომადგენლები. საანგარიშო პალატას ჰყავს ცენტრალური აპარატი, ხოლო ადგილებზე კონტროლის რეგიონალური სამმართველოები. ყოველ რეგიონში 4 დეპარტამენტი შედის და მათში საფინანსო ოპერაციების კონტროლს პალატები ახორციელებენ, რომელთა საერთო ხელმძღვანელობა საანგარიშო პალატას ეკისრება. ამასთან ამ უკანასკნელს უფლება არ აქვს გააუქმოს რეგიონალური პალატების გადაწყვეტილებები სახსრების გადახდევინების, დარიცხვის ან სასამართლოზე გადაცემის შესახებ.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფინანსური კონტროლის ფუნქციას ფედერაციული საანგარიშო პალატა ახორციელებს. შედარებით რთული საქმეები კი სასამართლოს გადაეცემა, რომლებიც დახელოვნებულია სახელმწიფო სახსრების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ დანაშაულებათა ბრძოლის საკითხებში.

ფინანსური კონტროლის მთავარ ორგანოს ქვეყნების ფინანსთა სამინისტროები წარმოადგენს. ფინანსთა სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და განხილვისას, სამინისტროებისა და უწყებების ფინანსური ხარჯთაღრიცხვების ანალიზს, ბიუჯეტში შემოსავალთა აკუმულაციის, ხარჯების დაფინანსების, ასევე შემოწმებათა და რევიზიების ჩატარების პროცესში. ზოგიერთი ქვეყნის ფინანსთა სამინისტროებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავს სამინისტროებსა და უწყებებში, რომლებიც პასუხს აგებენ გაწეული ხარჯების სისწორისა და კანონიერებისათვის.

თანამედროვე პირობებში სხვადასხვა სახელმწიფოთა ფინანსთა სამინისტროების მიერ ჩატარებული კონტროლის სფერო ფართოვდება იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება საფინანსო სისტემათა საშუალებით გადასანაწილებელი რესურსების მოცულობა და იქმნება საფინანსო კონტროლის ახალი ობიექტები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური კონტროლის დამახასიათებელია ის, რომ ქვეყანაში მოქმედებს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იურიდიული საფინანსო უწყება–ფინანსთა სამინისტრო, რომლის კონტროლის ობიექტია ფედერალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და ადმინისტრაციულ–საბიუჯეტო სამმართველო, რომელიც სახელმწიფო ხარჯებს აკონტროლებს.

ფინანსური კონტროლი ჩატარების ვადებისა და მეთოდების მიხედვით იყოფა სამ სახეობად: წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლი.

წინასწარი კონტროლი ამოწმებს საბიუჯეტო სახსრებს ხარჯების გაწევამდე. ე.ი. იგი წინ უსწრებს ფულადი სახსრების და მატერიალური რესურსების ხარჯვას. წინასწარი კონტროლი ხორციელდება ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვის პროცესში. წინასწარი კონტროლის სისტემას მიეკუთვნება აგრეთვე დაფინანსების გახსნისა და საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვისას განხორციელებული შემოწმება.

მიმდინარე კონტროლი ხორციელდება საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვების შესრულიბის პროცესში. იგი დაკისრებული აქვს უკლებლივ ყველა მაკონტროლებელ ორგანოს – საფინანსო კონტროლის მთავარ სამმართველოებს, ფინანსთა სამინისტროს და მის ქვედანაყოფებს, სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო ორგანოებს, აგრეთვე ცენტრალურ საემისიო ბანკებს, რომლებიც ბიუჯეტის საკასო შესრულებას ახორციელებენ და ბუღალტრებს.

შემდგომი კონტროლი ხორციელდება ბიუჯეტში უკვე მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების კანონიერების დასადგენად. ეს კონტროლი წარმოებს საბუღალტრო საბუთების საფუძველზე. შემდგომი კონტროლის მიზანია შემოწმდეს, ერთი მხრივ, გაწეული ხარჯების სისწორე, კანონიერება და მიზანშეწონილობა და, მეორე მხრივ, საბიუჯეტო სახსრების შემოსავლის სისრულე და დროულობა. ფინანსური კონტროლი სხვადასხვა მეთოდებით წარმოებს, ასეთებია: რევიზიები, ინსპექტირება, გამოკვლევები და დაკვირვებები. რევიზია თავის მხრივ, იყოფა სრული, შერჩევითი, თემატური კომპლექსური. სრული რევიზიის დროს მოწმდება დარგში შემავალი ყველა საწარმო და დანაყოფი. შერჩევითი რევიზიის დროს კი შემოწმდება მხოლოდ რომელიმე განყოფილება ან უბანი. თემატური შემოწმება ითვალისწინებს რევიზიის ჩატარებას ერთ გარკვეულ საკითხზე. კომპლექსური რევიზიის დროს კი მოწმდება დაწესებულების საქმიანობის ყველა მიმართულება.

ახლო წარსულში საქართველოში ფინანსური კონტროლის ორგანოებს წარმოადგენდნენ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო–სარევიზიო სამმართველო, მასზე დაქვემდებარებული სამსახურები ადგილებზე; ქვეყანაში ამჟამად ფუნქციონირებს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 16 მარტის დადგენილებით და წარმოადგენს სახელმწიფო საფინანსო–ეკონომიკური კონტროლის უმაღლეს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. საქართველოს კონტროლის პალატა მისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საშუალებით აკონტროლებს, შეისწავლის და აანალიზებს სახელმწიფო მატერიალურ და

ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას და ეფექტიანობას. იგი მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაში, აკონტროლებს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების შემოსულობას და ხარჯვას საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის აპარატებში, აგრეთვე სამინისტროების, დეპარტამენტების, კომიტეტების, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საფინანსო სამეურნეო საქმიანობას.

საქართველოს კონტროლის პალატის კონტროლს ექვემდებარება საქართველოს ტერი-ტორიაზე მყოფი ყველა იურიდიული პირი, რომელიც იყენებს სახელმწიფო ფულად თუ მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში განლაგებული საქართველოს იურისდიქციაში მყოფი ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ორგანიზაცია. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით პარლამენტი 5 წლის ვადით, ხოლო მის მოადგილეებს კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე. კონტროლის პალატის მუშაობის წარმმართველი უმაღლესი კოლეგიალური ორგანოა, პრეზიდიუმი. რომელიც განსაზღვრავს კონტროლის პალატის სისტემის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ქვეყნის საფინანსო–საბიუჯეტო პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის საქართველოს ფინანსური და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა და შესრულება და სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლი.

ფინანსური კონტოლის ერთ–ერთი სახელმწიფოებრივად მნიშვენლოვანი დარგია საქართველოს საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტი. თავიანთი ცენტრალური აპარატებითა და ადგილობრივი ორგანოებით, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება და უზრუნველყოფს ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შესრულებას და საგადასახადო პოლიტიკის სწორად გატარებას. ეკონომიკური ინფორმაციის სისტემაში, განსაკუთრებით კი საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საბუღალტრო ბალანსს, რომელშიც აისახება საწარმოს საშუალებათა შედგენილობა და გამოყენება და მათი წარმოშობის წყაროები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში წარმოიშვა საფინანსო კონრტოლის ახალი ფორმა–აუდიტური კონტროლი, თუმცა იგი აქამდეც ფართოდ გამოიყენებოდა სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკაში. აუდიტორული ორგანიზაციები კომერციული ანგარიშის პრინციპებზე მოქმედებენ და რევიზია–შემოწმებებს ატარებენ ხელშეკრულებათა საფუძველზე. აუდიტის რევიზორებისათვის მთვარი მოთხოვნაა ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და იურიდიული საკითხების ცოდნა.

საფინანსო კონტროლის ერთ–ერთი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საფინანსო საქმიაქნობის პროცესში კანონიერების განხორციელებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა საწარმო და ორგანიზაცია, აგრეთვე ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან დაიცვან საფინანსო საკითხებთან დაკავშირებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები. მათი დაცვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საფინანსო კონტროლის გამოყენებით.

სახელმწიფოს საფინანსო საქმიიანობის პროცესში საფინანსო კონტროლის განხორ-ციელების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

ა) სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საფინანსო რესურსების შეგროვების, განაწილებისა და გამოყენების პროცესის შემოწმება;

ბ) საწარმოების, ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ თავიანთი საფინანსო ვალდებულების შესრულების შემოწმება;

გ) საფინანსო სამართლის სუბიექტების მიერ მათთვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ხარჯვის მართლზომიერების შემოწმება;

დ) საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსოსაფინანსო ოპერაციების, ანგარიშსწორების, ფულადი სახსრების შენახვის წესების დაცვის შემოწმება;

ე) საფინანსო დისციპლინის დარღვევის აღმოფხვრა და თავიდან აცილება, აგრეთვე წარმოების შიდა რეზერვების გამოვლენა და სხვა.

საფინანსო კონტროლის ამოცანების რეალიზაცია საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და კანონიერების განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. საფინანსო დისციპლინა არის სახელმწიფოს, მუნიციპალური წარმონაქმნების, საწარმოების, დაწესებულებებისა და

ორგანიზაციების ფულადი ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების წესების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

საფინანსო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის საუკეთესო საშუალებაა ფულით კონტროლი. იგი საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო–სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების სპეციფიკური ფორმაა ისეთი კატეგორიების გამოყენებით, როგორიცაა მოგება, თვითღირებულება, ფასი და სხვა. ფულით კონტროლის განხორციელებაში გარკვეულ როლს ასრულებს აგრეთვე საფინანსო და საკრედიტო სისტემათა გამოყენება. ფულით კონტროლის დანიშნულებაა გამოავლინოს მუშაობის ხარისხი და შედეგი, აგრეთვე ზეგავლენა მოახდინოს საწარმოებსა და მათ მუშაკებზე სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. საფინანსო კონტროლის განხორციელება დაფუძნებულია საბიუჯეტო შესატანთა სავალდებული და დროული გადახდის, კრედიტების მიზნობრივი გამოყენებისა და დროულად დაბრუნების, ფულადი სახსრების მიზნობრივი დანიშნულებისამებრ ხარჯვისა და სხვა პრინციპებზე.

საფინანსო კონტროლის კლასიფიკაცია შესაძლებელია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით მოხდეს. მათ შორის ძირითადია საფინანსო კონტროლის შინაარსი და საფინანსო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების სხვადასხვაობა. საფინანსო კონტროლის შინაარსის, ანუ საგნის მიხედვით იგი იყოფა შემდეგ სახეებად: ა) საბიუჯეტო კონტროლი; ბ) საგადასახადო კონტროლი; გ) საბანკო კონტროლი; დ) სავალუტო კონტროლი; ე) საბაჟო კონტროლი; ვ) სადაზღვევო კონტროლი და სხვა. საფინანსო კონტროლის ამგვარი დაყოფა საფინანსო სამართლის კერძო ნაწილის ინსტიტუტების სპეციპიკის გამოვლენის საშუალებას ძლევა. საფინანსო კონტროლის ზოგადი თავისებურებები კი უფრო ნათლად ჩანს მის განმახორციელებელი სუბიექტების მიხედვით ცალკეულ სახეებად დაყოფაში. ამ კრიტერიუმის მიხედვით საფინანსო კონტროლის შემდეგი სახეები არსეობს:

1. სახელმწიფო საფინანსო კონტროლი;
2. ადგილობრივი საფინანსო კონტროლი;
3. შიდასაუწყებო საფინანსო კონტროლი;
4. საზოგადოებრივი საფინანსო კონტროლი;
5. აუდიტორული ანუ დამოუკიდებელი საფინანსო კონტროლი.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მოქმედებამ განსაკუთრებული როლი მიანიჭა წარმომადგენლობითი ორგანოების საკონტროლო ფუნქციებს. აქ მხედველობაშია საპარლამენტო კონტროლი ანუ საქართველოს პარლამენტის მიერ საფინანსო საქმიანობის პროცესში მრავალმხრივი და მათ შორის, საფინანსო კონტროლის განხორციელება. იგი ძირითადად საბიუჯეტო სფეროთი განისაზღვრება. აგრეთვე საგადასახადო, ფულად–საკრედიტო და საემისიო საქმიანობის სფეროში განხორციელებული კონტროლი.

პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთვრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენრი, როგორც საკანონმდებლო ორგანო, ადგენს ქვეყნის საფინანსო სისტემის ერთ–ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი რგოლის სამართლენრივ სტატუსს. ამისათვის იგი იღებს კანონებს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ. ასეთი კანონები წლების განმავლობაში არეგულირებს საბიუჯეტო ურთიერთობათა ყველა პრინციპულ საკითხს.

პარლამენტი თავისი ეკონომიკური პროფილის კომიტეტის მეშვეობით, იხილავს მთვრობის მიერ მომზადებულ ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტის დამტკიცება ხდება განხილვის პროცესში წამოჭრილი შენიშვნებისა და წინადადების მთვრობის მიერ გათვალისწინების შემდეგ. პარლამენტი კიდევ უფრო მნიშვნელოვან საკონტროლო ფუნქციას ასრულებს ბიუჯეტის სფეროში. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საბიუჯეტო პროცესის ძირითადი სტადიის – ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა მთვრობის მოვალეობას წარმოადგენს.

საბიუჯეტო წლის დამთავრების შემდეგ პარლამენტი დეტალურად აკონტროლებს საბიუჯეტო სახსრების მიღების ყველა წყაროს სრულად გამოყენების ხარისხსა და მობილიზებული ფულადი სახსრების ხარჯვის მარლთზომიერებას. პარლამენტის მიერ

ბიუჯეტის შესრულების პროცესში აღმოჩენილი დარღვევები სერიოზული რეაგირების საგანი უნდა გახდეს მთავრობაში და თვით პარლამენტშიც. პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით.

პარლამენტის სერიოზული საფინანსო საკონტროლო ფუნქციის მაჩვენებელია აგრეთვე ისიც, რომ იგი ქმნის სპეციალურ საკონტროლო ორგანოს – საქართველოს კონრტოლის პალატას, რომელიც მთლიანად ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. ასევე მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ შექნილი სახალხო დამცველის ინსტიტუტის ფუნქციონირება და ამა თუ იმ პრობლემატურ საფინანსო ხასიათის საკითხებზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობა.

კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი თანხმობა გასცეს, რათა მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ პარლამენტს წარედგინოს. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მიმდინარე წლის საბიუჯეტო მაჩვენებლების, ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის ცალკეული საშუალებების პერსპექტიული მნიშვნელობის შესახებ. მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ხელს აწერს პრეზიდენტი. თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთვევაში არ დაამტკიცებს სახალმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

პრეზიდენტს უფრო მკაცრი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია იმ შემთხვევაში, როცა პარლამენტმა სამი თვის განმავლობაში ვერ მოახერხა ახალი წლის ბიუჯეტის მიღება. მას უფლება აქვს გადააყენოს მთვრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგადრეშე არჩევნები.

მუნიციპალურ წარმონაქმთა უფლებების განსაზღვრა და სისიტემატიური გაფართოება დღის წესრიგში აყენებს მათი საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურად წარმართვის პრობლემებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებელნი არიან და საკუთარი პასუხისმგებლობით წყვეტენ საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. მუნიციპალურ წარმონაქმნებს გააჩნიათ ადგილობრივი საკუთრება, რომელიც შედის მათი მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის სფეროში.

ადგილობრივი საკუთრება იქმნება: საქართველოს პრეზიდენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების გადაცემით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახალი ობიექტების შეძენით ან შექმნით და სხვა. ადგილობრივი საკუთრების შექმნისა და მისი გაზრდის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების, ისე ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტებისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კანონით განსაზღვრული ფუნქციების გარდა, შესაძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დავალებით მათ დამატებით დაეკისროთ ამა თუ იმ მოქმედებათა შესრულება. სახელმწიფოს მიერ გადაცემული ფუნქციების განხორციელება და ამ პროცესში საფინანსო ოპერაციების წარმოება ექვემდებარება არა ადგილობრივ, არამედ სახელმწიფო კონტროლს.

შიდასაუწყებო საფინანსო კონტროლი საერთოსახელმწიფოებრივი კონტროლის შემადგენელი ნაწილია. შიდასაუწყებო კონრტოლი ხორციელდება სამინისრტოს, სახელმწიფო დეპარტამენტის, ნებისმიერი სხვა უწყების სისტემის შიგნით. შიდასაუწყებო სისტემის ძირითადი ამოცანებია: საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საფინანსო–სამეურნეო ოპრაციების კანონიერების შემოწმება, სახელმწიფო და კერძო საკუთრების დაცვა, ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების დატაცებისა და უკანონო ხარჯვის შემთხვევების გამოვლენა, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისად წარმოებისა და მდგომარეობის შემოწმება, სასაწყობო მეურნეობის მატერიალური აღრიცხვის სისწორის შემოწმება.

ასეთი კონტროლის განსახორციელებლად უწყებებში იქმნება სპეციალური სარევიზიო ინსპექციები, განყოფილებები ან ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ მთავარი ბუღალტრების ან ადმინისტრაციის საერთო ხელმძღვანელობით სარევიზიო განყოფილებათა და ჯგუფების საქმიანობას კი რევიზორები ახორციელებენ. მათი კომპეტენცია არ სცილდება კონკრეტული უწყების ფარგლებს. უწყებაში კი შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა საწარმო ან დაწესებულება შედიოდეს.

ბ) საქართველოს პარლამენტი.

გ) საქართველოს პრეზიდენტი.

13. ვინ ამტკიცებს საბიუჯეტო კლასიფიკაციას?

ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრი კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და პარლამენტის საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე.

ბ) საქართველოს პარლამენტი.

გ) ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით.

14. ადგილობრივი გადასახადებს შემოიღებს

ა) ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო.

ბ) საქართველოს პარლამენტი.

გ) ადგილობრივი გამგეობა.

15. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია

ა) ფინანსთა სამინისტრო.

ბ) საქართველოს პარლამენტი.

გ) საქართველოს მთავრობა.

16. როდესაც წარმოიქმნება ფინანსური მოთხოვნა:

ა) იმავდროულად კრედიტორს წარმოეშობა იგივე ოდენობის ვალდებულება;

ბ) იმავდროულად დებიტორს წარმოეშობა იგივე ოდენობის მოთხოვნა;

გ) იმავდროულად დებიტორს წარმოეშობა იგივე ოდენობის ვალდებულება;

17. ფინანსური აქტივების შეძენა მოიცავს:
   ა) იმ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს;
   ბ) იმ აქტივების ღირებულებას მხოლოდ;
   გ) იმ აქტივებისა და პასივების ღირებულებას;

18. ნებისმიერი ოქრო, რომელიც აღრიცხულია სახელმწიფოს მიერ და არ შეესაბამება მონეტარული ოქროს განმარტებას, წარმოადგენს:
   ა) ფინანსურ აქტივს და მიეკუთვნება ფასეულობას;
   ბ) ფინანსურ აქტივს და მიეკუთვნება მარაგებს ან ფასეულობას;
   გ) არაფინანსურ აქტივს და მიეკუთვნება მარაგებს ან ფასეულობას;

19. არამატერიალურ ძირითად აქტივებს მიეკუთნება:
   ა) ლიცენზია, მიწა, სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები;
   ბ) ლიცენზიები, სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები;
   გ) მიწა, წიაღისეული სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები;

20. რა არის ფასეულობები?
   ა) ფასეულობები, წარმოებული საქონელია როგორც დაგროების სასუალება და უმთავრესად არ გამოიყენება წარმოების ან მოხმარების მიზნით;
   ბ) ფასეულობები, წარმოებული საქონელია როგორც დაგროების სასუალება და უმთავრესად გამოიყენება წარმოების ან მოხმარების მიზნით;
   გ) ფასეულობები, წარმოებული საქონელია როგორც დაგროების საშუალება და უმთავრესად გამოიყენება წარმოების მიზნით;

21. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით ვინ გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს:
   ა) საქართველოს პარლამენტი;
   ბ) საქართველოს პრეზიდენტი;
   გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

22. ძირითადი კაპიტალის მოხმარება მოიცავს: (2ქულა)

_____

_____

23. ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლები მოიცავს: (2ქულა)

_____

_____

24. ფინანსური კონტროლი ჩატარების ვადებისა და მეთოდების მიხედვით რამდენ სახეობად იყოფა და რომელია ისინი? (2ქულა)
   ა) ორ _____
   ბ) სამი _____
   გ) ოთხი _____

25. რამდენ ძირითად ჯგუფად იყოფა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით არაფინანსური აქტივები? (2ქულა)

_____

_____

26. ჩამოთვალეთ საბიუჯეტო სისტემის პრინციპები: (2 ქულა

27. ჩამოთვალეთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი შემოსულობები: (2ქულა)

28. ვინ ანხორციელებს შიდასაუწყებო ცონტროლს? (2 ქულა)

29. ჩამოთვალეთ სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მოკლედ დაახასიათეთ **(5ქულა**

საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

კარი I
ზოგადი დებულებანი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა.

მუხლი 3. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ კოდექსის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

1. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;

გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

დ) დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების

დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) ერთიანობა – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ზ) კონსოლიდირება – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

მუხლი 5. საბიუჯეტო პროცესი

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

მუხლი 6. კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლება – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები;

ბ) ადგილობრივი ხელისუფლება – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

გ) ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

დ) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტი – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ვ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

თ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ი) დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი;

კ) დაზუსტებული ბიუჯეტი – ამ კოდექსის 31-ე, 69-ე და 92-ე მუხლების საფუძველზე კორექტირებული ბიუჯეტი;

ლ) ასიგნება – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

მ) ბიუჯეტის განწერა – ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველთვიურად ან/და ყოველკვარტალურად განაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით;

ნ) ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, ექსკლუზიური, დელეგირებული და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები – შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მოცემულ განმარტებებს;

ო) გათანაბრებითი ტრანსფერი – ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ კოდექსით დადგენილი ფორმულის შესაბამისად გამოყოფილი თანხები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო;

პ) მიზნობრივი ტრანსფერი – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები;

ჟ) სპეციალური ტრანსფერი – გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების გარდა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები;

რ) მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის საბიუჯეტო ორგანიზაცია;

ს) საბიუჯეტო ორგანიზაცია – ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მისი მართვისთვის, ასევე ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების შესაბამისად;

ტ) სახელმწიფო ხაზინა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;

უ) საფინანსო ორგანო – ადგილობრივი თვითმმართველობისა და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებათა შესაბამისი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის და ბიუჯეტის შესრულებისთვის;

ფ) საბიუჯეტო წელი – კალენდარული წელი;

ქ) წლიური ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შესაბამისი საბიუჯეტო წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტი;

ღ) ნაშთი – შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრები;

ყ) თავისუფალი ნაშთი – ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის;

შ) ნაშთის ცვლილება – შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება;

ჩ) ფულადი სახსრები – სახელმწიფო ხაზინის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე არსებული ნაღდი ფული და დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში;

ც) ფულადი სახსრების მოძრაობა – სახელმწიფო ხაზინის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე ფულადი სახსრების მიღება და ამ ანგარიშებიდან მათი გასვლა;

ძ) გადახდაზე ვალდებულების აღება – საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელ გადახდებზე სახელმწიფო ხაზინაში ან საფინანსო ორგანოში დადგენილი წესით ვალდებულების რეგისტრაცია;

წ) ფინანსური ვალდებულების აღება – საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მომავალში ბიუჯეტიდან თანხის გაცემაზე ვალდებულების აღება.

კარი II

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები და შემოსულობების განაწილება ბიუჯეტებს შორის

თავი II

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები

მუხლი 7. საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

1. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს მთავრობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

2. ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

3. ნაერთი ბიუჯეტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის პასუხისმგებელია:

ა) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტისათვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობისა და ამ კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 8. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია

1. საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას. ორგანიზაციული კლასიფიკაცია, თავის მხრივ, მოიცავს გადასახდელებს ორგანიზაციების, პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით და განისაზღვრება ბიუჯეტით.

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა, საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 9. პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები

1. პროგრამული ბიუჯეტი არის მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

2. კაპიტალური ბიუჯეტი არის საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი.

3. პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 10. ბიუჯეტის შემოსულობები

ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) გადასახადები;

ა.ბ) გრანტები;

ა.გ) სხვა შემოსავლები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

მუხლი 11. ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) ხარჯები, მათ შორის:

ა.ა) შრომის ანაზღაურება;

ა.ბ) საქონელი და მომსახურება;

ა.გ) სუბსიდიები;

ა.დ) პროცენტი;

ა.ე) გრანტები;

ა.ვ) სოციალური უზრუნველყოფა;

ა.ზ) სხვა ხარჯები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

მუხლი 12. ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი

1. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო.

2. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო – ბიუჯეტის დეფიციტი.

მუხლი 13. ასიგნებები ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში

საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ბიუჯეტის დამტკიცებამდე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოები უფლებამოსილი არიან მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცენ თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.

მუხლი 14. აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და პასუხისმგებლობა

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით გამოსცემს სათანადო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სტანდარტული სააღრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას.

2. საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები პასუხისმგებელი არიან შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვისა და კონტროლისთვის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობაზე.

3. შემოსულობებთან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ნაშთის ცვლილებასთან ერთად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ოპერაციების აღრიცხვისთვის.

მუხლი 15. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგია

1. სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენენ ამ კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. ქ. თბილისისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენენ შესაბამისი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი წესით, ამ კოდექსის 85-ე, 86-ე, 87-ე, 108-ე, 109-ე და 110-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 16. ბიუჯეტის საკასო შესრულება

1. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულება ხდება საკასო მეთოდით.

2. შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გაცემის უფლებამოსილება წყდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბერს 24 საათზე.

3. სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიღებული და სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადარიცხული სახსრები ყველა დონის ბიუჯეტისათვის მიეკუთვნება იმ პერიოდის შემოსულობას, როცა აღნიშნული სახსრების მიღება ან გადარიცხვა აისახა სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

მუხლი 17. ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება

1. შემოსავლების აკრეფისთვის პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხების სრულად და დროულად აკრეფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობები არის პროგნოზი და არ ზღუდავს ფაქტობრივ აკრეფას მაჩვენებლების გადამეტებით.

3. საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ყველა შემოსულობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ დეპონირებას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

მუხლი 18. ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

1. დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმის ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გადახდაზე ვალდებულების აღებისა და გადახდის განხორციელების უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ან შესაბამისი საფინანსო ორგანოების მიერ ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოცემული წესებით.

3. ფინანსური ვალდებულების აღება ასიგნებების ზევით დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა. მრავალწლიანი ფინანსური ვალდებულების აღების შემთხვევაში მის შესასრულებლად საჭირო სახსრები მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტში.

მუხლი 19. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ბიუჯეტის შესრულებისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შემოწმება

საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებას და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას.

მუხლი 20. სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საბიუჯეტო პარამეტრებთან

1. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, საქართველოს პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტი – მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითმა ორგანოებმა სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან/და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითმა ორგანოებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის საბიუჯეტო პარამეტრებს.

3. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, კომპენსირებული უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ.

მუხლი 21. სესხის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილება

1. სახელმწიფო სესხის აღება და სახელმწიფო გარანტიების გაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ, სესხი აიღონ საქართველოს მთავრობისაგან ან/და სხვა წყაროებიდან მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით.

მუხლი 22. სახელმწიფო ვალის ლიმიტები და სახელმწიფო გარანტიები

1. წლიური ბიუჯეტი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის. ლიმიტები ცალ-ცალკე დგინდება საშინაო და საგარეო ვალებისათვის. ცალკე ლიმიტირებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი.

2. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო გარე და შიდა სასესხო გარანტიებზე, რომლებიც შეიძლება გაიცეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვისთვის და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 23. სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის პროცედურები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური ბიუჯეტითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად აიღოს სესხი მისი მიმღებისა და გამცემისათვის მისაღები ნებისმიერი ფორმით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თავისუფალია ფინანსური ინსტრუმენტის სახის არჩევისას, მისი მახასიათებლებისა და პირობების ჩათვლით. მონეტარული პოლიტიკის ინტერესების ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოქმედებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის საფუძველზე.

3. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებას.

მუხლი 24. სესხის გაცემის უფლებამოსილება

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხი შესაძლებელია გაიცეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

თავი III

შემოსულობების განაწილება ბიუჯეტებს შორის

მუხლი 25. შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი

1. შემოსულობები სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ამ კოდექსის დანართის შესაბამისად. ამ დანართში მითითებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და სახელმწიფო ქონების ნუსხას ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (17.12.2010. N4108 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

2. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსულობები ამ რესპუბლიკების სხვა დონის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 26. გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობების განაწილება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები განაწილდება შემდეგი სახით:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად მიიმართება შემდეგი გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები:

ა.ა) ფიქსირებული გადასახადი მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე;

ა.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;

ა.გ) საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი;

ა.დ) გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;

ა.ე) ფიქსირებული გადასახადი სიგარილასა და ფილტრიანი სიგარეტის იმპორტზე;

ა.ვ) სოციალური გადასახადი;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში სრულად მიიმართება შემდეგი გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები:

ბ.ა) მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი;

ბ.ბ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი;

ბ.გ) ქონების გადაცემისათვის გადასახადი;

ბ.დ) საკურორტო გადასახადი;

ბ.ე) სასტუმროს გადასახადი;

ბ.ვ) რეკლამის გადასახადი;

ბ.ზ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის;

გ) მცირე ბიზნესის გადასახადიდან და ფიქსირებული გადასახადიდან მიღებული თანხების 80% მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 20% – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში.

მუხლი 26^1. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილება და გამოყენება (22.02.2011 N 4210)

1. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კომისია, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კომისიის მიერ განსაზღვრული სახელმწიფოსათვის გადასარიცხი დივიდენდები, ამ კოდექსის დანართის („შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“) ცხრილის 9.1 გრაფის შესაბამისად, მთლიანად მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კომისიას უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს წმინდა მოგებიდან საწარმოსათვის დატოვებული თანხების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ.

კარი III
სახელმწიფო ბიუჯეტი

თავი IV
ზოგადი ნორმები სახელმწიფო ბიუჯეტისათვის

მუხლი 27. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

1. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები არის წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის ორგანიზაციული კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ ორგანიზაციულ კოდებად მოიცავს:

ა) საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;

ბ) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;

გ) საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს;

დ) საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს;

ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს;

ვ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს.

2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სხვა კატეგორიები შესაძლებელია განისაზღვროს წლიური ბიუჯეტით.

3. ამ თავით გათვალისწინებული ფონდების გარდა, სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განმკარგავი განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

მუხლი 28. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდები

1. სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

2. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით.

3. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

4. თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე. (18.06.2010. N3114)

მუხლი 29. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

4. თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.(18.06.2010. N3114)

მუხლი 30. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

4. თუ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე. (18.06.2010. N3114)

მუხლი 31. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში

1. ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანით.

2. მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით და იგი არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს. (22.02.2011 N 4210)

3. მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წინადადებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თანხები შესაძლებელია გადანაწილდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე, თუ გადანაწილებული თანხები არ გადააჭარბებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების 2%-ს. აღნიშნული გადანაწილების თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა აცნობოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

4. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, პროექტის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში. (18.06.2010. N3114)

5. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ასიგნებების გადანაწილებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტება და ამ მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 32. საგანგებო ბიუჯეტი

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

2. საგანგებო ბიუჯეტის მოქმედებისას ამ კოდექსის 28-ე და 31-ე მუხლებით დადგენილი პროცენტული შეზღუდვების მოქმედება შეჩერებულია.

თავი V
სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

მუხლი 33. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 34. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი

1. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთან – გუბერნატორებთან, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით, რისთვისაც ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები და ორგანოები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია.

3. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ყოველი წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.

4. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით საქართველოს მთავრობა ყოველი წლის 1 ივნისამდე წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციაზე საქართველოს პარლამენტის კომიტეტების დასკვნები არა უგვიანეს 20 ივნისისა ეგზავნება საქართველოს მთავრობას. საქართველოს სამინისტროები ყოველი წლის 30 ივნისამდე ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს.

5. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

ა.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.ბ) ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს; ბ) გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს;

გ.ბ) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.გ) მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისათვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.დ) აგრეგირებულ მაჩვენებლებს სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

6. საქართველოს მთავრობა არა უგვიანეს 10 ივლისისა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილის „გ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა) პირველად ვარიანტს.

7. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილის „გ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა) საქართველოს პარლამენტს წარედგინება ამ კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად.

8. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შემდგომ შესაბამისობას.

მუხლი 35. საბიუჯეტო განაცხადი და ზღვრული მოცულობები

1. საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოწონებიდან არა უგვიანეს 5 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, რომელთა გამოყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინონ ინფორმაცია მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ.

2. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ინფორმაცია მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

მუხლი 36. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა

1. მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად საჭირო იმ პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რომლებისთვისაც ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ცალკე კოდს;

გ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

2. მხარჯავი დაწესებულების მიერ ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ.დ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებული ფორმით.

3. თუ საბიუჯეტო განაცხადში ასახული ინფორმაცია განსხვავებული იქნება ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ.ბ“, „გ.დ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან,

მხარჯავმა დაწესებულებამ საბიუჯეტო განაცხადთან ერთად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ამ განსხვავების მიზეზების შესახებ.

4. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ასახვას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 37. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს წარუდგენს არა უგვიანეს 25 სექტემბრისა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავ დაწესებულებას შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვარიანტი, რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

4. სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის 25%-ს.

მუხლი 38. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა

1. საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას (მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობას); (18.06.2010. N3114)

ვ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას;

ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

თ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებულ მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

ი) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.ბ) ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.გ) ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

6. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

7. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საქართველოს პარლამენტში წარდგენისთანავე.

მუხლი 39. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს იხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის წევრები.

2. საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად წარადგენს შესაბამისი სამინისტროს მინისტრი ან მისი მოადგილე.

3. საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა უგზავნის საქართველოს მთავრობას. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმისშემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

4. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 5 ნოემბრისა ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

5. პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

6. პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები არა უგვიანეს 15 ნოემბრისა ეგზავნება საქართველოს მთავრობას.

7. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 30 ნოემბრისა წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

8. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

9. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

10. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში

საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

11. თუ საქართველოს პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.

12. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის დათხოვნისას საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

13. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის ინფორმაციის სახით წარდგენას.

14. წლიური საბიუჯეტო კანონი ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 40. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

1. წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, გარდა ამ კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი წესისა, საჭიროებს წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას.

2. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტისთვის დართული მასალები უნდა შეიცავდეს განახლებულ საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პროგნოზებს და ცვლილებების ან/და დამატებების შინაარსის ამსახველ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების ან/და დამატებების შინაარსიდან გამომდინარე.

3. საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენიდან 7 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი კანონის პროექტთან დაკავშირებულ შესაბამის დასკვნებს უგზავნის საქართველოს მთავრობას.

4. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგენს მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. პროექტს უნდა ერთოდეს ინფორმაცია გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ.

5. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის გადამუშავებული ვარიანტის წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

6. პლენარულ სხდომაზე წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით განსაზღვრული პირი. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

7. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს.

8. თუ საქართველოს პარლამენტი ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი.

9. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონი ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI

სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაკუთრებული დაფინანსების წესი

მუხლი 41. საქართველოს პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა

1. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის ბიუჯეტების პროექტებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობას წარუდგენს არა უგვიანეს 15 ივნისისა.

2. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის ბიუჯეტების პროექტების ფორმირების წესი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

3. სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატისათვის გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის შემცირება წინა და მიმდინარე წლების შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელია შესაბამისად მხოლოდ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის წინასწარი თანხმობით.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებისათვის ამ კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად.

მუხლი 42. საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები

სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებისათვის გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელია შესაბამისად მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით.

მუხლი 43. საქართველოს პროკურატურა

სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პროკურატურისათვის გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინასწარი თანხმობით.

მუხლი 44. სპორტისა და კულტურის სფეროების დაფინანსება (17.12.2010. N4108 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ასიგნებებში სპორტისა და კულტურის განვითარებისათვის გათვალისწინებული სახსრები არ შეიძლება იყოს გასულ საბიუჯეტო წელს ლატარიის ბილეთების რეალიზაციის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული სახსრების 75%-ზე ნაკლები.

მუხლი 45. განსაკუთრებული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის პირობა

ამ კოდექსის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობა არ ითვალისწინებს უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს.

თავი VII

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

მუხლი 46. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა

1. საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას.

3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მუხლი 47. სახელმწიფო ბიუჯეტის განწერა

1. მხარჯავი დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახადების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

4. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა საჭიროებს ახალი განწერის დამტკიცებას ან არსებულ განწერაში ცვლილებების შეტანას.

მუხლი 48. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ყოველი თვის დასრულებიდან 15 დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

2. თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა იწვევს დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, საბიუჯეტო ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანამდე უნდა განახორციელოს ასიგნებების ცვლილება ამ კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 49. ბიუჯეტის შემოსულობების ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა გადასახადების

გადახდის ანგარიშში გადატანა

1. სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობების დაბრუნების და შემოსულობის სხვა სახეში გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების გარეშე. *(29.06.2010. N3265)*

3. ბიუჯეტის შემოსულობის შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებისას კორექტირება ხდება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის დაბრუნებული ან შემოსულობის სხვა სახეში გადატანილი თანხით.

მუხლი 49[1]. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვა (18.06.2010. N3114)

1. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელია დაბრუნების ქვეანგარიშიდან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული წესის შესაბამისად. *(29.06.2010. N3265)*

2. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტის გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულების დაფარვისთვის პასუხისმგებელია პროექტის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება.

3. დაბრუნების ქვეანგარიშიდან უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვა არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსა და ანგარიშგებაში. *(29.06.2010. N3265)*

მუხლი 50. სხვა პირის მიერ საგადასახადო ან/და სხვა ვალდებულების შესრულება (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

გადასახადის გადამხდელის/პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, ბიუჯეტში გადასახდელი საგადასახადო ან/და სხვა ვალდებულება შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურად განსაზღვრული ფორმით, რისთვისაც გადასახადის ან/და გადასახდელის მიმღებ ორგანოში წარადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის ან/და გადასახდელის გადახდის დამადასტურებელ ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით დადგენილ საბუთს ან/და დოკუმენტს. ამასთანავე, გადასახადის ან/და გადასახდელის გადახდის დადასტურება შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით. შესრულებული საგადასახადო ან/და სხვა ვალდებულება მესამე პირებისათვის დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 51. ფულის მართვისა და გაცემის გეგმები

1. საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების დასაფინანსებლად სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ფულის გაცემა ხორციელდება ბიუჯეტის განწერისა და ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის საფუძველზე.

2. ფულის გაცემის ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამის პერიოდში შემოსულობების, ნაშთის ცვლილებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით.

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ბიუჯეტის განწერით დადგენილ მაჩვენებლებს.

4. ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის პროექტის შედგენა, დამტკიცება და ფულის გაცემა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ ამ კოდექსის შესაბამისად დამტკიცებული წესის მიხედვით.

მუხლი 52. სახელმწიფო ხაზინა

1. სახელმწიფო ხაზინის საქმიანობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიუჯეტების შემოსულობების მიღების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გადახდის და სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე ფულადი სახსრებით ოპერაციების გამჭვირვალობა და სრული ანგარიშგება.

2. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების

შემოსულობების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების და სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების სრული და სწორი აღრიცხვისთვის.

3. სახელმწიფო ხაზინას საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს ერთიანი ანგარიში. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გახსნას დამატებითი საბანკო ანგარიშები სხვა ბანკებში.

4. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სხვა ანგარიშების მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ სახელმწიფო ხაზინას.

5. სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები ინახება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ასევე სახელმწიფო ხაზინის სხვა ანგარიშებზე.

6. სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის ბოლოს ამზადებს ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

7. სახელმწიფო ხაზინის თანხმობის გარეშე დაუშვებელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გახსნა. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გააუქმოს ნებართვა საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ და დახუროს ანგარიში. საბიუჯეტო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, რომ მათ მიერ მიღებული ყველა შემოსულობა სრულად და დაუყოვნებლივ აღირიცხოს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების არასაბიუჯეტო შემოსავლებისა.

8. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტები.

8^1. საბიუჯეტო ორგანიზაცია უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს ან/და ამობეჭდოს სახელმწიფო ხაზინაში ელექტრონულად წარდგენილი და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მიერ დადასტურებული ნებისმიერი დოკუმენტი. ამასთანავე, ელექტრონულად შენახულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვთ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტებს.(18.06.2010. N3114)

8^2. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის უსაფრთხოების ნორმები, წესები და აღნიშნული სისტემის მომსახურების პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. (18.06.2010. N3114)

9. ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გაუწიოს მას სახაზინო მომსახურება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს პროცედურებსა და აღრიცხვის მეთოდოლოგიას, რომლებიც უნდა დაიცვას შესაბამისმა ხელისუფლებამ.

10. დამატებითი საბიუჯეტო შემოსულობების მიღების მიზნით სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია მის განკარგულებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები გამოიყენოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად. (22.02.2011 N 4210)

11. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია შეთანხმების საფუძველზე მომსახურება გაუწიოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოებს. *(13.07.2010 N 3439)*

თავი VIII

სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

მუხლი 53. სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციის გადასახდელების დასაფინანსებლად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გადახდების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. ასევე სახელმწიფო ხაზინა აღრიცხვას აწარმოებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსულობების და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიხედვით.

2. სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 54. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს:

ა) მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს;

ბ) შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მუხლი 55. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და ანგარიშგებებს, რომლებიც ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

მუხლი 56. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;

გ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

დ) სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

ე) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა იმ ფონდებისა, რომლებსაც წლიური საბიუჯეტო კანონი ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სახით;

ვ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ზ) ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის დაუფარავი სახელმწიფო ვალების და მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების თაობაზე); (18.06.2010. N3114)

თ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერას;

ი) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

მუხლი 57. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შემოწმება

საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ამ ანგარიშის თაობაზე.

მუხლი 58. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 15 ივნისისა იღებს დადგენილებას ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. თუ საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს 1 თვეში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

თავი IX

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა

მუხლი 59. სესხის გაცემის საფუძველი

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა და მისი კონტროლი ხორციელდება ამ თავით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად. სესხის გაცემასთან, სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლთან და სესხის დაფარვის შესრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კოდექსითა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

2. ამ თავის ნორმები არ ვრცელდება:

ა) უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გასაცემ სესხებზე;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტზე გასაცემ სესხებზე;

გ) ამ კოდექსის ამოქმედებამდე გაცემულ სესხებზე, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(29.06.2010. N3265)*

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხი გაიცემა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რომელშიც უნდა განისაზღვროს:

ა) სესხის მიზნობრიობა;

ბ) სესხის გაცემის წყარო (სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი, საბიუჯეტო დაწესებულების ასიგნება ან/და სხვა);

გ) ამ კოდექსით გათვალისწინებული სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ან/და გამონაკლისი შემთხვევა;

დ) სესხის გამცემი, სესხის გამომყოფი, სესხის მიმღები, კონტროლის განმახორციელებელი და სესხის ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეები;

ე) სესხის ოდენობა;

ვ) სესხით სარგებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი;

ზ) სესხით სარგებლობის და სესხის დაბრუნების ვადები.

4. განკარგულებით შესაძლებელია განისაზღვროს ასევე სხვა პირობები, რომლებიც აუცილებელია სესხის გაცემისა და დაბრუნებისათვის, მისი მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენებისათვის.

მუხლი 60. სესხის გამცემი და სესხის მიმღები

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გამცემია ის საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლის ასიგნებებიდანაც გაიცემა სესხი ან/და რომელსაც გასაცემი სესხის რესურსი (თანხები) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოეყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან ან/და სხვა წყაროებიდან.

2. სესხის მიმღები შესაძლებელია იყოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საწარმო ან ორგანიზაცია ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მეწარმე სუბიექტი ან ფიზიკური პირი.

მუხლი 61. სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

1. სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით სესხის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება.

2. სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებია:

ა) საბანკო გარანტია, რომლითაც სესხის მიმღების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტიის გამცემი ბანკი კისრულობს წერილობით ვალდებულებას, სესხის გამცემის წერილობითი მოთხოვნისთანავე სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხოს ფულადი თანხა სესხის მიმღების ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად;

ბ) სადაზღვევო ორგანიზაციის სადაზღვევო მოწმობა (პოლისი), რომლითაც პოლისის გამცემი სადაზღვევო ორგანიზაცია კისრულობს წერილობით ვალდებულებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სესხის გამცემის წერილობითი მოთხოვნისთანავე სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხოს ფულადი თანხა სესხის მიმღების ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად;

გ) საკუთარი ან მესამე პირის ქონების სესხის გამცემის სასარგებლოდ დაგირავება ან/და იპოთეკით დატვირთვა.

3. სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ირჩევს სესხის გამცემი.

4. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობის შემთხვევაში სესხის გამცემი უფლებამოსილია ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დასაფარავად გამოიყენოს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

5. სესხის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას, რომლის თანახმადაც სესხის მიმღებს სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ეკისრება პირგასამტეხლო.

მუხლი 62. სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლი

1. სესხის მიზნობრივი გამოყენების კონტროლს ახორციელებს სესხის გამცემი, თუ განკარგულებით არ არის განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი სხვა ადმინისტრაციული ორგანო.

2. სესხის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში სესხის მიმღები ვალდებულია შეწყვიტოს სესხის არამიზნობრივი ხარჯვა, გონივრულ ვადაში გამოასწოროს დარღვეული პირობები, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის არამიზნობრივად გამოყენებული სესხის შესაბამისი ოდენობა მიმართოს საკუთარი სახსრებიდან.

3. თუ სესხის მიმღებმა არ უზრუნველყო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, სესხის მიმღები ვალდებულია წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დააბრუნოს არამიზნობრივად გამოყენებული სესხი (ტრანში) და გადაიხადოს მასზე დარიცხული პროცენტი, ჯარიმა, საურავი, რომლის დარიცხვა გაგრძელდება შესაბამისი ვალდებულებების შესრულებამდე.

მუხლი 63. სესხის მიმღების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებები და პირობები

1. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების წარმოშობისთანავე სესხის გამცემს უფლება აქვს, სესხის მიმღების მიმართ გამოიყენოს სესხის ხელშეკრულებით, ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

2. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სესხის მიმღების მიმართ იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები. *(29.06.2010. N3265)*

3. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად სესხის გამცემი ვალდებულია ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების წარმოშობიდან არა უგვიანეს 6 თვისა წერილობით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. სესხის გამცემის წერილობითი შეტყობინება უნდა ეფუძნებოდეს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობას, უნდა განსაზღვრავდეს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების ოდენობას, წარმოშობის საფუძვლებს და უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.

4. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების საფუძველია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა სესხის გამცემის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

5. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ სესხის გამცემის წერილობითი შეტყობინების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს ფინანსთა მინისტრი იხილავს და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების ან გამოუყენებლობის შესახებ. სახელმწიფო ინტერესებად ჩაითვლება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, საწარმოებზე (რომელთა აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) და სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე იურიდიულ/ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. ამ ვადის გასვლის შემდეგ სესხის გამცემის თხოვნა ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ ითვლება დაუკმაყოფილებლად.

6. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ამოიწერება სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

7. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალების გამოყენების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქტის გასაჩივრება არ გამოიწვევს მისი აღსრულების, ასევე აღსრულების პროცესში განხორციელებულ ქმედებათა შეჩერებას.

მუხლი 64. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრი

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების შესახებ მონაცემები აისახება რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სესხის გამცემი. სესხის გამცემი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს : *(29.06.2010. N3265)*

ა) თვეში ერთხელ (თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით) – რეესტრში ასახულ ინფორმაციას;

ბ) სესხის ხელშეკრულების, სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის გრაფიკის, ასევე მათში განხორციელებული ცვლილებების ასლებს.

1^1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების ერთიან რეესტრს. *(29.06.2010. N3265)*

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრის წარმოების წესსა და რეესტრის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

კარი IV
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი

თავი X
ზოგადი ნორმები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის

მუხლი 65. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

1. თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია ამ კოდექსით განსაზღვრული საკუთარი შემოსულობებით და ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

4. საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

მუხლი 66. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

მუხლი 67. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის ან გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

მუხლი 68. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

მუხლი 69. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში

1. ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ამ კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

2. მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში, გარდა ამ კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებისა.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, პროექტის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, ორგანიზაციული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.

5. ამ კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტება და ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (ქ. თბილისისათვის – ქ. თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად).

მუხლი 70. საგანგებო ბიუჯეტი

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

2. საგანგებო ბიუჯეტის მოქმედებისას ამ კოდექსის 67-ე და 69-ე მუხლებით დადგენილი პროცენტული შეზღუდვების მოქმედება შეჩერებულია.

თავი XI

გათანაბრებითი ტრანსფერი

მუხლი 71. გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანი

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერით უზრუნველყოფს სახელმწიფო.

2. ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა გათანაბრებითი ტრანსფერი.

3. გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობების ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება.

მუხლი 72. გათანაბრებითი ტრანსფერი

1. გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა.

2. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება ამ კოდექსით განსაზღვრული წესითა და ფორმულით.

მუხლი 73. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესი

1. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით.

2. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშების ფორმულის მიზნებისათვის პირველ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა, რომელიც არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები.

3. მეორე ეტაპზე გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის.

4. შემდგომ ეტაპზე გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა).

5. იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა.

6. მომდევნო ეტაპზე გამოიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა, რომელიც მიიღება ამ კოდექსის 74-ე მუხლით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად.

მუხლი 74. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის განსაზღვრის ფორმულა

1. თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$T=E-R,$$

სადაც:

ა) T – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი ტრანსფერი;

ბ) E – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი, რომელიც გაიანგარიშება სტატისტიკური მონაცემებისა (მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე) და გათანაბრებითი კოეფიციენტების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამოჯვნით;

გ) R – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

2. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციას (მათ შორის, გაანგარიშებისას გამოყენებული სტატუსისა და მხარდაჭერის კოეფიციენტებს) ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

თავი XII

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

მუხლი 75. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 76. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებს;

გ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

6. ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 77. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

3. თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ერთზე მეტ მხარჯავ დაწესებულებას, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე, ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანო მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.

4. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად საჭირო იმ პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რომლებისთვისაც ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ცალკე კოდს;

გ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

5. მხარჯავი დაწესებულების მიერ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებული ფორმით.

6. თუ საბიუჯეტო განაცხადში ასახული ინფორმაცია განსხვავებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან, მხარჯავმა დაწესებულებამ საბიუჯეტო განაცხადთან ერთად საფინანსო ორგანოს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ამ განსხვავების მიზეზების შესახებ.

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

8. არა უგვიანეს 15 ნოემბრისა:

ა) ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად ქ. თბილისის მერი განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი (მერი) წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

9. ბიუჯეტის პროექტთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი.

10. ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ვ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

თ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

11. ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს;

ბ) მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას.

12. ამ მუხლის მე-10 ნაწილში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

13. ამ მუხლის მე-10 ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

მუხლი 78. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. ბიუჯეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე არა უგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს (მერს).

4. ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს არა უგვიანეს 10 დეკემბრისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) გამგებელი (მერი) წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, ხოლო ქ. თბილისის მერი ამავე ვადაში წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის 1/2-ით, ხოლო ქ. თბილისში – წარმომადგენლობითი ორგანოს 2/3-ით შესაძლებელია დამტკიცდეს წარმომადგენლობითი ორგანოს ფრაქციის ან/და სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიციირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მიერ გამგებლისათვის (მერისათვის) გაგზავნილი შენიშვნები.

7. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების 1/12-ისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია წარმომადგენლობით ორგანოს შეუწყვიტოს უფლებამოსილება. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ უნდა მოიცავდეს ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

8. ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.

9. წლიური ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

მუხლი 79. მიზნობრივი ტრანსფერის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს.

2. საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც იხილავს მათ და განხილვის შედეგების გათვალისწინებით მზადდება სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.

4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო.

მუხლი 80. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

1. წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, გარდა ამ კოდექსის 69-ე მუხლით დადგენილი წესისა, საჭიროებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია მხოლოდ გამგებლის (მერის) წარდგინებით.

თავი XIII
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება

მუხლი 81. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ზოგადი დებულება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 82. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის განწერა

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

მუხლი 83. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა

1. საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ადგილობრივი გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სხვა შემოსავლებისა და

არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება სახაზინო მომსახურების პრინციპით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად), საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

თავი XIV

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

მუხლი 84. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ საფინანსო ორგანოს.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის გარეშე დაუშვებელია შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გახსნა.

3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ახორციელებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეული გადასახდელების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ, ამასთანავე, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

მუხლი 85. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მუხლი 86. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

მუხლი 87. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

დ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებისა;

ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ვ) ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ;

ზ) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

მუხლი 88. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

კარი V

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი

თავი XV

ზოგადი ნორმები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის

მუხლი 89. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

1. ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს საკუთარი დამოუკიდებელი რესპუბლიკური ბიუჯეტი.

2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობების წყაროები და საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 90. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს შესაბამისი საფინანსო ორგანო.

მუხლი 91. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

მუხლი 92. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში

1. ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ამ კოდექსის 90-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

2. მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში, გარდა ამ კოდექსის 90-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებისა.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, პროექტის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში.

4. ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, ორგანიზაციული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს.

5. ამ კოდექსის 90-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტება და ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 93. საგანგებო ბიუჯეტი

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

2. საგანგებო ბიუჯეტის მოქმედებისას ამ კოდექსის 90-ე და 92-ე მუხლებით დადგენილი პროცენტული შეზღუდვების მოქმედება შეჩერებულია.

თავი XVI

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

მუხლი 94. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 95. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი

1. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

2. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

3. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტამდე გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ყოველი წლის 15 ივნისამდე წარუდგენს მას ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ინფორმაციაზე დასკვნას არა უგვიანეს 30 ივნისისა უგზავნის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

5. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:

გ.ა) ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებს;

გ.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;

გ.გ) აგრეგირებულ მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;

დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

6. ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო არა უგვიანეს 25 ივლისისა იწონებს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს (გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა). (18.06.2010. N3114)

მუხლი 96. ფინანსური დახმარების განაცხადის მომზადებისა და წარდგენის ვადები

1. დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების მიღების საჭიროებისას ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო არა უგვიანეს 15 ივნისისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ძირითად მონაცემებს ფინანსური დახმარების მოცულობის განსასაზღვრავად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს აცნობებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე, ხოლო ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ – არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა.

მუხლი 97. საბიუჯეტო განაცხადი და ზღვრული მოცულობები

1. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონებიდან არა უგვიანეს 5 დღისა საფინანსო ორგანო მხარჯავ დაწესებულებებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, რომელთა გამოყენებითაც მხარჯავმა დაწესებულებებმა საფინანსო ორგანოში უნდა წარადგინონ ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ.

2. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საფინანსო ორგანოში წარდგენილი ინფორმაცია დასაგეგმი წლების ბიუჯეტების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობებს.

მუხლი 98. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა

1. მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ არა უგვიანეს 25 აგვისტოსი. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:

ა.ა) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;

ა.ბ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ა.გ) მხარჯავი დაწესებულებისათვის დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;

ა.დ) ინფორმაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ;

ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად საჭირო იმ პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რომლებისთვისაც ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ცალკე კოდს;

გ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

2. მხარჯავი დაწესებულების მიერ ამ კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ.გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებული ფორმით. (18.06.2010. N3114)

3. თუ საბიუჯეტო განაცხადში ასახული ინფორმაცია განსხვავებული იქნება ამ კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ.ბ“, „გ.გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან, მხარჯავმა დაწესებულებამ საბიუჯეტო განაცხადთან ერთად საფინანსო ორგანოში უნდა წარადგინოს ინფორმაცია ამ განსხვავების მიზეზების შესახებ. (18.06.2010. N3114)

მუხლი 99. საბიუჯეტო განაცხადის განხილვა და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1. საფინანსო ორგანო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

2. მხარჯავ დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოს შორის შეუთანხმებელ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო.

3. საფინანსო ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა.

მუხლი 100. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არა უგვიანეს 1 ნოემბრისა წარუდგენს უმაღლეს საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი.

3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ვ) ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

ზ) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

4. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა.ა) ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

6. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

7. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენისთანავე.

მუხლი 101. ფინანსური დახმარების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინება

ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამის ორგანოებს არა უგვიანეს 5 ნოემბრისა აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს.

მუხლი 102. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის რომელიმე წევრი შესაბამისი სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენებებს.

2. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ამტკიცებს ახალი საბიუჯეტო წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

4. ბიუჯეტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს.

მუხლი 103. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

1. წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, გარდა ამ კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესისა, საჭიროებს წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას.

2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

თავი XVII

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება

მუხლი 104. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ზოგადი დებულება

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 105. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის განწერა

1. მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო ორგანოს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ.

2. საფინანსო ორგანო მხარჯავ დაწესებულებებთან ერთად იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ.

3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

მუხლი 106. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა

1. საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება სახაზინო მომსახურების პრინციპით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

4. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გააკონტროლოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით.

თავი XVIII

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება

მუხლი 107. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ საფინანსო ორგანოს.

2. ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს თანხმობის გარეშე დაუშვებელია შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გახსნა.

3. ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო ახორციელებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეული გადასახდელების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ, ამასთანავე, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

4. ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

მუხლი 108. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური მიმოხილვა

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მუხლი 109. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

1. მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს არა უგვიანეს 15 თებერვლისა. ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო, თავის მხრივ, ამზადებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და განსახილველად წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

მუხლი 110. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

დ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

ე) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ვ) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ზ) ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ;

თ) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

მუხლი 111. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

კარი VI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

თავი XIX

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 112. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით (17.12.2010. N4108 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობა 2011 წელს არ უნდა აღემატებოდეს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის 30%-ს, ხოლო 2012 წელს – 28%-ს.

მუხლი 113. ასიგნებების გადანაწილების შეზღუდვა

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ასიგნებების გადანაწილება 2010 წელს განხორციელდეს 10%-ის ფარგლებში.

მუხლი 113[1]. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხები (29.06.2010. N3265)

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებზე წარმოშობილი

ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების შემთხვევაში, თუ შესაბამისი ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებას რაიმე ფორმით, სესხის მიმღების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 63-ე მუხლი. ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში სესხის გამცემი არ არის შეზღუდული ამ კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული 6-თვიანი ვადით.

2. თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებზე დადებული შესაბამისი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის საშუალებას არც ერთი ფორმით, სესხის მიმღების მიმართ ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის ადმინისტრირებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით ახორციელებს საგადასახადო ორგანო საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესებით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ საკითხზე საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის მიმართვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. (17.12.2010. N4108 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სესხის მიმღებზე, თუ:

ა) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის შესახებ სასამართლოში მიმდინარეობს საქმის განხილვა;

ბ) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის შესახებ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება.

მუხლი 114. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა ამ კოდექსის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედ სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

მუხლი 114^1. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიება (22.02.2011 N 4210)

საქართველოს მთავრობამ 2011 წლის 15 მარტამდე უზრუნველყოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა.

თავი XX
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 115. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:

ა) „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს 2003 წლის 24 აპრილის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N12, 21.05.2003, მუხ. 62);

ბ) „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N50, 29.12.2007, მუხ. 437);

გ) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 24 მაისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N20, 09.06.2006, მუხ. 170);

დ) „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N7, 26.03.2008, მუხ. 37);

ე) „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N7, 26.03.2008, მუხ. 28).

მუხლი 116. კოდექსის ამოქმედება

1. ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა,ჲ 37-ე მუხლის მე-4 ნაწილისა, 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტისა, 56-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა,

77-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-10 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტისა, 87-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა, 98-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და 110-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მე-10 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი, 98-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 56-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ კოდექსის 87-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი და 110-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

6. ამ კოდექსის დანართის („შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“) 25-ე, 25.1, 25.2 და 25.3 პუნქტები მოქმედებს 2010 წლის 1 დეკემბრამდე. *(29.06.2010 N 3235)*

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,
2009 წლის 18 დეკემბერი.
N 2440 – IIს

შინაარსი

თემა 1. სახელმწიფოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებანი 3

თემა 2. ფინანსების არსი და ფუნქციები, საფინანსო სისტემა 9

თემა 3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური არსი ფუნქცია და როლი საბაზრო ეკონომიკურ პირობებში 15

თემა 4. სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესი და მისი სტადიები 19

თემა 5. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი 29

თემა 6. გათანაბრებითი ტრანსფერი და მისი განსაზღვრის მეთოდიკა 38

თემა 7. ადგილობრივი მოსაკრებლები 43

თემა 8. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი 46

თემა 9. შემოსულობების საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაცია, მისი არსი და მნიშვნელობა 52

თემა 10. ბიუჯეტის ხარჯების სისტემა 67

თემა 11. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია 71

თემა 12. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია 76

თემა 13. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია 79

თემა 14. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები 82

თემა 15. ფინანსური კონტროლი 90

დანართები:

ტერმინთა გარმანტებანი 97

ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 98

ბიუჯეტთა შორის გადანაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით 102

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები 2009-2011 წელი 113

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2009-2011 წლის ბიუჯეტის ბალანსი 116

სილაბუსი 119

საგამოცდო ტესტების ნიმუში 125

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 129

საგამომცემლო ჯგუფი: ***ლარისა გურგენიძე***

ლია ზედგინიძე

გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. № 106,

ტელ.: 0(365) 22-19-90, 568-31-33-78

ელ ფოსტა: contact@ astu.edu.ge